

178
1958/3

အိန္ဒိယနိုင်ငံ
နိုင်ငံခြားရေး

အိန္ဒိယ အိန္ဒိယ

4

1958

ს ა ბ ჯ ო ტ ა ს ა მ ა რ თ ა ლ ი

№ 4

ივლისი—აგვისტო
1958 წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის საინინსტროს, პროკურატურისა
და უმაღლესი სასამართლოს
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ ე რ ნ ა ლ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

მ. ო. წ. ი. ნ. ა. ვ. ე. — მეტი ყურადღება მშრომელთა საჩივრებს	83-3
მ. ლ. ო. მ. ი. ძ. ე. — მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევათა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი საკითხი	8
ი. ნ. ა. ჯ. ყ. ე. ბ. ი. ა. — გარდამავალი პერიოდის მტავარი შინაარსი და თანამედროვე რევიზიონიზმი	15
ა. ძ. რ. ი. ე. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. — პროკურატურისა და მილიციის ერთობლივი მოქმედება განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა გახსნის საქმეში	22
ა. ჟ. ღ. ე. ნ. ტ. ი. — მტკიცედ დავიცვათ შრომის კანონმდებლობა	25

ქართული სამართლის ისტორიიდან

ა. მ. რ. ო. გ. ა. ვ. ა. — ადვოკატთა ინსტიტუტის შესახებ ძველ საქართველოში	30
--	----

წინადადებანი ახალი კანონმდებლობისათვის

ი. კ. ი. კ. ო. ხ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. — წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის ზოგიერთი საკითხი	40
მ. რ. ო. კ. ე. ტ. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. — ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გამო	45

გამოცდილების გაზიარება

ს. ბ. ე. ლ. ი. ა. ვ. ს. კ. ა. ი. ა. — აქარის ასსრ პროკურატურის ორგანიზაციული სტრუქტურის გამოცდილებიდან	47
ი. ი. ო. ლ. ს. ა. ვ. ა. — წვრილმანი ხელიგნობის საქმეების განხილვა	55
ზ. მ. ე. ს. ე. ნ. გ. ი. ს. ე. რ. ი. — იურიდიული კადრების სამეჭედლო	59

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გ. ტ. ყ. ე. შ. ე. ლ. ი. ა. ძ. ე. — მონოგრაფია მიზეზობრიობის შესახებ საბჭოთა სისხლის სამართალში 63	
---	--

საუბრები სახალხო მსაჯულებთან

საუბარი მეხამე — საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი ბულები	ფე. ს. ჯ. ს. ა. 68
ახალი კანონმდებლობაში	73
ბურჟუაზიულ ქვეყნებში	
სასამართლო პრაქტიკა	

7633





СО Д Е Р Ж А Н И Е

	Стр.
Передовая — Больше внимания жалобам трудящихся	3
М. Ломидзе — Некоторые вопросы судебной практики о делах нарушений правил движения водителями и владельцами легковых автомашин	8
И. Начкебия — Основное содержание переходного периода и современный ревизионизм	15
А. Дзриелишвили — Совместное действие прокуратуры и милиции в деле раскрытия особо опасных преступлений	22
А. Жгенти — Твердо соблюдать трудовое законодательство	25

ИЗ ИСТОРИИ ПРАВА ГРУЗИИ

А. Рогава — Об институте адвокатов в старой Грузии	30
--	----

ПРЕДЛОЖЕНИЯ ПО НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

И. Кикозашвили, М. Кикозашвили — Некоторые вопросы предварительного расследования и дознания	40
М. Рокетлишвили — По поводу одного важного вопроса	45

ОБМЕН ОПЫТОМ

С. Белявская — Об опыте организации работы в прокуратуре Аджарской АССР	47
И. Иосава — Рассмотрение дел о мелком хулиганстве	55
З. Месенгисер — Кузница юридических кадров	59

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. Ткешелиадзе — Монография о причинной связи в советском уголовном праве	63
---	----

БЕСЕДЫ С НАРОДНЫМИ ЗАСЕДАТЕЛЯМИ

Беседа третья — Основные положения законодательства Советского уголовного права	63
---	----

НОВОЕ В ЗАКОНОДАТЕЛЬСТВЕ	73
------------------------------------	----

В буржуазных странах	76
--------------------------------	----

СУДЕБНАЯ ПРАКТИКА	77
-----------------------------	----

მეზი ყუარღაბა მშრომელთა სარჩობას

საბჭოთა ხალხი გარემოცული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის განუწყვეტელი მზრუნველობით წარმატებით ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანებს. მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის განუხრელი აღმავლობის შედეგად ყოველდღიურად იზრდება საბჭოთა ადამიანის როლი ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური და კულტურული მშენებლობის გადამწყვეტ უბნებზე.

კომუნისტური პარტია სათავეში უდვას მშრომელთა აქტივობასა და ინიციატივას. პარტია მოითხოვდა და მოითხოვს, რომ პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები, მათი ხელმძღვანელები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი მასებთან, მხარს უჭერდნენ მათს ინიციატივასა და წინადადებებს, დაულალავად ზრუნავდნენ მშრომელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური დემოკრატიის შემდგომმა ზრდამ და განმტკიცებამ განაპირობა მშრომელთა მასების ფართოდ ჩაბმა სახელმწიფო მმართველობაში. ამასთან დაკავშირებით იზრდება მშრომელთა კრიტიკული დამოკიდებულება იმ ნაკლოვანებებისადმი, რომლებსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს სამეურნეო მშენებლობის ცალკეულ უბნებზე. მშრომელები თავიანთ წერილებსა და განცხადებებში პირადი საკითხების გარდა ხშირად აყენებენ მთელ რიგ კონკრეტულ წინადადებებს სახელმწიფო მმართველობის აპარატის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

მშრომელთა წერილებისა და განცხადებებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება დაწესებულებების და ორგანიზაციების მუშაკთა უპირველეს მოვალეობას შეადგენს. უყურადღებო დამოკიდებულება მშრომელთა წერილებისა და განცხადებებისადმი ყოველად დაუშვებელი, უცხო და შეუთავსებელია სახელმწიფო მმართველობის სოციალისტურ სისტემასთან. ამიტომ, ჩვენს მუშაობაში არ შეიძლება ადგილი ქონდეს საბჭოთა ადამიანების წერილებისა და განცხადებების უგულვებელყოფას და მათდამი ბიუროკრატიულ მიდგომას.

ვ. ი. ლენინი გადაჭრით მოითხოვდა შეურიგებლობას ბიუროკრატიზმის ყოველგვარი გამოვლინების მიმართ, საქმის გაჭიანურების საჯაროდ გამოტანას: „...საჭიროა ასეთი საქმეები,— წერდა იგი,— არ დავტოვოთ ბიუროკრატიულ დაწესებულებათა ფარგლებში, არამედ გამოვიტანოთ საჯარო სამსჯავროზე, არა იმდენად იმისათვის, რომ სასტიკად დავსაჯოთ ვინმე (შესაძლებელია საკმაო იყოს საყვედური), არამედ იმისათვის, რომ საჯაროდ გამოვიტანოთ და გავაქარწყლოთ ის საყოველთაო რწმენა, რომ დამნაშავე დაუსჯელი რჩება“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებაში „სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ მშრომელთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების განხილვაში“ მკაცრად არის გაკრიტიკებული ისეთი პრაქტიკა, როცა ჯეროვანი პოლიტიკური ყურადღება არ ექცევა წერილებისა და განცხადებების განხილვას, ადგილი აქვს ბიუროკრატიულ, ფორმალურ დამოკიდებულებას მათდამი, თავის დროზე არ ხდება მშრომელთა წერილებისა და განცხადებების განხილვა, ხშირად პასუხები მათი თავიდან მოცილების ხასიათს ატარებენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილება მიმართულია მშრომელთა წერილების, განცხადებების და საჩივრების განხილვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრისაკენ. ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებაში პარტიულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს პირადი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, რათა მომავალში სათანადოდ იქნას დაყენებული მშრომელთა წერილებისა და საჩივრების განხილვის საქმე.

გაზეთი „პრავდა“ მოწინავეში პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღნიშნულ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით წერდა, რომ პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან ანალიზი გაუკეთონ მშრომელთა წერილებსა და განცხადებებს, ასეთი ანალიზი ხელს შეუწყობს ნაკლოვანებათა გამოვლინებას ცალკეულ უბნებში, ღონისძიებათა თავის დროზე მიღებას, რითაც აღიკვეთება ბევრი განცხადებისა და საჩივრის გამომწვევი მიზეზებიც. ამასთან „პრავდა“ აღნიშნავდა, საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ საჩივრები, როგორც წესი, მოდის იქიდან, სადაც დაშვებულია საბჭოთა კანონმდებლობის დარღვევა, საქმის გაჭიანურება.

სოციალისტური კანონიერების ცხოვრებაში განუხრელად გატარება წარმოადგენს საბჭოთა კონსტიტუციით განმტკიცებულ მოქალაქეთა უფლებების დაცვის გარანტიას.

საბჭოთა კანონიერების დაცვისა და განმტკიცების საქმეში განსაკუთრებული როლი უკავიათ პროკურატურის, სასამართლოსა და იუსტიციის ორგანოებს, რომლებიც მოწოდებული არიან განახორციელონ ზედამხედველობა ამ მიმართებით. მათი მოვალეობაა რეაგირება მოახდინონ და პასუხისმგებლობა დააკისრონ მათ, ვინც არღვევს საბჭოთა კანონიერებას, აჭიანურებს საქმეების განხილვას და იჩენს უმოქმედობას მშრომელთა საჩივრების, წერილებისა და განცხადებების დროულად და სწორად გადაწყვეტის საქმეში.

საქართველოს სს რესპუბლიკის სასამართლო, პროკურატურისა და იუსტიციის ორგანოები ჯეროვან ყურადღებას აქცევენ მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვას, მაგრამ როგორც უკანასკნელ პერიოდში ჩატარებულმა შემოწმებამ გვიჩვენა, ჯერ კიდევ არსებობს ნაკლოვანებები მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების შემოწმების საქმეში. საქართველოს სს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურას და უმაღლეს სასამართლოს გარკვეული მუშაობის ჩატარება დასჭირდება აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

შემოწმებით გამოირკვა, რომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მუშაობის ძირითად ნაკლს ამ მიმართულებით შეადგენს ის, რომ სამინისტროს მხრივ ჯერ კიდევ შესაბამისად არ არის უზრუნველყოფილი კონტროლი სახალხო სასამართლოების მუშაობაზე. სახალხო სასამართლოები ყოველთვის და დროულად არ ახდენენ რეაგირებას მშრომელთა საჩივრებსა და განცხადებებზე, რაც იწვევს საჩივართა ზრდას. არის შემთხვევებიც, როდესაც სამინისტროს განყოფილებებს უხდებათ სასამართლოებისათვის ერთსა და იმავე საკითხზე რამოდენიმე შეხსენების გაგზავნა.


საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ სამჯერ გაუგზავნა შეხსენება ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს, მოქალაქეების ნ. კიკრიაშვილის, მ. კირვალიძის და სხვათა საჩივრებზე პასუხის გასაცემად. ასევე რამოდენიმე შეხსენება გაეგზავნა ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს, მოქალაქეების თუმანიანის, კომმაროვის და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჩივრებზე პასუხის გაცემის შესახებ. ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი აქვს ქ. თბილისის სტალინის სახელობის, 26 კომისიის სახელობის, და სამტრედიის რაიონების სახალხო სასამართლოებში.

იუსტიციის სამინისტროს განყოფილებაში საკმაო რაოდენობით მოიპოვება განხილვის ვადაგადაცილებული საკონტროლო საჩივრები. აღნიშნული საჩივრები ირიცხება ცხაკაიას, გარდაბნის, თელავის, ქარელის, მახარაძის, ბოლნისის, ლანჩხუთის, სამტრედიის, ქუთაისის სახალხო სასამართლოებზე და აგრეთვე აფხაზეთის ასსრ იუსტიციის სამინისტროზე.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში საჩივრებისა და განცხადებების განხილვის მდგომარეობის შემოწმებამ დაგვანახა, რომ საჩივრების საფუძველზე გამოთხოვილი ბევრი საქმე დიდი დაგვიანებით შემოდის, ამასთან არარეგულარულად ხდება სასამართლოებზე განმეორებითი შეხსენების გაგზავნა საქმეთა გამოგზავნის შესახებ და არ არის მიღებული ქმედითი ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა მოსასპობად. ადგილი აქვს აგრეთვე შემოსული საჩივრების დაგვიანებით და არადანიშნულებისამებრ მიწოდებას.

მაგალითად, მოქალაქე ბეჭაურის საჩივარი უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს მოხსენდა მხოლოდ 14 დღის შემდეგ; ამ ხნის განმავლობაში კი ორჯერ იქნა გაგზავნილი სასამართლოს შეხსენება ბეჭაურის საქმის ზედამხედველობის წესით გამოთხოვის შესახებ. აფხაზეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოს მიმდინარე წლის მაისიდან რამოდენიმეჯერ გაეგზავნა შეხსენება არუთინოვის საქმეზე. ასეთ შემთხვევაში საჭირო იყო საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს გადაჭრით დაეყენებინა საკითხი იუსტიციის სამინისტროს წინაშე მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.

საჩივრების საფუძველზე გამოთხოვილი საქმეების განხილვა, როგორც წესი, წარმოებს დაწესებულ ვადებში, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც საქმეების განხილვა ჭიანჭურდება ორ, სამ და სამ თვეზე მეტ ხანს. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ უმაღლეს სასამართლოში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული საქმეთა განხილვა დაწესებულ ვადაში. საჩივრებზე პასუხების გაცემა ძირითადად მოტივირებულად ხდება, მაგრამ ზოგჯერ აქაც აქვს ადგილი დარღვე-



ვებს, რაც საჩივრების არაგულისხმეირად შესწავლასა და ფორმალურად პასუხის გაცემაზე მეტყველებს. ეს გარემოება ზემდგომი ორგანოებიდან, რედაქციებიდან და მომჩივანისაგან განმეორებითი საჩივრების შემოსვლის საფუძველს ქმნის.

ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი აქვს საქართველოს სსრ პროკურატურაშიც. საჩივრებისა და განცხადებების დიდი რაოდენობით შესვლა რესპუბლიკის პროკურატურაში ნაწილობრივ ახსნილი უნდა იქნას იმით, რომ განმცხადებლები თავიანთ საჩივრებზე არ ღებულობენ ამომწურავ, დასაბუთებულ და მოტივირებულ პასუხს. ზოგჯერ კი საჩივრები სრულებით პასუხის გარეშე რჩება.

საჩივრების განხილვის შემოწმებამ რესპუბლიკის პროკურატურაში გვიჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საჩივრები განსახილველად ეგზავნება იმავე პროკურატურას, რომლის გადაწყვეტილებაზეც შემოტანილია საჩივარი. მოქალაქე როგინსკი თავის საჩივარში აღნიშნავდა, რომ მისი შვილი პასუხისგებაში იქნა მიცემული და შემდგომ მსჯავრდადებული რაიონის პროკურატურის ერთერთი მუშაკის პირადი დაინტერესების საფუძველზე. ნაცვლად იმისა, რომ საქმის გამოთხოვით შემოწმებულიყო განაჩენის კანონიერება, საჩივარი გადაეგზავნა იმავე პროკურატურას დასკვნისათვის, ხოლო შემდეგ რესპუბლიკის პროკურატურამ განმცხადებელს საჩივარზე პასუხი გასცა პროკურატურიდან მიღებული დასკვნის საფუძველზე.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა განცხადებები იგზავნება არადანიშნულებისამებრ. მოქალაქე დოლიძის განცხადება შესამოწმებლად გადაეგზავნა ლანჩხუთის რაიონის პროკურატორს იმ საფუძველით, რომ განმცხადებელი ლანჩხუთის რაიონში ცხოვრობს. სინამდვილეში საქმე განხილული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პირველი ინსტანციის მიერ.

შემოწმებამ გვიჩვენა აგრეთვე ისიც, რომ ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს კანონის დარღვევებზე დავიანებით რეაგირებას. მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1956 წლის 12 მაისის დადგენილებით გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს 1956 წლის 15 იანვრის განაჩენი მსჯავრდადებულ შ. მაკალათიას მიმართ გაუქმდა და საქმე ხელახლა განხილვისათვის გადაეცა ახმეტის რაიონის სახალხო სასამართლოს. ამ ხნის განმავლობაში მსჯავრდადებული მაკალათია, რომელსაც სასჯელად განესაზღვრა პირობითი საგამოცდო ვადა, მუდმივ საცხოვრებლად გადავიდა ქ. კუიბისევეში. ახმეტის სახალხო სასამართლომ შ. მაკალათიას უწყება გაუგზავნა ძველ მისამართზე, არ დააზუსტა მაკალათიას მიერ უწყების მიღება და იგი დაუსწრებლად გაასამართლა. მსჯავრდადებულს საჩივარზე განაჩენის გაპროტესტების შესახებ უარი ეთქვა, ხოლო მსჯავრდადებულის შემდგომი საჩივრებისა და საკავშირო პროკურატურის მითითების საფუძველზე ერთი წლის შემდეგ შეტანილი იქნა პროტესტი განაჩენის გასაუქმებლად იმ მოტივით, რომ მსჯავრდადებულ მაკალათიასთვის ცნობილი არ ყოფილა ხელმეორედ განხილვის დანიშვნა, რითაც სასამართლომ კანონი დაარღვია.

საბჭოთა სოციალისტური კანონიერების ცხოვრებაში განუხრელად გასატარებლად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, უმაღლესი სასამარ-

ოლქისა და პროკურატურის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საქმეში ქმედითი დონისძიებების შემუშავებისა და ოპერატიული მოქმედების გზით უახლოეს ხანში დაძლეული და აღმოფხვრილი უნდა იქნას.

მოქალაქეთა საჩივრებსა და განცხადებებზე გულისხმიერი მუშაობა და დროულად პასუხის გაცემა ყველა საბჭოთა დაწესებულებისა და სასამართლო, პროკურატურისა და იუსტიციის ორგანოების საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი უზანია. ამ საქმის სწორად დაყენება დიდად შეუწყობს ხელს კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმების წარმატებით განხორციელებას .



მსუბუქი ავტობიოგრაფიის ფულოკალთა და ამ მანქანების მძღოლთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევით საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი საკითხი

მ. ლ. მ. ი. ძ. ე

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

ექვს თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1958 წლის 18 მარტს გამოსცა ბრძანებულება „მოძრაობის წესების და ავტომანქანების ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა პასუხისმგებლობის შესახებ“.

როგორც ცნობილია, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ტრანსპორტის მუშაკები შრომითი დისციპლინის დარღვევის (მოძრაობის წესების დარღვევა, მოძრაობის შედგენილობისა და გზის უხეირო რემონტი და სხვა) შემთხვევაში, უკეთეს ამ დარღვევას მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა მძიმე შედეგი, გათვალისწინებული საქართველოს სსრ ს.ს. კოდექსის 58¹⁷ „გ“ პუნქტში, პასუხს აგებენ სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლით.

პირადი საკუთრების მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა მიერ მოძრაობის წესებისა და ავტომანქანების ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულებამდე არ არსებობდა რაიმე პირდაპირი ნორმა არც სისხლის სამართლის კოდექსში და არც ცალკე საკანონმდებლო აქტი. ეს გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სისხლის სამართლის კოდექსების მიღების დროს მსუბუქი ავტომანქანების პირადი საკუთრება იშვიათი შემთხვევა იყო. ამჟამად, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის მძლავრი აღმავლობის შედეგად, რასაც საბჭოთა ხალხმა მიაღწია მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, მსუბუქ ავტომანქანებზე პირადი საკუთრება მნიშვნელოვნად გაიზარდა.

პირადი საკუთრების მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის რეგულირება ხდებოდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ანალოგიის პრინციპის მიხედვით, რამაც ერთგვარი გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1950 წლის 15 სექტემბრის დადგენილებაში. ამ დადგენილებით სასამართლოებს მითითება მიეცათ, რომ მოძრაობის წესების დარღვევა არატრანსპორტის მუშაკების მიერ, უკეთეს ეს დარღვევა აშკარა ბოროტული ხასიათისაა (მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვა, გადაჭარბებული სისწრაფის განვითარება, ხულიგნური ქვენაგრძნობა და სხვ.) და მას შედეგად მოჰყვა ადამიანის მსხვერ-

პლი ან დასახიჩრება, დაკვალიფიცირებულიყო როგორც განზრახ მკვლელობა ან სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება საქართველოს სსრ ს.ს. კოდექსის 144 ან 151 მუხლების შესაბამისად, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულის სიკვდილი შედეგი იყო მოძრაობის წესების დარღვევისა, მაგრამ შემოდგამოთვლილი დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, სისხლის სამართლის კოდექსის 148 მუხლით.

არატრანსპორტის მუშაკის მიერ მოძრაობის წესების დარღვევის ყველა სხვა შემთხვევა, თუ ამ დარღვევას შედეგად მოჰყვა სხეულის დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის შემოდგინიშნული დადგენილების მეორე მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად, უნდა დაკვალიფიცირებულიყო რსფსრ ს.ს.კ. 75¹ მუხლით, რაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 103² მუხლს შეესატყვისება.

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის აღნიშნული მითითებანი რიგ შემთხვევებში იწვევდა კანონის არასწორ შეფარდებას განზრახ მკვლელობისათვის ან სხეულის დაზიანებისათვის. საკმარისი იყო დადგენილი ყოფილიყო ავტომანქანის მართვის ფაქტი არაფხიზელ მდგომარეობაში ან გადაჭარბებული სისწრაფის განვითარება, თუ მას შედეგად ადამიანის სიკვდილი მოჰყვებოდა, რომ დანაშაულებრივი ქმედობა დაკვალიფიცირებულიყო საქართველოს სსრ ს.ს. კოდექსის 144 მუხლით, როგორც განზრახ მკვლელობა, რაც ცხადია, არ იყო სწორი. ამიტომ, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1957 წლის 10 აპრილის დადგენილებით შეტანილი იქნა არსებითი ცვლილება პლენუმის 1950 წლის 15 სექტემბრის დადგენილების მეორე მუხლში და სასამართლო ორგანოებს მიეთითა, რომ არატრანსპორტის მუშაკთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევა, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანის სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც განზრახ მკვლელობა ან სხეულის მძიმე დაზიანება იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე ითვალისწინებდა ასეთი შედეგების დადგომას და შეგნებულად უშვებდა მათ.

მაგრამ ამის დადგენა მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ხდებოდა, ხოლო პირადი საკუთრების მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა მიერ ჩადენილი მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად ადამიანის სიკვდილის ან სხეულის მძიმე დაზიანების კვალიფიკაცია ხდებოდა, როგორც გაუფრთხილებლობით მკვლელობა ან გაუფრთხილებლობით სხეულის მძიმე დაზიანების მიყენება, რაც ერთიადიგივე დანაშაულისათვის აშკარა უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა პირადი საკუთრების ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ტრანსპორტის მძღოლებთან შედარებით: საქართველოს სსრ ს.ს. კოდექსის 58¹⁷ მუხლის „გ“ პუნქტის 1 ნაწილი, რომლითაც ტრანსპორტის მუშაკები პასუხს აგებენ მოძრაობის წესების დარღვევისათვის, თუ ამ დარღვევას შედეგად მოჰყვა ადამიანის სიკვდილი ან სხეულის დაზიანება ან სხვა რაიმე მძიმე შედეგი, ითვალისწინებს სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთას ათ წლამდე, ხოლო გაუფრთხილებლობით მკვლელობისათვის კანონი (ს.ს. კოდ. 148 მუხლი) ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით არა უმეტეს სამი წლისა და სხეულის დაზიანებისათვის გაუფრთხილებლო-

ბით — არა უმეტეს 2 წლისა (ს. ს. კოდ. 156 მუხლი). ამ გარემოებით იყო გამოწვეული საქართველოს სსრ და ზოგიერთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში სპეციალური კანონის მიღება, რომლითაც წესრიგდება პასუხისმგებლობა არატრანსპორტის მუშაკების მიერ მოძრაობის წესების დარღვევისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულებით მოწესრიგებულია მსუბუქი ავტომანქანების მფლობელების და ამ მანქანების მძღოლების მიერ ავტოტრანსპორტის პირადი გამორჩენის მიზნით გამოყენებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი. ამ ბრძანებულებამდე ასეთი შემთხვევები კვალიფიცირდებოდა საქართველოს სსრ ს. ს. კოდ. 108 მუხლით, როგორც აკრძალული რეწვა. 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულების მეორე მუხლის შესაბამისად მსუბუქი ავტომანქანების მფლობელები და ამ მანქანების მძღოლები ავტოტრანსპორტის გამოყენებისათვის პირადი გამორჩენის მიზნით დაჯარიმდებიან 100—500 მანეთამდე ან დაპატიმრებული იქნებიან ვადით 3-დან 15 დღემამდე, აგრეთვე ჩამოერთმევათ ავტოტრანსპორტის მართვის უფლება 6 თვემდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე, ავტომანქანის კონფისკაციას და ავტოტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევას ორ წლამდე ვადით.

კანონის ამ ნორმას მეტი გარკვეულობა შეაქვს ამ საქმეში და ამასთან ერთად აწესებს პასუხისმგებლობას პირადი გამორჩენის მიზნით ავტოტრანსპორტის გამოყენების პირველ შემთხვევაშიც. შემოდმოყვანილი ბრძანებულების მესამე მუხლის თანახმად ავტოტრანსპორტის წესების და მისი ექსპლოატაციის წესების დარღვევა მსუბუქი ავტომანქანების მფლობელებისა და ამ მანქანების მძღოლთა მიერ, რასაც მოჰყვა ადამიანის სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ათ წლამდე და ავტოტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევას ხუთ წლამდე. იგივე მოქმედება, თუ მას შედეგად მოჰყვა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე და ავტომანქანის მართვის უფლების ჩამორთმევას ორ წლამდე.

მსუბუქი ავტომანქანის მფლობელის მიერ ავტომანქანის გადაცემა მართვისათვის ისეთ პირზე, რომელსაც ავტოტრანსპორტის მართვის უფლება არა აქვს, თუ ამას შედეგად მოჰყვა ადამიანის დაღუპვა ან სხეულის მძიმე დაზიანება, გამოიწვევს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას იმავე ვადით და ავტომანქანის კონფისკაციას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამ ბრძანებულებას, რომელმაც პირადი საკუთრების მსუბუქი ავტომანქანების მფლობელების და ამ მანქანების მძღოლების სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობა ერთგვარ თანაფარდობაში მოიყვანა ავტოტრანსპორტის მუშაკების პასუხისმგებლობასთან, უდიდესი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს და, ეჭვს გარეშეა, იგი ხელს შეუწყობს ავტოავარიების და სხვა დარღვევების მკვეთრად შემცირებას.

ამ წერილის მიზანია გააშუქოს ზოგიერთი საკითხი, რომელიც სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმ-

მის 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულების ცხოვრებაში გატარებასთან დაკავშირებით.

1) ბრძანებულება ითვალისწინებს პირადი საკუთრების მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა პასუხისმგებლობას. არის შემთხვევები, როდესაც პირადი საკუთრების ავტომანქანას მართავს პიროვნება, რომელიც არც მფლობელია და არც ოფიციალური მძღოლია მისი. უნდა შეეფარდოს თუ არა ასეთ პიროვნებას 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულება, თუ მის მიერ ჩადენილი იქნება ამ ბრძანებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული? ეს საკითხი უდაოდ დადებითად უნდა გადაწყდეს, რადგან კანონმდებელს, ჩვენი აზრით, მძღოლის ცნებაში მხედველობაში ჰყავს არა მხოლოდ ის პიროვნება, რომელიც ოფიციალური ხელშეკრულებით მუშაობს ამ მანქანაზე როგორც მძღოლი, არამედ ყველა ის პირი, ვინც ავტომობილის წესების დარღვევის მომენტში ფაქტიურად მართავდა ამ მანქანას. ასე სწყვეტენ ამ საკითხს საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოები.

2) შეიძლება თუ არა ამ ბრძანებულებით პასუხი აგონ ავტომობილის წესების დარღვევისათვის მოტოციკლეტების პატრონებმა და მძღოლებმა? ასეთი საკითხი პრაქტიკაში წამოიჭრა იმიტომ, რომ ბრძანებულებაში მითითებულია მხოლოდ მსუბუქ ავტომანქანებზე. ჩვენი აზრით, პირადი საკუთრების მოტოციკლეტების მფლობელებმა და ამ მოტოციკლეტების მძღოლებმა პასუხი უნდა აგონ ზემოდაღნიშნული ბრძანებულების მე-3 მუხლით, თუ მათ მიერ ჩადენილი იქნება ამ მუხლში გათვალისწინებული დანაშაული, რადგან არსებითად ამ სახის ტრანსპორტის ავარიით გამოწვეული ადამიანის მსხვერპლი ან სხვა მძიმე შედეგი საზოგადოებრივი საშიშროების მხრივ არაფრით არ განსხვავდება მსუბუქი ავტომანქანის ავარიით გამოწვეულ მძიმე შედეგისაგან.

რადგან 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულებაში პირდაპირ არ არის მითითებული მოტოციკლეტების მესაკუთრეთა და მძღოლთა პასუხისმგებლობის შესახებ, შეიძლებოდა ამ პირთა მიერ 18 მარტის ბრძანებულებაში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში გვეხელმძღვანელა ანალოგიით — საქართველოს სსრ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლით, მაგრამ ამჟამად, როდესაც ანალოგიის პრინციპი ჩვენს ქვეყანაში საერთოდ უარყოფილია და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისების პროექტი მას არ ითვალისწინებს, არ იქნებოდა მიზანშეწონილი მიგვემართა ანალოგიისათვის. 1958 წლის 18 მარტის კანონის აზრის სწორი გაგებით, კანონმდებელს მხედველობაში ყავს ავტოტრანსპორტის ყველა სახე, გარდა სატვირთო ავტომანქანებისა, რადგან პირად საკუთრებაში სატვირთო მანქანები ჩვენს პირობებში არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ.

ესტონეთის სსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმდინარე წლის 24 მაისის ბრძანებულებაში მოძრაობის წესებისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ ლაპარაკია არა მხოლოდ მსუბუქ ავტომანქანებზე, არამედ საერთოდ, ავტომობილ-ტრანსპორტზე. ამ მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ რსფსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის კო-



დექსების პროექტებში გათვალისწინებულია პირადი საკუთრების ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა და ამ ტრანსპორტის მძღოლთა პასუხისმგებლობა.

სასამართლო ორგანოები სწორედ ასე უდგებიან ამ საკითხის გადაწყვეტას. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს: მოქ. ი. ბ. ნანიკაშვილი მიმდინარე წლის 27 მაისს არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა საკუთარ მოტოციკლეს, განავითარა დიდი სისწრაფე და დააჯახა მოქ. გუდიევი. რომელიც ამის შედეგად გარდაიცვალა. გორის რაიონის სახალხო სასამართლომ ნანიკაშვილს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის მარტის ბრძანებულების მე-3 მუხლის პირველი ნაწილით ხანგრძლივი დროით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, რაც სავსებით სწორად უნდა ჩაითვალოს.

სასამართლო პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევასაც, როდესაც წყალტუბოს რაიონის სასამართლომ 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულების მე-3 მუხლის I ნაწილით დააკვალიფიცირა მოქ. ბოროდინის ქმედობა, რომელიც მიდიოდა რა ველოსიპედით, დაეჯახა მოქალაქეს, რომელიც წაიქცა, დაარტყა თავი ასფალტს და იქვე გარდაიცვალა. ხსენებული შემთხვევის ასეთი კვალიფიკაცია მცდარია. დაუშვებელია 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულებით განხილული იქნას ყოველგვარი სახის ტრანსპორტით მიყენებული ზიანი. თუ ამ კანონის ასეთი ფართე გამოყენება დავუშვით, ალბათ ურემიც გათანაბრებული იქნება ავტომოტოტრანსპორტთან, რაც უხეში დარღვევა იქნებოდა აღნიშნული ბრძანებულებისა. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მიერ ბოროდინის მიერ ჩადენილი დანაშაული სწორად იქნა კვალიფიცირებული, როგორც გაუფრთხილებლობით მკვლელობა საქართველოს სსრ ს.ს. კოდ. 148 მუხლით.

ამ ბრძანებულების მე-3 მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის. დადგება თუ არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ხსენებული მუხლით იმ შემთხვევაში, როდესაც მოძრაობის წესების უხეში დარღვევის შედეგად დაზარალებულმა მიიღო სხეულის მსუბუქი დაზიანება? სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ავტოტრანსპორტის მუშაკები ასეთ შემთხვევაში პასუხს აგებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58¹⁷ მუხლის „გ“ პუნქტის პირველი ნაწილით. აქედან გამომდინარე არაფრით არ იქნება გამართლებული, თუ პირადი საკუთრების მანქანების მფლობელები და ამ მანქანების მძღოლები პასუხისმგებლობიდან იქნებიან განთავისუფლებული, რადგან დანაშაულის ეს სახე საზოგადოებრივად დიდ საშიშროებას წარმოადგენს, მას ხშირად შეიძლება გაცილებით უფრო მძიმე შედეგები მოჰყვეს. კანონმდებელს სხეულის მსუბუქი დაზიანება დასასჯელ მოქმედებად რომ მიაჩნია, იქიდან სჩანს, რომ 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულების I მუხლით მსუბუქი ავტომანქანების მფლობელები და ამ მანქანების მძღოლები ისჯებიან გაცილებით უფრო ნაკლებად საშიში ქმედობისათვის, ვიდრე ავტომოძრაობის წესების დარღვევა, რომელსაც შედეგად მოჰყვა ავტოავარია და მოქალაქეთა სხეულის მსუბუქი დაზიანება.

აქედან გამომდინარე, როდესაც მოძრაობის წესების დარღვევის შედე-

გად მომხდარი ავტოავარიით დაზარალებულს მიყენებული აქვს მსუბუქი დაზიანება, სასამართლო ორგანოები დამნაშავეს სამართალში აძლევენ 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულებით.

მოქალაქე დ. ი. ბერიკაშვილმა მიმდინარე წლის 2 ივნისს პირადი საკუთრების ავტომანქანის მართვის დროს უხეშად დაარღვია მოძრაობის წესები, რის შედეგად მანქანამ განიცადა ავარია და მოქ. ქურციკიძემ მიიღო სხეულის მსუბუქი კატეგორიის დაზიანება. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ ბერიკაშვილის დანაშაული დააკვალიფიცირა 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულების მე-3 მუხლის მეორე ნაწილით.

თუმცა ძალიან იშვიათად, მაგრამ პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ავტომანქანის მძღოლი მანქანას იყენებს, როგორც იარაღს განზრახ მკვლელობის ჩასადენად. ასეთი შემთხვევა, ცხადია, განხილული უნდა იქნას როგორც განზრახ მკვლელობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 144 ან 145 მუხლით, იმის მიხედვით, თუ რა მოტივით და რა პირობებში იქნება ჩადენილი მკვლელობა.

წულუკიძის რაიონში მოქალაქე ჩ-ძემ 1955 წლის სექტემბერში მკვლელობის წინასწარი განზრახვით მანქანის დაჯახების შედეგად მოკლა თავისი ყოფილი სიდედრი, რომელთანაც იმყოფებოდა მტრულ განწყობილებაში. მოცემულ შემთხვევაში ავტომანქანა გამოყენებული იქნა განზრახ მკვლელობის ჩასადენად, რის გამოც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ გააუქმა რა განაჩენი ამ საქმეზე, მიუთითა ჩ-ძის დანაშაულებრივი ქმედობის ს. ს. კოდექსის 144 მუხლით დაკვალიფიცირების შესახებ.

იმ შემთხვევაშიაც, როდესაც უდაოდ დადგენილი იქნება, რომ ავტომანქანის მძღოლი ითვალისწინებდა მძიმე შედეგის დადგომას და შეგნებულად უშვებდა მას, მისი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 10 აპრილის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ ს. ს. კოდექსის 144 ან 151 მუხლით დამდგარი შედეგის მიხედვით და არა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულებით, რადგან მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მხოლოდ მოძრაობის წესების დარღვევასთან, არამედ არაპირდაპირ (ევენტუალურ) განზრახვასთან.

ამ მოსაზრების დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ გ. პ-ის მაგალითი; იგი თბილისში მართავდა პირადი საკუთრების მანქანას, განავითარა 70 კილომეტრზე მეტი სიჩქარე, დააჯახა მანქანა ქუჩაზე გადამსვლელ ბავშვს და გადაისროლა ის 16 მეტრით წინ. პ-მა ამის შემდეგაც არ დაამუხრუჭა მანქანა და გადააჭარა იგი ქუჩაზე დავარდნილი ბავშვის სხეულზე. ამ შემთხვევაში დამნაშავე ითვალისწინებდა, რომ მის მიერ დაშვებული მოძრაობის წესების დარღვევას შედეგად შეიძლება მოჰყოლოდა ადამიანის მსხვერპლი და შეგნებულად უშვებდა ასეთი შედეგის დადგომას. სახალხო სასამართლომ პ-ის დანაშაულებრივი ქმედობა სწორად დააკვალიფიცირა სისხლის სამართლის კოდექსის 144 მუხლის I ნაწილით.

არის შემთხვევა, როდესაც მანქანას მართავს პიროვნება, რომელმაც არ



იცის მანქანის მართვა და არც სათანადო ნებართვა აქვს. ჩვენი აზრით, თუ ავტოავარიას ადამიანის მსხვერპლი მოჰყვება, ასეთი შემთხვევაც განხილული უნდა იქნას ს. ს. კოდექსის 144 მუხლის I ნაწილით, რადგან პიროვნება, რომელმაც არ იცის ავტომანქანის მართვა და მოძრაობის წესები, აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს და ითვალისწინებს კიდევ თავისი მოქმედების მძიმე შედეგს და შეგნებულად უშვებს ასეთი შედეგის დადგომას. რაიმე თვითიმედოვნება, რომ მარცხი თავიდან იქნება აცილებული, ამ შემთხვევაში გამოირიცხებულია.

ს. ს. კოდექსის 144 მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს მოძრაობის წესების ისეთი უხეში დარღვევაც, როდესაც ადამიანის მსხვერპლს ადგილი აქვს მანქანის ტროტუარზე აყვანისა და ტარების შედეგად, გადასასვლელის დიდი სისწრაფით გავლის შედეგად, როდესაც გზა გახსნილია მოქალაქეთათვის და დაკეტილია ავტომანქანებისათვის და სხვ. ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევებში პიროვნება არ შეიძლება არ ითვალისწინებდეს მძიმე შედეგის დადგომას და, თუ ეს ასეა, მაშასადამე, შეგნებულად უშვებს მას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მიერ ძირითადად სწორად ტარდება აღნიშნული ბრძანებულება, მაგრამ ზოგიერთი რაიონის მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ მკაცრად არ ტარდება ბრძანებულებით გათვალისწინებული ზომები ავტომობილისა და ექსპლოატაციის წესების დამრღვევ პირთა წინააღმდეგ.

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლომ 1958 წლის 3 ივნისის განაჩენით მოქ. ჩიკვაშვილს, რომელიც მართავდა მასზე გაპიროვნებულ პირადი საკუთრების მანქანას და რომელმაც მოძრაობის წესების უხეში დარღვევის შედეგად მანქანა დააჯახა მოქ. თ-ს და მოკლა იგი, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულების შესამე მუხლის I ნაწილით მხოლოდ ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ჯერ კიდევ სუსტია ბრძოლა იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ავტომანქანებს პირადი გამორჩენის მიზნით იყენებენ.

თბილისის გარეუბნის რაიონის სახალხო მოსამართლემ ამხ. ჭელიამ ავტომანქანის მფლობელი თოფჩიშვილი, რომელიც მანქანას სისტემატურად იყენებდა პირადი გამორჩენის მიზნით, მხოლოდ ორასი მანეთით დააჯარჯა და მანქანის მართვის უფლება ჩამოართვა ორი თვით. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ლომბიერი განაჩენები გამოაქვთ აგრეთვე გურჯაანის, წყალტუბოს, ქ. თბილისის სტალინის, კალინინის და 26 კომისარების სახელობის რაიონების ზოგიერთ სახალხო მოსამართლეებს.

პრეზიდიუმმა მიუთითა აგრეთვე მთელ რიგ სხვა დარღვევებზე და დაავალა საქართველოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებს გადამკრელი ზომები მიიღონ 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულების ცხოვრებაში განუხრელად გატარებისათვის.

გარდასული პერიოდის მთავარი შედეგები და თანამედროვე რევიზიონიზმი

დოც. ი. ნაჭვავია

თანამედროვე რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი იდეური და პოლიტიკური განადგურება საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანესი პირობაა. ვ. ი. ლენინი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ იმპერიალიზმის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლა შეუძლებელია მსოფლიო მუშათა მოძრაობის შიგნით ყოველგვარი ოპორტუნიზმის დაუნდობელი მხილებისა და დაძლევის გარეშე, რომ იმპერიალიზმთან ბრძოლა, თუ იგი განუყრელად არ დაეკავშირეთ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან, ცარიელი და უკრუ ფრაზაა.

მუშათა საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაში რევიზიონისტები იმპერიალიზმის აგენტურის როლს თამაშობენ. ისინი კაპიტალიზმის დაღუპვისაგან გადარჩენის მიზნით ცდილობენ შიგნიდან გახრწანს მუშათა მოძრაობა, გასთიფონ მუშათა კლასის ერთიანობა და მოაღუნონ მისი ბრძოლისუნარიანობა, დააბნელონ მუშათა რევოლუციური თვითშეგნება და დაუკარგონ მათ რწმენა მარქსიზმისადმი.

თანამედროვე რევიზიონისტები ილაშქრებენ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ყველა ძირითადი საკითხის წინააღმდეგ — კლასთა ბრძოლის, პროლეტარული რევოლუციისა და კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული აუცილებლობის, კომუნისტებისათვის ბრძოლაში მუშათა კლასისადმი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

1

წარმოების კაპიტალისტური წესიდან სოციალისტურ წესზე გადასვლის მარქსისტული მოძღვრების ძირითადი შინაარსი ჩამოყალიბებულია კ. მარქსის ცნობილ ნაწარმოებში „გოთას პროგრამის კრიტიკა“. „კაპიტალისტურსა და კომუნისტურ საზოგადოებას შორის, — წერდა მარქსი, — მდებარეობს ერთი მხოლოდ რევოლუციური გარდაქმნის პერიოდი — გარდამავალი პერიოდი. ამ პერიოდს შეესაბამება პოლიტიკურად გარდამავალი პერიოდი, და ამ პერიოდის სახელმწიფო არ შეიძლება იყოს სხვა, თუ არა პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა“¹.

გარდამავალი პერიოდის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების აღნიშნული დებულების სახელმძღვანელო მნიშვნელობა პროლეტარულ რე-

¹ კ. მარქსი, გოთას პროგრამის კრიტიკა, 1953 წ., გვ. 30.

ვოლუციაში დადასტურებულია საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილებით, 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის ისტორიული გამოცდილებით, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილებით.

როგორც მარქსიზმის ადრიხდელი რევიზიონისტები (ბერშტეინისა და კაუცკის სახით), ისე თანამედროვე რევიზიონისტები ერთის მხრივ აღიარებენ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის აუცილებლობას, მეორეს მხრივ კი უარყოფენ ამ გადასვლის რევოლუციურ ხასიათს. კერძოდ, უარყოფენ იმ ურყევ დებულებას, რომ კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის ძვეს პირველის შეორედ რევოლუციურად გარდაქმნის საკმაოდ რთული პერიოდი და აცხადებენ, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა უმტკივნეულო პროცესია, რომელიც დაკავშირებული არ არის მძლავრ სოციალურ ძვრებთან. ძირეულ სოციალურ გარდაქმნებთან.

გარდამავალი პერიოდის რევოლუციური ხასიათის განსაზღვრისას მარქსიზმ-ლენინიზმი გამოდის საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონზომიერების მეცნიერული ანალიზიდან, რომელიც მიუთითებს, რომ საზოგადოების ერთი ეკონომიური ფორმაციიდან, შემდგომ, უფრო მაღალ ფორმაციაზე გადასვლა არის რევოლუციური პროცესი და იგი ადრე თუ გვიან წარმოების დრომოჭმული წესის, მისგან გაპირობებული საკუთრების ძველი ფორმის სრული ლიკვიდაციით და წარმოების ახალი, უფრო მაღალი წესისა და მისი შესატყვისი საკუთრების ახალი ფორმის დამკვიდრებით მთავრდება.

სოციალისტური რევოლუცია არ მთავრდება ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობის დამხობით და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით. ვ. ი. ლენინი არაერთხელ მიუთითებდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება პროლეტარული რევოლუციის მხოლოდ დასაწყისია. მთელი გარდამავალი პერიოდი პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებიდან სოციალიზმის აშენებამდე არის სოციალისტური რევოლუციის შემდგომი ე.შლისა და გაღრმავების პერიოდი, უდიდეს რევოლუციურ გარდაქმნათა პერიოდი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. გარდამავალი პერიოდის ამოცანებს მუშათა კლასი ახორციელებს არა სტიქიურად, არამედ შეგნებულად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, განვითარების კანონზომიერებათა ცოდნით. გარდამავალი პერიოდი არის მშრომელთა უფართოესი მასების მარად მზარდი შეგნებული მოქმედება, მიმართული კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ.

რევიზიონისტები, ვერ ბედავენ რა მარქსიზმის წინააღმდეგ აშკარა გადაცნობას, შენიღბულ ფორმებში ცდილობენ მის ურყევ დებულებათა გაყალბებას მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარების ლოზუნგით. მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეს მეთოდი ახალი არ არის. მას იყენებდნენ ძველი რევიზიონისტებიც.

გარდამავალი პერიოდის რევოლუციური ხასიათის უარყოფას რევიზიონისტები ცდილობენ იმის მტკიცებით, თითქოს თანამედროვე კაპიტალიზმი არსებითად შეიცვალა, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. თი-

თქოს მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, დასავლეთ გერმანია, იტალია და სხვა) კაპიტალიზმი ე. წ. „სახალხო კაპიტალიზმში“ გადაიზარდა, რითაც მან თავისი წინანდელი კლასობრივი სახე დაკარგა. ისინი ამტკიცებენ, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში თითქოს გაქრა კლასთა ბრძოლის, სოციალისტური რევოლუციის საფუძველი და ამის გამო დღის წესრიგიდან მოიხსნა პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი. ამ ყალბი წინამძღვრებიდან გამომდინარე ისინი ქადაგებენ იმას, რომ თითქოს მოძველდა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ და ამიტომ ის უნდა გადაისინჯოს და შეივსოს ახალი დებულებებით.

სულ სხვაა საქმის ნამდვილი ვითარება. მარქსისა და ენგელსის შემდეგ მართლაც ბევრი რამ შეიცვალა კაპიტალიზმის არსებობაში, მაგრამ თვით კაპიტალიზმის სოციალურ არსში არაფერი არ შეცვლილა. რასაკვირველია, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ XX საუკუნის კაპიტალიზმი თავისი ხასიათით აღარ წარმოადგენს XIX საუკუნის კაპიტალიზმს. იგი არც მეორე მსოფლიო ომის წინანდელი კაპიტალიზმია.

კაპიტალიზმმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცვლილებები განიცადა. ეს ცვლილებები უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალიზმმა საბოლოოდ დაჰკარგა თავისი პოზიციები ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში. შეიქმნა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა საბჭოთა კავშირის მეთაურობით. ამრიგად, აღმოცენდა ურთიერთდაპირისპირებული ორი ბანაკი. ამ ორ სისტემათა შორის არსებული წინააღმდეგობა კი ჩვენი ეპოქის მთავარი წინააღმდეგობაა. მეორე მსოფლიო ომს მოჰყვა კოლონიალური სისტემის ნგრევა, რის შედეგადაც აზიისა და აფრიკის ერთ მილიარდზე მეტმა ხალხმა ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამ გარემოებამ დიდად დაასუსტა იმპერიალიზმის პოზიციები.

ამ საერთო ცვლილებებთან ერთად, ცვლილება განიცადა აგრეთვე კაპიტალისტური ქვეყნების საშინაო ცხოვრებამ. გაიზარდა საზოგადოების საწარმოო ძალები, წარმოებამ კიდევ უფრო გამოკვეთილი საზოგადოებრივი ხასიათი მიიღო, დოვლათის განაწილების წესი კი ძველებური დარჩა; გაიზარდა კაპიტალის შემდგომი ცენტრალიზაცია და კონცენტრაცია; გაძლიერდა მშრონელთა ექსპლუატაცია; კაპიტალისტური მონოპოლიების შემოსავალმა მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში ზღაპრულ ოდენობას მიაღწია. კაპიტალისტურ სამყაროში გაიზარდა მუშათა კლასის რევოლუციური პარტიების რიცხვობრივი და თვისობრივი მდგომარეობა, გაიზარდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალები მთელს მსოფლიოში. მუშათა კლასის შეუპოვარი ბრძოლის შედეგად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ზოგიერთ ქვეყნებში ბურჟუაზია იძულებული გახდა მუშათა კლასის წინაშე ცალკეული სახის დათმობებზე წასულიყო.

ბურჟუაზიის სამსახურში მყოფი რევიზიონისტები ლაპარაკობენ კაპიტალისტურ ქვეყნებში ზოგიერთ საწარმოთა გასახელმწიფოებრიობაზე, მუშების აქციონერულ საზოგადოებებში შესვლაზე, თითქოსდა ისინი კაპიტალისტებთან ერთად წარმოების მესაკუთრეებად გადაიქცნენ და ყოველივე ამას კაპიტალისტურ საზოგადოებაში სოციალისტური ელემენტების ზრდათ

კაპიტალიზმის სოციალიზმში მშვიდობიანი გადაზრდის პროცესად აცხადებენ. ყველაფერი ეს მუშათა კლასის მოტყუების ერთერთი საშუალებაა.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალისტურმა სამყარომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, მაგრამ კაპიტალისტური საზოგადოების საფუძველში, კაპიტალისტური წარმოების წესში ცვლილება არ მომხდარა. ხელშეუხებელი დარჩა საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრება და მასზედ დაფუძნებული ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, დარჩა კაპიტალისტური წარმოების წესის მთავარი წინააღმდეგობა — წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ხასიათს შორის, ამასთან გაძლიერდა მისგან გამომდინარე კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დაშახასიათებელი ყველა ძირითადი წინააღმდეგობა. ამიტომაცაა, რომ სინამდვილეში სოციალისტური რევოლუციის საკითხი, პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი დღის წესრიგიდან კი არ მოხსნილა, როგორც ამას რევოიონისტები ამტკიცებენ, არამედ კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანი გახდა.

არის თუ არა პროლეტარიატის დიქტატურა ისტორიულად აუცილებელი და რა ვხით უნდა განხორციელდეს ის? რას უნდა წარმოადგენდეს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო თავისი ბუნებით გარდამავალ პერიოდში და როგორი უნდა იყოს მისი როლი სოციალიზმის მშენებლობაში? უნდა დარჩეს თუ არა სოციალისტური სახელმწიფო და როგორ უნდა განხორციელდეს მისი კვდომის პროცესი? ეს საკითხები წარმოადგენენ რევოიონიზმთან ბრძოლის ძირითად და კონკრეტულ საკითხებს.

დებულება გარდამავალ პერიოდში პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული აუცილებლობისა და მისი მთავარი დანიშნულების შესახებ პირველად ჩამოაყალიბა მარქსმა თავის ცნობილ წერილში ვაიდემეიერისადმი. განმარტა რა კლასთა ბრძოლა, როგორც კანონზომიერი მოვლენა და კლასობრივი საზოგადოების განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა, მარქსმა სამი ძირითადი დასკვნა მოგვცა იმის შესახებ, რომ კლასთა არსებობა მხოლოდ წარმოების განვითარების განსაზღვრულ ისტორიულ ფაზებთანაა დაკავშირებული; რომ კლასთა ბრძოლას აუცილებლად მიყვება პროლეტარიატის დიქტატურამდე და რომ თვით ეს დიქტატურა მხოლოდ ყველა კლასთა მოსპობისა და უკლასო საზოგადოებისაკენ გარდამავალ პერიოდს წარმოადგენს¹.

მარქსიზმ-ლენინიზმში პროლეტარიატის დიქტატურას განიხილავს როგორც კლასთა ბრძოლის გაგრძელებას ახალ ფორმებში. „პროლეტარიატის დიქტატურა, — მიუთითებს ლენინი, — არის შეუპოვარი ბრძოლა სისხლისმღვრელი და უსისხლო, ძალდატანებითი და მშვიდობიანი, სამხედრო და სამეურნეო, პედაგოგიური და ადმინისტრაციული, ძველი საზოგადოების ძალები-სა და ტრადიციების წინააღმდეგ“².

ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობის დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება ნიშნავს ბურჟუაზიული ექსპლოატატორული სახელ-

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „რჩეული წერილები“, 1949 წ. გვ. 62

² ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 31, გვ. 35.

მწიფოს დამსხვრევას, ბურჟუაზიული „დემოკრატიის“ უკუგდებას, სოციალისტური სახელმწიფოს შექმნას, ახალი ტიპის დემოკრატიაზე გადასვლას.

როგორც ძველი, ისე თანამედროვე რევოლუციონიზმი ყოველივე ამას უარყოფს. ის უარყოფს აგრეთვე სოციალისტური სახელმწიფოს განსაკუთრებულ როლს გარდამავალ პერიოდის ამოცანათა განხორციელებაში (იუგოსლავიის რევოლუციონიზმი); ერთმანეთს უპირისპირებს დემოკრატიისა და დიქტატურის ცნებას. არ ცნობს რომ პროლეტარიატის დიქტატურაზე გადასვლა ნიშნავს ბურჟუაზიული დემოკრატიაიდან ახალ, უფრო მაღალ დემოკრატიაზე, სოციალისტურ დემოკრატიაზე გადასვლას.

რევოლუციონისტების კონცეფციის მცდარობა და სიყალბე სახელმწიფოს საკითხებში, უპირველესად ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ რევოლუციონისტები უარყოფენ კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის რაიმე განსაკუთრებული სახის გარდამავალი პერიოდის არსებობას, რომელიც დაკავშირებულია კლასთა ბრძოლის შემდგომ გაგრძელებასთან და მის გამწვავებასთან. მეორე მხარე მათი ყალბი კონცეფციისა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი უკლებელყოფენ სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა წარმოშობის სპეციფიკურ თავისებურებას.

რევოლუციონისტები განსაკუთრებით თავს ესხმიან სოციალისტური დემოკრატიის პრინციპს, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს. ერთმანეთს უპირისპირებენ რა დემოკრატია და დიქტატურა, დემოკრატია და ცენტრალიზმს, არ სურთ გაიგონ, რომ სოციალისტური სახელმწიფო არის სოციალისტური დემოკრატიისა და დიქტატურის ერთიანობა, რომელიც თავის გამოხატულებას დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებში პოულობს. ამასთან, როცა ისინი სოციალისტურ სახელმწიფოზე ლაპარაკობენ, მაღავენ სოციალისტური დემოკრატიის ნამდვილ არსს და მხოლოდ დიქტატურის შესახებ ვაპყვირიან. საქმეს ისე ხატავენ თითქოს პროლეტარიატის დიქტატურა შეუთავსებელი იყოს დემოკრატიასთან, რომ იგი თითქოს დამყარებულია მხოლოდ ცენტრალიზმზე და სპობს ყოველგვარ დემოკრატიას.

უფრო მეტიც, ბევრი მათგანი აშკარად აცხადებს თავის თავს პროლეტარიატის დიქტატურის მოსისხლე მტრად. ასე, მაგალითად, რევოლუციონიზმის მამამთავრის კ. კაუცკის შვილი ბენედიქტე კაუცკი პირდაპირ ამბობს: „ჩვენ ვიბრძვით ორ ფრონტზე: კაპიტალიზმის წინააღმდეგ — დემოკრატიული, მშვიდობიანი ღონისძიებებით, და დიქტატურის წინააღმდეგ (მხედველობაში აქვს პროლეტარიატის დიქტატურა — ი. ნ.) — რევოლუციური ძალდატანებითი საშუალებით“. ამ პოზიციამ თავისი ასახვა ჰპოვა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალი პროგრამის პროექტში, რომლის ერთერთი ავტორი ბაჰაუციკია. პროექტში ნათქვამია, რომ „დემოკრატიული სოციალიზმი კომუნიზმს. რვიისისხლე მტერია, მისი შეუთრეგებელი მოწინააღმდეგე“¹.

თავს ესხმიან რა სოციალისტური სახელმწიფოს დემოკრატიულ პრინციპებს, რევოლუციონისტები იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირიდან განსაკუთრებით ილაშქრებენ სახელმწიფოს სამეურნეო საქმიანობის წინააღმდეგ. სახელმწიფოს როლს ამ სფეროში სთვლიან დემოკრატიზმის ჩახშობისა და ბიუროკრატიაზმის გაძლიერების წყაროდ.

1 იხ. ჟურნალი „Вопросы философии“ № 7, გვ. 58.

სახელმწიფოს კვდომის გარდუვალობის დასაბუთებას კომუნისტური საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე იძლევა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. მაგრამ სახელმწიფოს გაქრობის (კვდომის) ვადებისა და ფორმების საკითხს მარქსიზმ-ლენინიზმი სწყვეტს მეცნიერულად, რეალური სინამდვილის კანონზომიერი განვითარების შესაბამისად და არა ისე, როგორც ამას რევოიონისტები ფიქრობენ. მარქსიზმ-ლენინიზმი სთვლის, რომ სახელმწიფოს კვდომის პროცესი მაშინ განხორციელდება, როცა ამისათვის მომწიფდება აუცილებელი შინაგანი და გარეშე პირობები, ხოლო ასეთ პირობებს შეადგენენ: შინაგანი — სრული კომუნისტური საზოგადოების აშენება და გარეშე — კაპიტალიზმის იმპერიალისტური სისტემის მოსპობა. ამ წინამძღვრების გარეშე სოციალისტური სახელმწიფოს კვდომის მოთხოვნა ნიშნავს კომუნიზმის მშენებლობაზე ხელის აღებას, ანარქიზმის პოზიციებზე დადგომას.

რევოიონისტები იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირიდან სახელმწიფოს კვდომის საკითხში პირველ რიგში მოითხოვენ (ამასთან დაუყოვნებლივ) სახელმწიფოს ორგანიზაციულ-სამეურნეო საქმიანობის შეწყვეტას (გაუქმებას). ისინი გამოდიან სოციალისტური საზოგადოების სამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგ, სთვლიან რა ასეთ ჩარევას საწარმოო ძალთა განვითარების შეფერხებად. ამ გზით ისინი ერთმანეთისაგან ხელოვნურად სწყვეტენ სახელმწიფოს სამეურნეო-ორგანიზაციულ და პოლიტიკურ საქმიანობას. ეს მეტაფიზიკა და ეკლექტიზმია თეორიაში, თვითდინება და ანარქიზმი პრაქტიკაში.

ოპორტუნიზმთან დაუნდობელ ბრძოლაში ვ. ი. ლენინი მრავალჯერ მიუთითებდა იმ ჭეშმარიტებაზე, რომ შეუძლებელია ეკონომიკისა და პოლიტიკის გათიშვა, პოლიტიკა ეს არის ეკონომიკის კონცენტრირებული გამოსახვა. პოლიტიკას არ შეიძლება არ ქონდეს უპირატესობა ეკონომიკაზე. თვით ეს უპირატესობა, რასაკვირველია, როგორც ამას ლენინიზმი გვასწავლის, გაგებული უნდა იქნას არა რევოიონისტულად, სუბიექტურ-იდეალისტურად, არამედ მარქსისტულად, რაც ნიშნავს ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების წარმართვას განვითარების კანონზომიერებათა სრული ცოდნით.

ყველაზე უფრო მძლავრ არგუმენტს რევოიონიზმის კონცეფციის უარსაყოფად წარმოადგენს სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკა ჩვენს ქვეყანაში და სახალხო-დემოკრატიის ქვეყნებში, სოციალისტური ეკონომიკის ზრდის ის გასაოცარი ტემპები და შედეგები, რასაც ჩვენმა ქვეყანამ და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა მიაღწიეს.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ მუშათა კლასის წარმატებით ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მისი დამხობა და პოლიტიკური ძალაუფლების ხელში აღება, ისე როგორც გარდამავალი პერიოდის ყველა ამოცანების განხორციელება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ამ ბრძოლაში მუშათა კლასს სათავეში უდგას ახალი ტიპის მარქსისტულ-ლენინური პარტია, რევოლუციური თეორიით შეიარაღებული, ერთიანი პროგრამისა და წესდების საფუძველზე, მტკიცედ ორგანიზებული, ბრძოლებში გამოწრთობილი, კომუნიზმის საქმისათვის ბოლომდე ერთგული პარტია.

ამ ჭეშმარიტების სისწორე რევოიონისტებს კარგად აქვთ გაგებული.

ამიტომ, რომ ისინი ასე ენერგიულად მიისწრაფვიან კომუნისტური პარტიის ლიკვიდაციისაკენ. თანამედროვე რევოლუციონისტები პარტიის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გადასინჯვას ახდენენ მის ყველა ძირითად საკითხში. განსაკუთრებით თავს ესხმიან ისინი პარტიის ორგანიზაციულ პრინციპებს და მუშათა მოძრაობისადმი პარტიის ხელმძღვანელი როლის აღიარებას.

რევოლუციონისტები ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიიდან მოითხოვდნენ პარტიის დაშლას და მის მაგიერ ეგრეთწოდებულ „პოლიტიკური მოქმედების ასოციაციის“ შექმნას. ამასვე მოითხოვდნენ ინგლისის, კანადის, ბრაზილიის, იაპონიის და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების რევოლუციონისტები. იუგოსლაველი რევოლუციონისტები არსებითად ამერიკელ რევოლუციონისტთა პოზიციებზე დგანან.

იუგოსლაველი რევოლუციონისტები უარყოფენ პარტიის ხელმძღვანელ როლს სოციალისტურ სახელმწიფოსადმი, სოციალისტური მშენებლობისადმი. ამტკიცებენ, რომ კომუნიზმის მშენებლობის წინსვლასთან ერთად, პარტიის ხელმძღვანელი როლი კი არ უნდა ძლიერდებოდეს, არამედ სუსტდებოდეს. მათი აზრით „...სრულად შეწყვეტენ მოქმედებას, როგორც რევოლუციური, შემოქმედებითი და მამოძრავებელი ფაქტორი საზოგადოების განვითარებისა თავიანთ ქვეყანაში“¹. ამაზე უფრო მეტს, როგორც კომუნიზმის საქმის ჩაშლის მთავარ პირობას, დალესიც არ მოითხოვს!

თანამედროვე რევოლუციონიზმი უარყოფს გარდამავალი პერიოდის ზოგად კანონზომიერებათა არსებობას და მას ცვლის „დემოკრატიული სოციალიზმის“, „ნაციონალ-კომუნიზმის“ თეორიით. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ არც იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პროგრამის პროექტში და არც ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტში არაფერია ნათქვამი გარდამავალი პერიოდის ზოგად კანონზომიერებებზე. ეს მიუთითებს აღნიშნულ პროგრამათა სუბიექტურ-იდეალისტურ თეორიულ საფუძველზე და მათ წვრილბურჟუაზიულ ბუნებაზე. თანამედროვე რევოლუციონიზმს გარდამავალი პერიოდის ფორმათა თავისებურება ესმის არა როგორც ფორმის მრავალფეროვნება ერთი და იგივე შინაარსის შენარჩუნების საფუძველზე (პროლეტარიატის დიქტატურა), არამედ როგორც შინაარსის უკუგდება და მისი ფორმით შეცვლა, შინაარსის ფორმაში გათქვეფა. პრაქტიკაში ეს ნიშნავს სოციალიზმის პრინციპების უარყოფას, მუშათა კლასის ინტერესებისადმი ლალატს.

ამრიგად, პროლეტარიატის დიქტატურის საკითხში, როგორც გარდამავალი პერიოდის მთავარ საკითხში, ყველაზე უფრო აშკარად მოსჩანს თანამედროვე რევოლუციონიზმის ანტიმარქსისტული, ანტიმეცნიერული და გამცემლური სახე. თანამედროვე რევოლუციონიზმის მხილება, მისი იდეური და პოლიტიკური განადგურება საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის ერთერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

¹ იხ. ჟურნალი „Коммунист“ № 8, გვ. 137, 1958 წ.

პროკურატურისა და მილიციის ერთობლივი მოქმედება განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა გახსნის საქმეში

ა. ქიქელიძე, მილიციის სამმართველოს უფროსი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბჭოს აღმასკომის
მილიციის სამმართველოს უფროსი

საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად გატარება, სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ერთერთი აუცილებელი პირობაა. ამიტომაც სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლა შეადგენს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი ჩვენი ხალხის მუდმივი ზრუნვის საგანს.

უკანასკნელ ხანებში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა მოქალაქის უფლებების დაცვას, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა ღირსეულად დასჯას. საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისა და ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი იქნა გატარებული.

პროკურატურისა და მილიციის ორგანოების ერთობლივი მუშაობა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის უზრუნველყოფს დანაშაულობათა შემცირებას, დანაშაულის დროულად გახსნას, რარიც რთული და შენობიერი არ უნდა იყოს იგი.

პროკურატურისა და მილიციის ორგანოების ერთობლივმა მოქმედებამ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა გახსნის საქმეში სასურველი შედეგი მოგვცა.

წინააღმდეგ, პროკურატურისა და მილიციის ზოგიერთი მუშაკი დანაშაულის გახსნისათვის ცალცალკე, დაქსაქსულად მოქმედებდა. ადგილი ჰქონდა საქმისადმი წაყრუებისა და თავის დაზღვევის პოლიტიკას, ზოგიერთი მუშაკის უპრინციპობასა და უპასუხისმგებლობას, ერთმანეთში ეწეოდნენ უპრინციპო კინკლაობას. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებდა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარეობაზე.

შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად, ქ. თბილისის პროკურატურის და მილიციის ორგანოებმა პარტიული ორგანიზაციების დახმარებით გამოასწორეს ეს ნაკლოვანება.

ჩატარდა პროკურატურისა და მილიციის მუშაკების გაერთიანებული თათბირი, მოეწყო სემინარები. სადაც ისახებოდა ერთობლივი მოქმედების კონკრეტული ღონისძიებები დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. დანაშაულობათა გახსნისა და გამოძიებისას პროკურატურისა და მილიციის მუშაკების ერთობლივი მუშაობის პრაქტიკის გაძლიერებამ, გამოძიების

მეთოდების მჭიდროთ დაკავშირებამ ოპერატიული ძეგნის მეთოდებთან და საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერებამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. გასულ წლებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა დანაშაულობათა გახსნის პროცენტი, რაც უდრის 95,3-ს. ეს კი ქ. თბილისის მშრომელთა დებუტატების საქალაქო აღმასკომის მილიციის სამმართველოს მუშაობაში პირველი შემთხვევაა. შემცირდა კანონიერებისა და საპროცესო ნორმების დარღვევის შემთხვევები, და რაც მთავარია მინიმუმამდე იქნა დაყვანილი დანაშაულობის გახსნის გაჭინაურება. ახლა თბილისის ამათუიმ რაიონის პროკურორი და მილიციის რაიგანყოფილების უფროსი თავის მუშაებთან ერთად გრძნობენ მეტ პასუხისმგებლობას და ერთად მოქმედებენ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

მრავალი დამახასიათებელი ფაქტის მოყვანა შეიძლება ზემოდაღნიშნული ურთიერთობის დასადასტურებლად. 1957 წლის 8 თებერვალს თბილისის ერთერთი ვარეუბნის ხევეში აღმოჩენილი იქნა 18-20 წლის ქალიშვილის გვამი, რომელიც დანით იყო მოკლული. შემთხვევის ადგილზე სწრაფად გამოცხადდნენ თბილისის კიროვის რაიპროკურატურის ვამომძიებელი ამხ. ხელოია. მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სემეპბრო განყოფილების მუშაკები ამხ. მამულოვი და ამხ. ბუდაგოვი, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტები ამხ. ციხისელი და ნინიკაშვილი.

შემთხვევის ადგილის ზუსტად დათვლიერებამ, გვამის გაკვეთის შედეგად მიღებულმა სამედიცინო დასკვნებმა, პროკურატურისა და მილიციის მუშაკები მიიყვანა გარკვეულ ოპერატიულ ორიენტირებამდე, რის შედეგადაც შეიქმნა ვერსიები მკვლელობის გახსნისათვის. გვამის დათვლიერების შედეგად დაიბნა: ზრი, რომ მკვლელობა ჩადენილი უნდა ყოფილიყო იმის გამო, რომ მოკლულმა ვენერიული სენი შეჰყარა პიროვნებას და ამ უკანასკნელმა შური იძია, ან კიდევ მკვლელობა უნდა ჩადენილიყო ქალიშვილის ნათესაებებს, რათა თავიდან მოეცილებინათ სამარცხინო ნათესავი. ან თუ ზემოდაღნიშნული ვერსიები არ გამართლდებოდა, მაშინ მკვლელობის მიზეზი გაურკვეველი რჩებოდა. ოპერატიული მუშაკების ყურადღება პირველმა ორმა ვერსიამ მიიპყრო, რაც გასაღები გახდა დამნაშავეთა გამოსავლინებლად.

დადგინდა, რომ მოკლული დაავადებული იყო ვენერიული სენით. იმის გამო, რომ მოკლულს არ გააჩნდა პირადობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი, მისი სურათი დაეგზავნა ყველა ვენერიულ დისპანსერს. გამოირკვა, რომ სურათზე გამოსახული ქალიშვილი რიმა ნ. ცოტახნის წინ მკურნალობდა ქალაქის პირველ საავადმყოფოს უროლოგიურ განყოფილებაში. რიმას მამა ახალი განთავისუფლებული იყო პატიმრობიდან ცოლის მკვლელობის გამო. მან ამოიცნო შვილის სურათი, რომელიც 5 თვის წინ წასულიყო სახლიდან. კითხვაზე, თუ რატომ არ განაცხადა მან ქალიშვილის დაკარგვის შესახებ, მამამ მეტად საეჭვო და დაბნეული პასუხი გასცა. ჩატარებული კვლევა-ძიებით და ოპერატიული ღონისძიებებით დადგინდა, რომ საავადმყოფოდან რიმა გაიყვანა დედინაცვალმა და ბიძაშვილმა, თუმცა მათ დაკითხვის პროცესში ეს უარყვეს. მონახული იქნა რიმას ბიძაშვილის წერილი, სადაც იგი თავის ოჯახის წევრებს წერდა, რომ რიმას მკვლელობა მამამისის ჩადენილიაო.

ოპერატიული მუშაობისა და გამოძიების შემდეგ ეტაპზე დადგინდა, რომ მამამ ძალით გააუპატიურა თავისი ქალიშვილი და დააორსულა იგი. ამის შემდეგ რიმა დაადგა გარყვნილების გზას. მას შეეყარა ვენერიული სენი, დაეცა

სულიერად, ხელი მიჰყო ამორალურ და გახრწნილ ცხოვრებას. მამა-შვილს შორის სერიოზული უთანხმოება ჩამოვარდა, რაც რიმას მამას საზიზღარი დანაშაულის გამხელის საშიშროებას უქადდა. იმ მიზნით, რომ დაეფარა თავისი საზიზღარი დანაშაულის კვალი, მამამ შვილი ქალაქგარეთ გაიყვანა, მოკლა დანით და ხევში გადააგდო.

ამ მკვლევლობის გახსნის საქმე მეტად რთული იყო და ძალზე გაძნელებოდა, რომ მკვლევლობის ფაქტის აღმოჩენიდან პროკურატურისა და მილიციის ოპერმუშაკებს ერთად არ ემოქმედნათ, ოპერატიული და საგამომძიებლო ღონისძიებები მჭიდრო კონტაქტში არ ჩატარებულყო.

მილიციისა და პროკურატურის მუშაკების ერთობლივმა მოქმედებამ დიდად შეუწყო ხელი „საქწიგნის“ სისტემაში მოკალათებული გამფლანგველების მხილებასა და გამოვლენას. საქმის დაბოლოებამდე, ოპერატიული მუშაკებისა და პროკურატურის გამომძიებლების მიერ საფუძვლიანად, ყოველმხრივ იქნა დოკუმენტირებული დამნაშავეთა მოქმედება და მხილება.

ზემოდაღნიშნული და სხვა მრავალი ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ქ. თბილისის მილიციისა და პროკურატურის ორგანოებმა ჭეშმარიტად სწორად გაიგეს და პრაქტიკულად აწორციელებენ პარტიისა და ხელისუფლების მოთხოვნილებას დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ერთობლივი მოქმედების გაძლიერების შესახებ.



გეგმიურ დაწესებულებათ შრომის კანონმდებლობა

ა. შავეჩი,

ქ. ქუთაისის პროკურორი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი

ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ უკანასკნელ წლებში გაატარეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი მშრომელთა საყოფაცხოვრებო და შრომის პირობების გასაუმჯობესებლად.

ცხოვრებაში გატარებული კანონი პენსიების გადიდების, მცირე ხელფასიან მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის მომატების, ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის პერიოდში შვებულების გახანგრძლივების, დღესასწაულებსა და გამოსასვლელი დღეების წინ სამუშაო დღის შემცირების, მოზარდთათვის 5 საათიანი სამუშაო დღის შემოღების შესახებ, ზოგიერთ საწარმოში შვიდ და ექვს საათიან სამუშაო დღეზე გადასვლა და პარტიისა და მთავრობის შიორ გატარებული სხვა ღონისძიებანი აძლიერებენ მშრომელთა შემოქმედებით აქტივობასა და მოწმობენ პარტიისა და მთავრობის შეუწყობელ ყურადღებას მშრომელი მასებისადმი.

ხალხის კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ასეთმა ზრუნვამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე. ფაბრიკა-ქარხნებში, წარმოება-დაწესებულებ-

ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება ადებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

გარდა ამისა, უკანასკნელ ხანებში განხორციელდა მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა მოქალაქის უფლებების დაცვას, შრომის კანონმდებლობის განმტკიცებას. გაუქმდა სამუშაოდან თვითნებური წასვლისათვის სასამართლო პასუხისმგებლობა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა პროფკავშირების როლი შრომითი დავის საკითხების გადაწყვეტაში და სხვ.

საბჭოთა კანონი მტკიცედ იცავს საბჭოთა მოქალაქის შრომით ინტერესებს. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო პასუხისმგებლობა თანამდებობის პირთა მიერ შრომის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევებში.

შრომის კანონის ერთ-ერთ სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან განათვისუფლება ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. ასეთ შემთხვევებს სამუშაოდ აღგილი აქვს ქუთაისის სინამდვილეში. დავასახელებთ ზოგიერთ მაგალითს:

დ. ელიაური მანქანათმშენებელი ქარხნის დაცვის უფროსად მუშაობდა

1950 წლიდან. საერთო დაცვასა და სახანძრო რაზმის გაერთიანების შემდეგ კი 1951 წლის 25 მარტიდან დაწინიშნული იქნა ქარხნის დაცვის უფროსის მოადგილედ. 1958 წლის მაისში იგი გადაიყვანეს ყარაულის უფროსად, რითაც დ. ელიაურს ხელფასი შეუმცირდა 519 მანეთით. 1958 წლის 19 აგვისტოს იგი მთლიანად გაანთავისუფლეს სამსახურიდან შტატების შემცირების გამო.

ქარხნის ადმინისტრაციის მიერ მოსარჩელის თანამდებობიდან განთავისუფლება მოხდა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტთან შეთანხმების გარეშე. ამავე დროს დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა ადმინისტრაციის მიერ შეთანხმებული არ ყოფილა თვით მოსარჩელესთან, რითაც უხეშად იქნა დარღვეული „შრომითი დაცვის განხილვის წესის“ დებულება და შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის მოთხოვნა. აღსანიშნავია ისიც, რომ დ. ელიაური დაცვის უფროსის მოადგილის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა, არ ყოფილა შემჩნეული დისციპლინის დარღვევაში. პირიქით, იგი რამოდენიმეჯერ იყო დაჯილდოებული ქების სიგელით და ფულადი თანხით. ქუთაისის სასამართლომ სწორად სცნო სარჩელი და დ. ელიაური აღადგინა სამუშაოზე. ამავე დროს ქარხანას დაეკისრა დ. ელიაურისათვის 20 დღის შრომითი განაცდურის ანაზღაურება.

ქუთაისის სასადილოების ტრესტის დირექციამ № 8 სასაუზმის ქუთრკლის მრეცხავი ნ. ისაკაძე 1958 წლის 22 იანვარს სამსახურიდან მოხსნა „დაკისრებული მოვალეობის, არაკეთილსინდისიერად შესრულების, მომხმარებელთა შორის პანიკის გავრცელებისა და ლაყბობისათვის“. შემოწმებამ გამოარკვია, რომ ნ. ისაკაძის მიმართ წაყენებული ბრალდება საქმის მასალებით არ დადასტურდა.

პირიქით, მოწმეთა ჩვენებიდან ისიც კი გამოიკვებოდა ისაკაძე კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. მთელი თავისი მუშაობის პერიოდში მას დისციპლინარული სასჯელიც კი არ მიუღია. პირიქით, 1954 წელს სასადილოების ტრესტის დირექტორის ბრძანებით მადლობაც კი აქვს გამოცხადებული.

სასამართლო ამ შემთხვევაში სწორად მოიქცა, როდესაც ისაკაძე სამუშაოზე აღადგინა შრომის განაცდურის ანაზღაურებით, ხოლო სასადილოების ტრესტს კი დაეკისრა ამ საქმეზე სასამართლო ხარჯების გადახდა.

ლ. კაშია მინის ტარის ქარხანაში ბრძანებით გაფორმებული იყო მზანაწარმის, საწყობის მუშად, სინამდვილეში კი მას ღამის დარაჯად ამუშავებდნენ. 1957 წლის 20 ნოემბერს იგი სამუშაოდან გაანთავისუფლეს შრომის დისციპლინის დარღვევისათვის იმ მოტივით, რომ თითქოს 6 ნოემბერს დაარღვია მუშაობის გრაფიკი და დაგვიანებით გამოვიდა სამუშაოდ. სასამართლომ კაშია აღადგინა სამუშაოზე განაცდურის მიცემით, რადგან მას განთავისუფლებამდე არ ჰქონდა რაიმე დისციპლინარული სასჯელი. გარდა ამისა, მას იყენებდნენ არადანიშნულებისამებრ. აღსანიშნავია ისიც, რომ კაშიას მიერ მუშაობის გრაფიკის დარღვევაც არ დადასტურდა.

ქუთაისის რაიონის კულტურის სახლის კინო-თეატრის ბილეთების კონტროლიორი ლ. გოგლიჩიძე 1957 წლის 9 სექტემბერს სამუშაოდან განთავისუფლებული იქნა ბრძანებით: „შემოსული სიგნალების და რაიონის კინო-თეატრის მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით“ (?).

შრომის დაცვის განმხილველი კომისიის სხდომაზე გოგლიჩიძის მიმართ

დირექციის მიერ წაყენებული ბრალდება არ დადასტურდა, მიუხედავად ამისა, ლ. გოგლიჩიძე სამუშაოზე მაინც არ აღადგინეს. მხოლოდ სასამართლო ორგანოების ჩარევის შემდეგ იქნა ლ. გოგლიჩიძე აღდგენილი სამუშაოზე განაცდური ხელფასის ანაზღაურებით.

ხშირია შემთხვევები, როდესაც შტატების შემცირების საფარქვეშ მუშაკს სამსახურიდან ანთავისუფლებენ, ანდა ანთავისუფლებენ შვებულებაში ყოფნისას, ამავე დროს არ ახდენენ მათ წინასწარ გაფრთხილებას. ასეთ შემთხვევებს ადგილი ქონდა ქუთაისის ღვინის ქარხანაში გ. ნ. ფურცხვანიძის მიმართ და სხვ.

არის აგრეთვე ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მუშაკებს ანთავისუფლებენ შრომის კანონის კოდექსის 47-ე მუხლის „დ“ პუნქტით, როდესაც მუშაკი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. უნდა შევნიშნოთ, რომ მუშაკის განთავისუფლება სამსახურიდან ამ ფორმულირებით შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა შრომის დისციპლინის დარღვევამ სისტემატური ხასიათი მიიღო და მის მიმართ გატარებულმა დისციპლინარულმა ღონისძიებამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. ზოგიერთ წარმოებაში არ სრულდება აგრეთვე შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მუშაკის გადაყვანა ერთი წარმოებიდან მეორეში უნდა ხდებოდეს მხოლოდ მისი თანხმობით. საბჭოთა კანონი იცავს საბჭოთა მოქალაქის შრომით ინტერესებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 იანვრის ბრძანებულებით დამტკიცებულია დებულება „შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ“, რომლითაც მნიშვნელოვნად გაზრდილია პროფესიული ორგანიზაციების უფლებები შრომის

დავების განხილვაში მუშა-მოსამსახურეებსა და ადმინისტრაციას შორის.

შრომის დავის განმხილველი კონისიები ეწყობა საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში პროფკავშირთა საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტებისა და ადმინისტრაციის მუდმივ წარმომადგენელთაგან თანაბარი რაოდენობით.

საწარმოებსა და საამქროებში, სადაც არსებობენ საამქროს კომიტეტები, შეიძლება მოეწყოს შრომითი დავის განმხილველი საამქროს კომისიები.

დებულების მე-10 და მე-11 მუხლებში მითითებულია, თუ რა დავები შეიძლება განიხილოს აღნიშნულმა კომისიებმა. ამავე დებულების 23-ე მუხლის თანახმად, თუ შრომითი დავის განხილვის კომისიაში არ იქნა მიღწეული მხარეთა შეთანხმება, მუშაკს უფლება აქვს მიმართოს პროფკავშირების საფაბრიკო, ადგილობრივ კომიტეტს დავის გადასაწყვეტად, ხოლო ისეთ შემთხვევაში, როდესაც მუშაკი თანახმა არ არის პროფკავშირის კომიტეტის დადგენილებისა, შეუძლია განცხადებით მიმართოს სახალხო სასამართლოს (31-ე მუხლი).

სახალხო სასამართლო უშუალოდ განიხილავს მუშაკსა და ადმინისტრაციას შორის აღძრულ შრომით დავას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში არ არსებობს პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი და არც პროფორგანიზატორი.

სკკპ დეკემბრის პლენუმმა მნიშვნელოვნად გააფართოვა პროფკავშირებისა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ფუნქციები. პლენუმის დადგენილებაში მითითებულია, რომ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან განთავისუფლება არ უნდა მოხდეს პროფკავშირების საფაბრიკო-საქარხნო



და ადგილობრივ კომიტეტებთან შეთანხმების გარეშე.

მაგრამ ხდება, რომ აღნიშნულ დადგენილებას თვით პროფორგანიზაციები არღვევენ, დროულად არ იხილავენ სამუშაოდან განთავისუფლებულ მუშაკთა განცხადებებს ან კიდევ მიღებული გადაწყვეტილების ასლის გაცემას აგვიანებენ. გვხვდება, აგრეთვე, პროფორგანიზაციების მიერ მოქალაქეთა სამუშაოზე უკანონოდ აღდგენის შემთხვევებიც.

ზოგიერთ დაწესებულებაში მუშაკთა მიმართ ატარებენ დასჯის ისეთ ღონისძიებებს, რაც ვათვალისწინებელი არ არის საკანონმდებლო აქტებით. ასეთია, მაგალითად, პრემიის უკანონოდ დაკავება, მცირეხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა 3 თვეზე მეტი ხნით, ან დროის განუსაზღვრელად, ერთსა და იმავე დანაშაულზე რამოდენჯერმე დასჯა და სხვა.

ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როცა შრომის დისციპლინის დარღვევისათვის მუშაკს უმცირებენ თანრიგს, რაც დაუშვებელია. დაწესებული სატარიფო თანრიგი მიუთითებს მუშის კვალიფიკაციაზე, ამიტომ თანრიგის შეცვლა შეიძლება მხოლოდ კვალიფიკაციის შეცვლასთან დაკავშირებით და არ შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც დასჯითი ღონისძიება.

საბჭოთა კანონმდებლობა გამონაკლის შემთხვევაში უშვებს ზედმეტ საათებში სამუშაოს შესრულებას, მაგრამ ამას არ უნდა ჰქონდეს სისტემატური ხასიათი და შრომის ანაზღაურებაც დროულად უნდა ხდებოდეს. ზედმეტ საათებში მუშაობის არასწორი ორგანიზაცია, მისი სისტემატური ხასიათი ცუდად მოქმედებს წარმოებაზე და თვით მუშაკზე. ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებაში მუშა-მოსამსახურეებს დროულად არ ეძლევათ

ხელფასები, ადგილი აქვს ხელფასიდან უკანონო დაკავებას. არის შემთხვევები, როცა მუშაკს ათავისუფლებენ ბრძანებით, მაგრამ არ აძლევენ შრომის წიგნაკს იმ მოტივით, რომ მას დავალიანება აქვს.


ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ქ. ქუთაისის ელექტრო-სამონტაჟო უბანში მუშა კულდრეშოვის მიმართ და № 12 საგზაო-სამშენებლო უბანში ტყეშელაშვილის მიმართ.

შრომის კანონიერების დაცვას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა, ორსულ ქალთა და მოზარდთა მიმართ. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი წარმოება-დაწესებულება მათ დროულად არ აძლევს შვებულებას, არ უმცირებს სამუშაო საათებს და სხვ.

შრომის კანონთა ზუსტად დაცვა დიდად არის დამოკიდებული არა მარტო წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებზე, არამედ თვით მუშა-მოსამსახურეების მიერ შრომის დისციპლინის დაცვაზე. თვითეული მუშაკი მაღალი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს მასზე დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას. შეგნებული დისციპლინის მტკიცედ დაცვისათვის არის მოწოდებული წარმოებებში შექმნილი ამხანაგური სასამართლოები; სამწუხაროდ წარმოებათა ბევრი ხელმძღვანელი და პროფკავშირული ორგანიზაციები სათანადოდ არ აფასებენ ამხანაგური სასამართლოების მნიშვნელობას და არ იყენებენ მათ დიდ შესაძლებლობებს დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

1958 წლის გაზეთ „პრავდის“ 26 აგვისტოს მოწინავეში „ყურადღებით განვიხილოთ მშომელთა წერილები“ ნათქვამია:

„ბევრი წერილი და განცხადება ამა თუ იმ საკითხზე, განსაკუთრებით შრომის, ხელფასის, პენსიის, გადასა-



ხადისა და სხვა საკითხებზე, ხშირად გამოწვეულია იმით, რომ მშრომელებმა არ იციან კანონმდებლობა და ამ საკითხებზე არსებული დებულებანი. აქედან გამომდინარეობს იმის საჭიროება, რომ გავაძლიეროთ საბჭოთა კანონმდებლობის ახსნა-განმარტება, მოვაწყოთ კითხვა-პასუხის საღამოები, იურისტებისა და პროკურატურის მუშაკთა კონსულტაციები, გამოუშვათ მასობრივი ტირაჟით ცნობები, სტატიების კრებულები, ბროშურები, მოვაწყოთ ლექციები, რომლებიც განმარტავენ პარტიისა და მთავრობის იმ

კანონებსა და დადგენილებებს, რომლებიც ხალხის მასების სასიცოცხლო ინტერესებს შეეხება“.

სოციალისტური კანონების დაცვის შესახებ პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესასრულებლად საჭირო არის ადმინისტრაციულ ღონისძიებებთან ერთად გაძლიერდეს აღმზრდელობითი მუშაობა, გაფართოვდეს წარმოება-დაწესებულებებსა და მოსახლეობაში საბჭოთა კანონების პროპაგანდა. საჭიროა კანონებს შეგნებულად იცავდნენ, როგორც თანამდებობის პირები, ისე თვით მოქალაქეებიც.



ადვოკატთა ინსტიტუტის შესახებ ძველ საქართველოში¹

აპ. როგავა,
 ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ქართული სამართლის ისტორიისათვის დღემდე სავსებით გარკვეული არ არის საკითხი ძველ საქართველოში ადვოკატთა ინსტიტუტის არსებობის შესახებ. აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „სიგელთამცოდნეობის წყალობით საფიქრებელი ხდება, რომ ბრალდებულთ სასამართლოში დამცველებიც შეიძლება ჰყოლოდათ, რომელნიც ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან განსათავისუფლებლად თუ მოსალოდნელი მსჯავრის სიმკაცრის შესამსუბუქებლად მოსამართლეს სხვადასხვა საბუთებსა და მოსაზრებას უდგენდნენ. ასეთ დამცველს „მეოხი“ ჰრქმევია. ... ვინ იყვნენ ეს „მეოხნი“ და წარმოადგენდა თუ არა მეოხობა საქართველოში რაიმე დანაწესებს, „ადვოკატუს“-ების ოდნავად მაინც მსგავსად ბრალდებულთა დამცველები იყვნენ, თუ აქ მხოლოდ გავლენიან პირთა მოსარჩლეობა იგულისხმებოდა, ამის შესახებ ცნობების უქონლობის გამო, ჯერჯერობით მაინც არაფრის თქმა არ შეიძლება“¹.

აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ საკითხის დასმის შემდეგ, უკანასკნელ ხანებში ამავე საკითხზე კვლევა-ძიებამ ახალი რამ ნაყოფი შეგვძინა. ამჟამად მოპოვებული დავით ბატონიშვილის „მიმოხილვის“ ხელნაწერები და სხვა საისტორიო წყაროები საშუალებას გვაძლევენ უდავოდ ვცნოთ ძველ საქართველოში ადვოკატთა — „მეოხთა“ ანუ „მონაცვლე-კაცთა“ ინსტიტუტის არსებობის ფაქტი.

დავით ბატონიშვილის „მიმოხილვაში“ ჩვენთვის დიდად საყურადღებოა თავი „Поверенный — монацвле-каци“, მუხ. 750 — 753:

„750. Поверенные должны быть люди испытанной честности, деятельности, беспристрастия и исправно знающие свое дело. 751. Когда поверенный возьмет на свои руки какое (нибудь) дело, то обязан иметь попечение о скорейшем окончании процесса и о сохранении интересов. 752. По точном исполнении обязанностей своего звания, получает все сполна следующее по условию за свои труды, 753. За безпечность же и небрежение, равно и за пристрастие при производ-

¹ წაკითხულია მოხსენებად ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ფეოდალური ხანის ისტორიის განყოფილების დია სნდომაზე 1953 წელს. იბეჭდება შ. მოკლებით.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II ნაკვ. II, 1929 წ., გვ. 497 — 498.

стве дела или приверженность к противной стороне отрешается от звания поверенного и лишается платы по условию¹.

ქართველ ადვოკატთათვის XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში არსებული ეს კანონ-წესები არცერთ ცნობილ ადრინდელ ქართულ ძეგლებში არ მოიპოვება და მათ შესახებ „მიმოხილვის“ მოპოვებამდე, თვით ერეკლესა და გიორგისდროინდელ სხვა საისტორიო წყაროებშიც რაიმე ცნობაც არ იყო გამოჩნხული. დავითის „მიმოხილვის“ 750—753 მუხლების ტექსტი ვადმოცემულია ნამდვილი კანონმდებლის სტილით. ამგვარი სტილით წერისას დავითს რომელიმე სამართლის ძეგლი უნდა ჰქონოდა სახელმძღვანელოდ. საფიქრებელია, რომ დავით ბატონიშვილმა ეს კანონ-წესები ჩვენთვის ჯერ უცნობი, ერეკლეს ახალი სამართლის (1760—1761)² ან შემდეგდროინდელი ერთ-ერთი ძეგლის მიხედვით ჩაწერა „მიმოხილვაში“.

ერეკლესდროინდელ ზემოხსენებულ კანონ-წესებში მოკლედ, მაგრამ გარკვევით მაინც ჩანს ის ხელობა და ფუნქციები, რომლებიც გააჩნდა მაშინ სამართლისა და მართლმსაჯულების დარგში ქართველ „მონაცვლე-კაცს“.


„მონაცვლე კაცი“ დებულობს მინდობილის საქმეს და ვალდებულია აზრუნოს სასამართლო პროცესის ჩქარა დასრულებისა და კლიენტის ინტერესების შეუზღალველობისათვის (მუხ. 751): „მონაცვლე-კაცი“ გარკვეულ პროფესიულ-წოდებრივ მოვალეობათა აღმასრულებელია და თავის მიერ გაწეულ შრომაზე იღებს კლიენტებისაგან პირობისამებრ სრულ ჰონორარს (მუხ. 752); ამასთანავე იგი არათუ კარგავს კლიენტისაგან ჰონორარს, არამედ მას შესაძლებელია ჩამოერთვას პროფესიული წოდებრივი ღირსება იმ შემთხვევაში, თუ კი იგი გამოიჩენს აღებული საქმისადმი უდარდლობასა და უყარათობას, ან კიდევ რომელიმე მოდავე მხარისადმი განგებ მიკერძოებას.

მაგრამ დგება საკითხი: ვის უნდა ჩამოერთვა „მონაცვლე-კაცისათვის“ პროფესიული წოდებრივი ღირსება 750—753 მუხლებში მოყვანილი კანონ-წესების დარღვევისას? რა თქმა უნდა, მისივე პროფესიულ კორპორაციას, „მონაცვლე-კაცთა“ ამქარს, რომლის უღირს წევრადაც იგი იქნებოდა ცნობილი. საფიქრებელია, რომ ერეკლესა და გიორგის სამეფოში არსებობდა „მონაცვლე-კაცთა“ ამქარი, რომელსაც, უეჭველია, გულისხმობს დავით ბატონიშვილი, როცა „მონაცვლე-კაცი“ რუს „поверенный“-ს მიახლოებს. რუსი „поверенные“ კი ერეკლეს თანამედროვე ეკატერინე მეორის მეფობისას რუსეთში და შემდეგაც XIX საუკუნის სამოციან წლებამდე თავიანთ კორპორაციაში ანუ ამქართულ ორგანიზაციაში ერთიანდებოდნენ და დაახლოვებით ისეთ წეს-კანონებს ემორჩილებოდნენ, როგორც დავითს ქართველ „მონაცვლე-კაცთათვის“ „მიმოხილვაში“ ერეკლესა და გიორგისდროისეულად ჩაუწერია.

თავისთავად ცხადია, რომ „მონაცვლე-კაცთა“ ინსტიტუტი ერეკლესა და გიორგის მეფობისას ერთბაშად ვერ ჩამოყალიბდებოდა: მას თავისი განვითარების გარკვეული საფეხურები უნდა გაეელო, როგორც სხვა სახელმწიფო-

¹ იხ. დავით ბაგრატიონის „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა“, აპ. როგავას რედაქციითა და გამოკვლევით, 1958 წ. (ავტორის მართლწერა არსებითად დაცულია).

² 1760—1761 წლებში ერეკლე მეორის ზღწმუნდვანელობით ახალი სამართლის მთლიანი რიგი ძეგლები იქნა შემუშავებული საგანგებო კოლეჯივის მიერ (იხ. А. Рогова, „Обозрение Грузии по части прав и законовведения“ Д. Г. Багратион, автореферат, 1956 г. აგრეთვე დ. ბაგრატიონის ამ თხზულების გამოცემისადმი წამბდვარებული გამოკვლევა, 1958 წ.)



ებში. თუ ჯერ კიდევ შუა საუკუნეების რუსეთში არსებობდა „цех площадных под'ячих“ და XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის 60-იან წლებამდე არსებული „პოვერენების“ კოროპორაცია პირდაპირი მემკვიდრეა „პოდიაჩთა“ ამქრისა, რა თქმა უნდა, ქართულ ნიადაგზედაც, თუ უფრო ადრეც არა, დავით აღმაშენებლისა და თამარისდროინდელ საქართველოში მაინც უნდა არსებულიყო ერეკლესა და გიორგისდროინდელ „მონაცვლე-კაცთა“ ინსტიტუტის წინაპარი ორგანიზაცია. უამისოდ ამ ინსტიტუტის ასეთი განვითარებული სახით არსებობას, როგორც ეს დავითის მიერ „მიმოხილვაში“ ჩაწერილ კანონ-წყესებში ჩანს, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში ვერ ვიგულებთ.

პროფ. ივ. სურგულაძის აზრით, დავით ბატონიშვილმა 1812 — 1813 წლებში ქართველთა კულტურის სადიდებლად ან სხვა რამ მოსაზრებით პეტერბურგში შეთხზა რუს მკითხველთათვის ძველ ქართველ ადვოკატთა ინსტიტუტი, უცხო სახელმწიფოებში, თუ რუსეთში არსებულ ადვოკატთა ინსტიტუტის კანონ-წყესებისადმი მიმსგავსებით. ჩვენი აზრით, ეს ასე არ უნდა ყოფილიყო. ჯერ-ერთი, „მიმოხილვის“ გამოქვეყნებას დავითი, უეჭველია, აპირებდა ისე, როგორც მან იმავე ხანებში, 1805 წელს პეტერბურგში გამოაქვეყნა თავისი „Краткая история Грузии“. და, მეორე, თუ რამის განგებ შეთხზვა ან გაზვიადება სურდა ავტორს 1812—13 წ.წ. „მიმოხილვაში“. ამას იგი პეტერბურგშივე დაწერილ ზემოხსენებულ წიგნშიაც გააკეთებდა. მაგრამ, ავტორის სასახელოდ, „Краткая история Грузии“ მას, ისტორიული თვალსაზრისით, კეთილსინდისიერად აქვს შედგენილი და საგანგებოდ არც არაფერს თხზავს მასში და არც აზვიადებს. ამგვარადვე კეთილსინდისიერად უნდა დაეწერა მას თავისი „მიმოხილვაც“, რომელიც რუსეთში უნდა წაეკითხა იმავე წრეს, რომელიც კითხულობდა „Краткая история Грузии“-ს. ამ ქართველ ბატონიშვილს, რუსეთის სენატორს, შეუძლებელია სიცრუის თქმით თავი შეერცხვინა არამც თუ რუს მკითხველთა წინაშე, რომელთაგან ზოგიერთს ერეკლესა და გიორგისდროინდელ ქართლ-კახეთში წლობით უცხოვრია და კარგადაც იცნობდა მათ სამართალს, არამედ პეტერბურგშივე, მოსკოვში და სხვაგან მყოფ ქართველ კოლონისტთა წინაშეც, რომელნიც კარგად იცნობდნენ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს. აგრეთვე, დავით ბატონიშვილი, როგორც ისტორიკოსი, დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს ფაქტების სწორად გადმოცემის საქმეში. ასე რომ „მიმოხილვაშიც“ საგანგებოდ რამეს შეთხზვა და მკითხველთა შეცდომაში შეყვანა, მითუმეტეს ზემოხსენებულ გარემოებაში შეუძლებელია დავითს მივაწყოთ.

ადვოკატთა ინსტიტუტი საქართველოში არამც თუ XVIII საუკუნეში არსებულა, არამედ ჯერ კიდევ XI საუკუნეშიც. XI—XVII საუკუნეების ქართულ მწერლობაში ადვოკატის აღსანიშნავად ნახმარია ტერმინები: „ვექილი“, „თანა-მოსარჩლე“, „მოსარჩლე“, „მეოხი“ და XVII საუკუნეში (თუ უფრო ადრედაც არა) „ქომაგიც“.

„ვექილთა“ ანუ ადვოკატთა ინსტიტუტის არსებობას ძველ საქართველოში პირდაპირ მოწმობს XI საუკუნის ისეთი დიდი მეცნიერი, როგორიც იყო ეფრემ მცირე. პროფ. ი. აბულაძე „საქმე მოციქულთას“ წინასიტყვაობაში, მსჯელობს რა სამოციქულოს თარგმანების შესახებ, წერს, რომ იგი ეფრემ

¹ ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952, გვ. 8—15.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარიჭის ძის მიერ ბერძნულიდან არის თარგმნილი. ავტორი, სხვათა შორის, იმორწმებს ძველი ხელნაწერის ერთ-ერთ მინაწერსაც და სქოლიოში მოთავსებულ თავის შენიშვნაში დასძენს: „უეჭველია, რომ აქ მოხსენებული ეფრემ კარიჭის ძე ეფრემ მცირეა. იგი, კ. კეკელიძის მტკიცებით, ტაოელი უნდა იყოს. ეფრემის სამხრეთ საქართველოდან წარმოშობილობაზე უნდა მიგვითითებდეს სამოციქულოს თარგმანების კაბადონის კიდეზე ერთგან გატანილი ეფრემის შენიშვნაც „სვინლოროსის“ განმარტებისათვის: „შეისწავე, რამეთუ ამას სვინლოროსსა, რომელ არს თანა- მოსარჩლე, მესხთა. მიერ ვარქირი ჰქვიან, მიზდებით მოყვანებულსა მოსარჩლესა“. ... ცხადია, ეფრემი მესხურ მეტყველებას იმიტომ მიმართავს, რომ ის თვითონ მესხია. სხვათა შორის, სულხან-საბა ორბელიანის განმარტება „სვინლოროს“ სიტყვისა, რომელიც მას თავის ლექსიკონში „ვაქილ“ სიტყვასთან მოჰყავს, ამ წყაროსთან უნდა აღიოდეს უშუალოდ ან სხვა წიგნის შუალობით: „ვ ა ქ ი ლ ი თანამოსარჩლე, ვ ა ქ ი რ ი მიზდური მოსარჩლე, რომელ არს სვინლოროსი (სვინლოროსი B)“¹.

პროფ. ილ. აბულაძე ამ შემთხვევაში დაინტერესებულია ეფრემ მცირის მესხური წარმოშობის საკითხით, ჩვენ კი ამ ციტატებში გვინტერესებს ის საკითხი, რომ არა მარტო საბა ორბელიანს XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე, არამედ ეფრემ მცირესაც XI საუკუნეში „ვარქირი“ ადვოკატად აქვს წარმოდგენილი. ამასთან, ეფრემისვე მოწმობით, მთელი „მესხი“ ხალხის მიერ (მაშინდელ საქართველოში) „ვარქირი“ ე. ი. ვექილი (სასამართლოში) ჰონორარით მოყვანილ „მოსარჩლეს“ ანუ ადვოკატს ეწოდება:—„...მესხთა მიერ ვარქირი ჰქვიან მიზდებით მოყვანებულსა მოსარჩლესა“—ო. აგრეთვე „ვარქირი“, ეფრემ მცირის სიტყვითვე, ჰქვიან „სვინლოროსსა, რომელ არს თანა-მოსარჩლე“. ბერძნული „სვინლოროსი“ (სვინეგოროს) კი XI საუკუნეში და ადრეც ბიზანტიაში იურიდიულ ტერმინად ითვლებოდა და ადვოკატს ეწოდებოდა. ამრიგად, ადვოკატს, ეფრემ მცირის მოწმობით, მესხები უწოდებდნენ ქართულ იურიდიულ ტერმინს „ვარქირს“, ხოლო საერთოდ ქართველები XI საუკუნეში, ეფრემის სიტყვითვე, მას „მოსარჩლეს“ და „თანამოსარჩლესაც“ უწოდებდნენ.

საბა ორბელიანიც იცნობს ადვოკატის აღმნიშვნელ ამ იურიდიულ ტერმინებს: მის სიტყვების განმარტებებში გვხვდება „ვაქილი“ „ვაქირი“, რაც ეფრემისეულ „ვარქირს“ ანუ „თანა-მოსარჩლეს“ უნდა შეეფარდებოდეს.

ზემოთქმულის შემდეგ სრულიად ბუნებრივია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ახლალშემოდებულ რუსულ სასამართლოშიც (Вемская управа) კი ქართველ ადვოკატებს—„ვექილებს“ ვხედავთ. მაგალითად, შემონახულია ამ სასამართლოს ერთ-ერთი დადგენილებიდან ამონაწერი, დაწერილი 1804—1805 წლებში. მოსამართლენი წერენ: „რევაზ ამილახვარის ასული—იოანე აბაშიძის კნენა ანნა ითხოვდა არზით ზემცკის უბრავაში მესამედსა წილსა ობლისა თვისისა ყმასა და მამულსა“ სვიმონ და გიორგი აბაშიძეებისაგან. „ზემცკი უბრავა“ საქმე გაარჩია „ზაკონისამებრ მეფის ვახტანგისა“. „დაადგინეს ვექილები სამის მხარითა“. ვექილებს „მესამე თვემდინ“ მოუხდათ შეეგროვათ „ბარათები“, „სია“ მამულებისა და სხვა დოკუმენტები.

¹ ილ. აბულაძე, „საქმე მოციქულთა“ წინასიტყვაობა, საქ. მეცნ. აკადემიის გამოც. 1950 წ. გვ. 012—013.



„წარმოადგინა გიორგი აბაშიძის კნენა ანნამა ვეკილი თვისი... აზნაური და მამა სავანელი და აბაშიძე სვიმონ მოვიდა ამავე სასამართლოში და მოჩივრისა ამილახვრის ასულისა“ ანნასი ვეკილიცა მამისთვალე ყიფიანი მოვიდნენ“. ამ ვეკილების სიტყვისგების შედეგად სასამართლომ გააკყო მთელი ქონება „კანონისამებრ მეფის ვახტანგისა“. მხოლოდ „დარჩათ გაუყოფელი 1 საერთო მამული, რომლისათვის მრავალგზის ვთხოვეთ ...დოკუმენტები გიორგი აბაშიძის კნენა ანნასა და ვეკილსა და არ წარმოგვიდგინა ჩვენ“. ამ „მამულისათვის აღარ ინება ვეკილობა კნენა ანას დადგინებულმა რამაზ სავანელმა და არს დარჩენილი საქმე ესე, რომლისათვისაცა მოვსწერეთ უწინარესად ქალაქის კამენდატსა, რათა გამოგზავნოს კნენა აბაშიძისა ანნა და ანუ ვეკილი დოკუმენტებითა თვისითა, მაგრამ არცა მოვიდა თვითონ და არცა წარმოადგინა ვეკილი. არიან ორნი მოჩივარნი მაგისთვის: ერთი—რძალი მაგისი ამილახვრისა ასული ანნა და მეორე—აზნაური გოგია მირზაშვილი და ითხოვენ მაგის მოსვლასა ანუ ვეკილსა, რათა შესრულდეს საქმე ამათი. აძლევს მიზეზსა და აყენებს სამართალსა“¹.

თუ ვიფიქრებთ იმას, რომ „გიორგი აბაშიძის კნენა ანნას ვეკილი რამაზ სავანელი მისი აზნაურია და ამიტომ ვალდებულებისამებრ გამოდის იგი სასამართლოში თავისი პატრონის დისაცავად, როგორც არაპროფესიონალი ვეკილი, მაშინ რატომ შემდეგ „აღარ ინება“ ამავე ვალდებულების ასრულება მან თავისი პატრონის წინაშე?! ცხადია, იგიც ჩვეულებრივი „ვეკილი“ — ადვოკატი ყოფილა, ერთ-ერთი პროფესიონალი „ვეკილთაგანი სამის მხარედამ“, როგორც „ვეკილი მამისთვალე ყიფიანიც“, რომელიც თავისი „ვეკილობით“ იმდროინდელ საბუთებშიაც იხსენიება.

ამრიგად, როგორც ჩანს, სიტყვა „ვეკილი“ ადვოკატის მნიშვნელობით, თუ უფრო ადრიდან არა, ეფრემ მცირის დროიდან (XI ს.) მაინც დღემდე არსებობს ქართულ ენაში და ქართველი ხალხი „ვეკილ“-ადვოკატებს ათი საუკუნის განმავლობაში მაინც იმსახურებდა თავის სასამართლო დაწესებულებებში.

სიტყვა „მოსარჩლე“ ერეკლეს მეფობის უწინარესადაც არა მარტო ეფრემ მცირეს, არამედ, მაგალითად, საბა ორბელიანსაც ადვოკატის მნიშვნელობით ესმოდა.

საბას ლექსიკონის სხვა ადგილებშიაც სიტყვების—„ვაქილის“, „სარჩელის“ „სარჩლასა“ და „ისარჩლას“ განმარტებიდანაც აშკარაა, რომ ავტორი სცნობს ადრეც და თავის დროშიც საქართველოში ადვოკატთა ინსტიტუტის არსებობას.

შემოდმოყვანილი სიტყვების გარდა სიტყვა „ქომავიც“, გარდა ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, ხანდახან (XVIII საუკუნიდან მაინც) იხმარებოდა ადვოკატის მნიშვნელობით. მაგალითად, 1750 წ. თიბათვის 23—ს დაწერილ პირობის წიგნში ზაზუნაშვილი ზაზა აძლევს პირობას გომტაშაბისშვილს დავითს: „...შენ ჩემი მამული გეჭირა, სხვა სულ დავიხსენ შენგან. ენაგეთს ერთი კომლი კაცი ყორღანაშვილისათვის მიგეყიდა. იმაზედ ჩივილს ვაპირებ. რაც ყორღანაშვილის მისაცემე შევიქნა და სამართალში დამახსენეინონ, შენ არა გაგაღებინო რა, მე მივეცე, და, ვინ იცის, სამართალში მოსამართლემ გი-

¹ საქართველოს მუზეუმი, ფონდი Hd, 4122.

თხრას: ბადალი მიეც, არც არა იმაში გამოგართო“. შემდეგ დასახელებულმა მოწმეები და არშიაზე კი პირობის მიმცემი კვლავ წერს: „რაც ჩემის ხელიდამ გამოვიდოდეს, ჩემის სიტყვით, იმ კაცზედ ლაპარაკში ქომაგი და მოხმარება არ მოგიშალო ღვთის ძალით“¹. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში „სამართალში მოსამართლესთან ჩივილით“ გომტაშაბიშვილს „იმ კაცზედ ლაპარაკში ქომაგი“, ე. ი. ადვოკატი სჭირდებოდა, რომლისთვისაც ჰონორარი იყო საჭირო და სასამართლო საქმისათვის სხვა რამ ხარჯიც და ამიტომაც ზაზა ზაზუნაშვილი პირდება პირობის მიმღებს ამ ხარჯთა ანაზღაურებასაც. ამრიგად, ამკარაა, რომ ამ შემთხვევაში „ქომაგი“ იურიდიული ტერმინის მნიშვნელობით არის ნახმარი და ადვოკატის ცნებას შეესიტყვება. ასევეა ზოგიერთ სხვა საისტორიო წყაროშიც.

აკადემიკოსების ს. ჯანაშიას, ივ. ჯავახიშვილის, პროფ. კ. კეკელიძისა და სხვათა ნაშრომებში ძველი ქართული მწერლობისა და სხვა ძველთა ღრმად შესწავლის საფუძველზე აღნიშნულია, რომ X—XI საუკუნეებში საქართველოს მიუღწევია განვითარების მაღალი დონისათვის კულტურის ყველა დარგში და კერძოდ, სამართლისა და მართლმსაჯულების დარგშიც.

ამგვარი ვითარების გათვალისწინებით სრულიად სამართლიანად მიგვაჩინა პ. ბ. ინგოროყვას მსჯელობა გიორგი მერჩულის ზედწოდების შესახებ. „ძველ—ქართული მასალების გათვალისწინებიდან შესაძლო ხდება დადგენილ იქნეს, რომ ზედწოდება „მერჩულე“ — ეს არის თანამედრობა — პროფესიის აღმნიშვნელი სახელწოდება „მერჩულე“ ეწოდება სჯულისმეცნიერს, კანონიკური სამართლის სწავლულ მცოდნეს. ძველ საქართველოში არსებულა ინსტიტუტი „მერჩულე“—თა, სჯულისმეცნიერთა, და ჩვენი მწერალი ამ კორპორაციის წევრი ყოფილა“ მეათე საუკუნეში². პ. ბ. ინგოროყვა აგრეთვე სამართლიანად შენიშნავს, „რომ მე-10—11 საუკუნეებში საქართველოში ყოფილან მეცნიერი იურისტები, რომელთაც ეწოდებათ „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“. ბაგრატ IV-ის ცნობილი სიგელიდან ირკვევა, რომ „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“ საგანგებოდ მოიწვეოდნენ ხოლმე სახელმწიფოს უზენაესი ორგანოს—სახელმწიფო დარბაზის—სხდომაზე რთული იურიდიული საკითხების განხილვის დროს. აქ შესაძლოა აღიძრას საკითხი, ხომ არ არიან ეს „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“—იგივე „მერჩულენი“. როგორც ირკვევა, არა. ქართული ძეგლების შესწავლიდან დასტურდება, რომ დასახელებულ ეპოქაში „საბჭოი“, „საბჭოთა საქმენი“—საერო სამართლის დარგს წარმოადგენდა“³.

სწორედ ამ საერთო სამართლის დარგის „მეცნიერთა საბჭოთა საქმეთა“ შორის ბაგრატ IV-ის მეფობის დროს (XI საუკუნეში) იგულისხმებოდა სხვა საერო იურისტთა გარდა, უეჭველია, ბაგრატისვე თანამედროვე ეფრემ მცირის მიერ დასახელებული „ვარჩირიც“ ანუ „მოსარჩლე“, „თანა-მოსარჩლე“—ადვოკატი.

ამრიგად, უნდა მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნულ ეპოქაში არსებობდა საქართველოში როგორც საეკლესიო ანუ კანონიკური სამართლის მეცნიერთა—„მერჩულეთა“ ინსტიტუტი, ისე საერო სამართლის მეცნიერთა შორის

¹ ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, წ. I, 1920 წ., გვ. 143.

² პ. ბ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1934. გვ. 17—18.

³ იქვე, გვ. 13.

„ვარქირთა“ ანუ „მოსარჩლეთა“, „თანა-მოსარჩლეთა“—ადვოკატთა ინსტიტუტი.

ზემოთქმულის შემდეგ ბუნებრივად დაისმის ახალი საკითხიც, ხომ არ არის შესაძლებელი ეს ინსტიტუტი საქართველოში ადრინდელ საუკუნეებშიაც ვიგულოთ? ვფიქრობთ, რომ იგი არსებობდა, მაშინაც, რადგან ქართველ ადვოკატთა ინსტიტუტი შეუძლებელია ეფერემ მცირის ცხოვრების დროსვე ერთბაშად წარმოშობილიყო და თანაც ადვოკატის აღსანიშნავად იურიდიული სამი ტერმინი — ერთი უცხოური წარმოშობისა (არაბული „ვარქირი“) და ორი კი წმინდა ქართული—ეფერემის სიცოცხლეშივე მას შერქმეოდა; საამისოდ საჭირო იყო საკმაოდ დიდი დრო, რამდენიმე საუკუნე XI საუკუნემდე. მაშასადამე, VIII—X საუკუნეებში, თუ უფრო ადრეც არა, არსებობდა ჩვენში ადვოკატთა ინსტიტუტი.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოებაც. ძველ ქართულში X საუკუნისა და უწინდელ სახარების ხელნაწერთა ტექსტებში გვხვდება „მოსაჯულე“ „თანა-მოსაჯულეც“, რომლებიც, ცხადია, ეტიმოლოგიურად „მოსარჩლე“ „თანა-მოსარჩლესთანა“ დაკავშირებული; საბას სიტყვით კი, „მოსაჯულე“—მოდავე (13, 58 ლუკა)¹, ხოლო „თანამოსაჯულე—მასთან მოდავე“—ა. აქედან აშკარაა, რომ „მოსაჯულე“ „თანა-მოსაჯულე“ ძველ ქართულშივე, V—X საუკუნეებშივე, ისე როგორც „მოსარჩლე“ „თანა-მოსარჩლე“, ხშირად ადვოკატის მნიშვნელობით იხმარებოდა. ამასთანავე, სიტყვა „წინამოსაჯულეც“ გვხვდება X საუკუნისა და უწინარეს ხელნაწერებში; საბას სიტყვითაც, „წინამოსაჯულე—მოდავე (5, 25 მათე)“ არის². ზემოდმოყვანილი ეს იურიდიული ტერმინები წარმოშობილი არიან ეტიმოლოგიურად „სარჩელი“ „რჩული“—საგან; ყველანი კი ერთი საერთო ძირისაგან მომდინარეობენ, საერთო ბუდიდან არიან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უძველეს „მეოხთა“ ინსტიტუტი, თუ უფრო ადრე არა, IV საუკუნიდანვე მაინც უნდა წარმოშობილიყო საქართველოში, როცა ფოთთან არსებობდა ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა და როცა „ეგრი-სელებს თურმე არა ერთგზის უსახელებიათ თავი მჭევრმეტყველებით ბერძნების სადღესასწაულო კრებებზე“, აგრეთვე კოლხეთსა და ქართლში „დიდად განვითარებული იყო როგორც შინასახელმწიფოებრივი, ისე საგარეო დიპლომატიკა“, არსებობდა სამეფო არქივებიც და სხვა³. საამისოდ მაშინდელ კოლხეთსა და იბერიაში უკვე არსებობდა კულტურული ნიადაგი და სათანადო სოციალურ-ეკონომიური გარემოც.

ძველი საქართველოს ასეთ მაღალ კულტურულ ვითარებაში შეუძლებელი იყო მოწინავე ქართველობა კარგად არ გაეცნობოდა რომელი „ადვოკატუს“-ების ინსტიტუტს და მსგავსივე დაწესებულება—პროფესიონალ „მეოხთა“ ინსტიტუტი, თუ უფრო ადრე არა, IV საუკუნიდანვე მაინც ქართველებს უნდა შემოეღოთ. ანტიკურ საბერძნეთსა და რომთან გაძლიერებული პოლიტიკური ურთიერთობა და ეკონომიური კავშირიც ამ ინსტიტუტის წარმოშობისათვის მაშინ ჩვენში საუკეთესო პირობებს წარმოადგენდნენ.

¹ საბა ორბელიანის ლექსიკონი ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, 1928 წ.

² იქვე.

³ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო. I, 1916, გვ. 130-131.

ამრიგად, მცხეთის ჯვრის საყდრის ერთ-ერთ უძველეს წარწერაში (591—600 წ.წ.) დემეტრე ვიპატოსმა როცა გამოთქვა: „წმიდაო მიქაელ მთავარანგელოზო, დემეტრეს ვიპატოსსა მეოხ ეყავ“, ანდა ადრნერსე ვიპატოსმა ამავე საყდრის მეორე წარწერაში (626—634 წ.წ.) როცა გამოთქვა: „წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო, ადრნერსეს ვიპატოსსა მეოხ ეყავ“, აღმოსავლეთ რომის იმპერატორის ამ ქართველ ვიპატოსებს, მისი სამეფო კარის დიდ მოხელეებს, თავიანთ გონებაში ღვთის სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი ჰქონდათ თავ-თავისი „მეოხი“, უთუოდ მაშინ საქართველოს სინამდვილეში არსებული პროფესიონალი „მეოხისა“ და უკანასკნელის მოძმე რომაელ-ბიზანტიელი ადვოკატისათვის დამახასიათებელი მსგავსი ხელობის მქონედ საიქიოში. ამასთანავე, როგორც დემეტრესათვის, ისე ადრნერსესათვის, რა თქმა უნდა, კარგად ცნობილი იყვნენ ზემოხსენებული არაპროფესიონალი „მეოხებიც“, რომელნიც ქართლში ხშირად მათ კარზევე ტრიალებდნენ, და თვითეულ ამ ვიპატოსს თავ-თავისი „მეოხი“, მიქაელი თუ გაბრიელი, მათ მაგვარადაც შეეძლო წარმოედგინა ღვთის წინაშე შემწეობის დამცველად.

მართლაც, IV—VI საუკუნეების ქართულ მძალ კულტურულ ვითარებაში სრულიად ბუნებრივია პროფესიონალ „მეოხთა“ ანუ „მოსარჩლეთა“ ხელობის საუკეთესო მცოდნედ მივიჩნიოთ ცნობილი ორი კოლხი ორატორი—აიეტისა და ფარტაძის. შესაძლებელია ისინი ხელობით პროფესიონალი „მეოხები“ ანუ მოსარჩლენი“ ყოფილიყვნენ. ყოველ შემთხვევაში, უძველესი, ისინა განსწავლული იყვნენ რომელიდაც კარგ რიტორიკულ სკოლაში, შესაძლებელია, ზემოხსენებულ ფილოსოფიურ—რიტორიკულ სკოლაში ფასილთან (ფოთი), ამასთანავე, აიეტისა და ფარტაძის უადრესად მჭევრმეტყველური სიტყვები 554 წელს ეგრისში სახალხო კრებაზე მოწმობს არა მარტო მათ კარგ რიტორიკულ ნიჭს, არამედ მათ ქვეყანაში მაშინ უთუოდ არსებული ადვოკატური, „მეოხური“ ხელობის კარგად ცოდნასა და მასში პრაქტიკულ დახელოვნებასაც. იმდროინდელი რომაელი მოხელეების მიერ ამ კრების მსვლელობის შესახებ ჩაწერილ თხრობებში, რომლებიც აგათიას სქოლასტიკოსს მოკლედ აქვს გადმოცემული¹, გარკვევით მოჩანს ეგრისის სამეფოს ხელმძღვანელი წრეების არა მარტო დიდი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური გამოცდილება და მაღალი საზოგადოებრივი შეგნება, არამედ ამავე სამეფოს სამართლისა და მართლმსაჯულების განვითარების მაღალი დონეც. თვით უცხოელი მოხელეების მიერ აღწერილ ამ კრებაში, აგრეთვე, საკმაოდ ნათლად გამოსჭვივის მაშინდელი ქართული სასამართლოს ჩვეულებრივი პროცედურაც.

ამგვარადვე და უფრო დამარწმუნებლადაც ჩანს ქართველი უძველესი „მეოხი“—ადვოკატის როლი მეფე გუბაზის მკვლელი რომაელების გასამართლებისას თვით რომაულ სასამართლოში, რომელიც მოაწყო იმპერატორ იუსტინიანე I-ის (483—565) ბრძანებულებით კოლხეთში გამოგზავნილმა მსაჯულმა ათანასიმ, ზემოხსენებული სახალხო კრების მიერ გავზავნილი ელჩების ჩივილის შედეგად.

რომაულ სასამართლოში გუბაზის ინტერესების დამცველი კოლხი სწავლულების ქცევასა და სიტყვებში მრავალმხრივ ჩანს მაშინდელი ქართველი

¹ იხ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული „გეოგრაფია..“, ტ III, 1936 წ.



ადვოკატის სასამართლოს წინაშე ქცევის წესი „წარმოდგომისა“ და სიტყვა „წარდგომისა“, როგორც ეს აკად. ივ. ჯავახიშვილს აქვს უფრო გვიანდელი „მეოხისათვის“ თქმული. აგრეთვე, მსაჯულის წინაშე გასამართლების დროს მოწინააღმდეგე მხარეთა „სიტყვის გება“, ადვოკატისათვის საჭირო არგუმენტების მოყვანა, ფართო სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა, ადვოკატური მანერები დასაცავის ნაკლოვანი მხარის მიჩქმალვისა და სამაგიეროდ დადებითი მხარის რელიეფურად ჩვენებისა, აფექტაცია და დემაგოგიური ხერხები და სხვ., რომელთაგან ზოგი რამ, უეჭველია, ძველი რომის „ადვოკატუსებისა“ და რიტორების არსენალიდან მომდინარეობს. ამასთანავე, აიეტის, ფარტაძისა და რომაულ სასამართლოში მდგომი კოლხი სწავლულების სიტყვებში კარგად ჩანს ძველი ბერძნული ლოგიკისა და რიტორიკის კანონწესების ცოდნაც. რაც დიდად დამახასიათებელი იყო ძველი რომაელი „ადვოკატუსებისა“ და სხვა დიდი იურისტებისათვის.

აგათიას სიტყვით, „დარბაისელი კოლხები, რომელთაც კარგა ხანია შეესწავლათ ელინთა ენა“, დიდად დახელოვნებული ჩანან რომაულ სასამართლოში საქმის ძიებისას.

რომაულ სასამართლოში მიღებული წესების დაცვის ვითარებაში მოუხდათ ქართველ ბრალმდებლებს გუბაზის მკვლელობის საქმის გამო გამოსვლა: იმპერატორის წერილის წაკითხვის მოთხოვნისას, საბრალმდებლო სიტყვის წარმოთქმისას, დაკითხვისას და აგრეთვე „ორჯერ მომხდარ პაექრობაში“. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ქართველ ბრალმდებელთა შორის ერთი პროფესიონალი „მეოხი“ მაინც არ ყოფილიყო. პირიქით, უფრო დასაჯერებელია, რომ რამდენიმე კოლხი „მეოხი“ ცვლიდა ერთმანეთს გაცხარებული „პაექრობის“ დროს.

„ელლინთა ენის“ მცოდნე სწავლულ ქართველ „მეოხ“ ადვოკატთა შემწეობით რომაელმა მსაჯულმა ათანასიმ სასამართლოს პროცესში „გამოიკვლია“ და „გაიგო ყველაფერი“, რაც მისთვის განაჩენის გამოსატანად იყო საჭირო.

თუ ზემოდმოყვანილ არგუმენტებსა და, ამასთანავე, აგათია სქოლასტიკოსის მიერ შემონახული საისტორიო ცნობების განხილვასაც საკმაოდ დამაჯერებლად ჩავთვლით, მაშინ უეჭველი ვახდება, რომ საქართველოში უძველეს დროიდანვე, არაუგვიანეს IV საუკუნისა (ფოთის აკადემიის არსებობის დროიდან), არსებობდა ადვოკატთა, პროფესიონალ „მეოხთა“ ინსტიტუტი, რომლის მრავალსაუკუნოვან პროფესიულ-კულტურულ ნიადაგზე XI—XIII საუკუნეებში, ცხადია, უნდა წარმოშობილიყო ადვოკატურის უფრო განვითარებული ფორმა. მაგრამ აქვე ვიჩინოთ სიფრთხილეს და დავსძენთ: IV—X საუკუნეებში ჩვენში ქართველ ადვოკატთა — „მეოხთა“ ინსტიტუტის არსებობა ჯერჯერობით ჰიპოთეზად მიგვაჩნია; ამ მოსაზრების დასამტკიცებლად, ზემოდმოყვანილ არგუმენტებსა და აგათია სქოლასტიკოსის მიერ შემონახულ საისტორიო ცნობებს გარდა, დღემდე უცნობი სხვა საისტორიო წყაროების მონაცემებითაც შემავრება სჭირდება. ეს კი მომავლის საქმეა. ხოლო ეფრემ მცირის ცხოვრების დროიდან, XI საუკუნიდან მაინც XVIII საუკუნის ჩათვლით ქართველ ადვოკატთა — „მეოხთა“, „მოსარჩლეთა“ ანუ „თანამოსარჩლეთა“ ინსტიტუტის არსებობა კი უდავოდ მიგვაჩნია.

უეჭველია, რომ ძველი ქართული მრავალსაუკუნოვანი ადვოკატურის

მაღალი კულტურული ტრადიციის ნიადაგზე განვითარების შედეგად წარმოიშვა არსებითად ერეკლესდროინდელი „მონაცვლე-კაცთა“ ინსტიტუტი თავისი კანონ-წესებით. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ერეკლეს მეფობის დროს თბილისისა და თელავის სემინარიებში ისწავლებოდა სწორედ „მონაცვლე-კაცთათვის“ განსაკუთრებით საჭირო „დიალიქთკა“; ანუ ლოგიკა, და რიტორიკა¹; ეს საგნები, ცხადია, არა მარტო აღსაზრდელ სასულიერო პირთათვის იყო საჭირო, არამედ საერო პირთათვისაც, განსაკუთრებით სამართლისა და მართლმსაჯულების დარგში მომუშავეთათვის. რიტორიკული ხელოვნებისა და ლოგიკის მცოდნეობით მაშინ ცნობილი იყვნენ, მაგალითად, მდივანბეგი მზეჭაბუკ (იგივე იოანე) ორბელიანი, მეფის მდივანი და მსაჯული სოლომონ ლეონიძე და მრავალი სხვა.

ყველა ეს „მდივანბეგი“, „მდივანი“, „მონაცვლე-კაცი“ თუ სხვა მაშინდელ ქართლ-კახეთში იდგა არა მარტო მემამულე ბატონის უფლებების დაცვის სადარაჯოზე, არამედ დიდ-ვაჭართა, ვაჭართა, მრეწველ-მანუფაქტურისტთა, მევახშეთა და სხვა მაშინდელ ბურჟუაზიულ ელემენტთა ინტერესების სადარაჯოზე. ჩვენს საარქივო ფონდებში ამის შესახებ უამრავი დოკუმენტები მოიპოვება.

ერეკლე მეორე ქართველ ადვოკატთა ინსტიტუტის კანონ-წესების სანქციით და სხვა ღონისძიებებით დიდად უწყობდა ხელს არა მარტო მემამულეების უფლებების დაცვას, არამედ ფეოდალურ საზოგადოებაში უკვე ჩასახული და ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიული წრის ინტერესების დაცვასაც. ერეკლემ, თავისი მაღალი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შორსმჭვრეტელობით, ამით წყლის მძლავრი ნაკადი მიუშვა საქართველოს ფეოდალურ წყობილებაში არსებული კაპიტალიზმის ჩანასახის განვითარებისა და მომავალში (XIX საუკუნეში) მემამულურ-ბურჟუაზიული წესწყობილების დამყარების „წისქვილზე“, წინააღმდეგ თავის მიერ მოძულეული სათავადოების სისტემისა.

¹ იხ. ამ საგანთა სწავლების შესახებ აპ. როგავას ნაშრომში „სახალხო განათლება-ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი“, 1950 წ.



წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის ზოგადი საკითხი

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სამართლო წარმოების საფუძვლების პროექტის ოცდამეშვიდე მუხლი ითვალისწინებს, რომ წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურისა და სახელმწიფო უშიშროების გამომძიებლები, მილიცია კი წარმოადგენს მოკვლევის ორგანოს. მაშასადამე, პროექტი, გამოხატავს რა პრაქტიკოს-იურისტთა და თეორიული ფრონტის მუშაკთა უდიდესი უმრავლესობის თვალსაზრისს, ძალაში ტოვებს მოქმედ კანონს, რომელიც არ ცნობს მილიციის გამომძიებლის ინსტიტუტს. მაგრამ მილიციაზე, როგორც ცნობილია, მოდის წინასწარ გამოძიებაში მყოფი საქმეების საკმაოდ დიდი ნაწილი. პროექტი გულისხმობს პროკურატურის საგამომძიებლო აპარატის გაფართოებასა და გაძლიერებას მილიციის ორგანოებში შექმნილი საგამომძიებლო აპარატის ხარჯზე. ამ ღონისძიების განხორციელება საგრძნობლად შეუწყობდა ხელს დანაშაულობასთან წარმატებით ბრძოლისა და სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების საქმეს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროექტი ატარებს რა ზღვარს წინასწარ გამოძიებასა და მოკვლევას შორის, არ იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან პროცესუალური თვალსაზრისით. ამ საკითხის გადაწყვეტას დიდი თეორი-

ული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

პროექტის მიხედვით წინასწარი გამოძიების ჩატარება სავალდებულოა სახელმწიფოებრივ და სამხედრო დანაშაულთა საქმეებზე, აგრეთვე საქმეებზე სხვა დანაშაულთა შესახებ, რომელთა სია დადგინდება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით. მართალია პროექტში ამაზე პირდაპირ არაფერია ნათქვამი, მაგრამ იგულისხმება, რომ დანარჩენი კატეგორიის საქმეები ექვემდებარება მოკვლევას, ე. ი. ეს საქმეები სასამართლოში უნდა წარიმართოს წინასწარი გამოძიების გარეშე. გარდა ამისა, პროექტი აწესებს, რომ წინასწარი გამოძიების ქვემდებარე საქმეებზე მოკვლევის ორგანოები მხოლოდ გადაუდებელ მოქმედებებს შესარულებენ დანაშაულის კვლისა და სხვა დამამტკიცებელი საბუთების გამაგრების, დამნაშავის აღმოჩენისა და დაკავებისათვის.

ამგვარად, პროექტი განასხვავებს მოკვლევას ორ სახეს: 1. მოკვლევა წინასწარი გამოძიების ქვემდებარე საქმეებზე და 2. მოკვლევა იმ საქმეებზე, რომლებიც წარიმართებიან სასამართლოში წინასწარი გამოძიების გარეშე. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მოკვლევის საპროცესო ფორმები წინასწარი გამოძიების ქვემდებარე საქმეებზე, არ არის დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებულ სიძნელესთან და დავასაც არ იწვევს. რაც შეეხება მოკვლევის საპროცესო

ფორმებს საქმეებზე, რომლებიც სასამართლოში წარმართებიან წინასწარი გამოძიების გარეშე, ამ საკითხზე საბჭოთა პროცესუალისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა და უკვე დიდი ხანია მწვავე კამათი წარმოებს. ეს საკითხი გადაწყვეტილი არ არის სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების პროექტშიც. პროექტის ოცდამეშვიდე მუხლში, სადაც ლაპარაკია მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებაზე, ამის შესახებ საერთოდ არაფერია ნათქვამი. მხოლოდ მეთოთხმეტე მუხლი მიუთითებს, რომ როგორც წინასწარ გამოძიების, ისე მოკვლევის დროს ბრალდებულს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სავაშინებლო მოქმედებაში, გაეცნოს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების მასალებს. მაშასადამე პროექტი გამოდის იქიდან, რომ ბრალდებულის საპროცესო უფლებები ერთი და იგივეა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი პროცესუალური თვალსაზრისით აიგივებს მოკვლევას წინასწარ გამოძიებასთან.

როგორ წყვეტს ამ საკითხს მოქმედი კანონმდებლობა?

საქ. სსრ-ში 1931 წლიდან მოქმედი „წინასწარი გამოძიების წარმოების დროებითი წესები“ მოკვლევის არავითარ სპეციალურ საპროცესო ნორმებს არ ითვალისწინებენ. მოკვლევა და წინასწარი ძიება აქ წარმოდგენილია ერთი მთლიანი ინსტიტუტის „წინასწარი გამოძიების“ სახით. ასეთივე პოზიციებზე დგას უზბეკეთის (1929 წ.) და ტაჯიკეთის (1934 წ.) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები. სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა მნიშვნელოვნად ავიწროებს იმ მოქმედებათა წრეს, რომლებიც შეიძლება შესრულდებულ იქნას მოკვლევის დროს

(იხ. მაგალითად, რსფსრ-ის სისხლ სამართ. საპრ. კოდ. 101 და 102 მუხლები), მაგრამ პრაქტიკაში ეს შეზღუდვა უგულვებელყოფილია და მოკვლევა ტარდება იმავე საპროცესო ფორმებში, როგორც წინასწარი გამოძიება. როგორც ჩანს, სწორედ პრაქტიკაში შექმნილ მდგომარეობას გაუწვია ანგარიში კანონმდებელმა საქართველოში, უზბეკეთსა და ტაჯიკეთში და არ გაიზიარა რსფსრ-ის სისხლ. სამართ. საპრ. კოდექსის პოზიცია ამ საკითხში. მაგრამ შემთხვევითია თუ არა ის გარემოება, რომ ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკებში კანონი განსხვავებს მოკვლევას წინასწარი გამოძიებისაგან საპროცესო ფორმების მიხედვით, ხოლო პრაქტიკა უგულვებელყოფს ამ განსხვავებას.

მოკვლევით მთავრდება და სასამართლოში საქმეები წარმართება შედარებით მსუბუქ დანაშაულთა გამო, მაგრამ საქმე მსუბუქ დანაშაულზე ხშირად რთულია და ჭეშმარიტების დასადგენად ღრმა და ყოველმხრივ გამოკვლევას საჭიროებს, როგორც მძიმე დანაშაულის თაობაზე აღძრული საქმე. გარდა ამისა, რსფსრ-ისა და ზოგიერთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლ. სამართ. საპროც. კოდექსი მოკვლევის დროს არ ითვალისწინებს ბრალდებულის პასუხისმგებლობაში მიცემასა და ბრალდების წაყენებას. ეს პროცესუალური აქტები კი ზოგჯერ წარმოშობენ მთელ რიგ საპროცესო უფლებებს ბრალდებულისათვის. მაშასადამე იქმნებოდა ისეთი მდგომარეობა, როცა მსუბუქი დანაშაულის ჩამდენ პირს ეზღუდებოდა საპროცესო უფლებები წინასწარი გამოკვლევის სტადიაში იმის გამო, რომ მისი საქმე მოკვლევით მთავრდება, ხოლო მძიმე დანაშაულის ჩამდენი ფართოდ სარგებლობს ამ უფლებებით, რამდენადაც მისი

საქმე ექვემდებარება წინასწარ გამოძიებას. მოკვლევისათვის კანონით დადგენილი ეს შეზღუდვები არ უთავსდებოდნენ სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ამოცანას, საბჭოთა სამართლის დემოკრატიულ პრინციპების შემდგომი გაღრმავებისა და განვითარების ტენდენციას, რომელიც სულ უფროდაუფრო ძლიერდებოდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებასთან დაკავშირებით. ამიტომ სრულიად კანონზომიერად პრაქტიკამ უგულვებელჰყო ისინი.

ლიტერატურაში დიდი ხანია გამოთქმულია აზრი, რომ მოკვლევა იმ საქმეებზე, რომლებიც უშუალოდ სასამართლოში წარმართებიან, უნდა ჩატარდეს იმავე საპროცესო ფორმებში, როგორც წინასწარი გამოძიება¹. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა — თუ კი ფაქტიურად საქმის წარმოებას ექნება წინასწარი გამოძიების ხასიათი, რატომ უნდა ვუწოდოთ მას მოკვლევა? ვფიქრობთ, რომ არავითარი საფუძველი არ რჩება ასე მოვიქცეთ. გამომდინარე აქედან მართებულად მიგვაჩნია საკითხის შემდეგნაირად გადაწყვეტა: წინასწარი გამოძიების ჩატარება სავალდებულო უნდა იყოს სისხლის სამართლის ყველა საქმეზე, გარდა საქმეებისა კერძო ბრალდების გამო (როცა საქმეში ჩარევას საჭიროდ არ ცნობს პროკურორი ან მოსამართლე). გამონაკლისს შეიძლება შეადგენდეს აგრეთვე საქმეები ზოგიერთ მცირე დანაშაულზე, რომელთა წარმოების წიგს სპეციალურად განსაზღვრავს კანონი.

ზოგიერთი ჩვენი პროცესუალისტი² წინადადებას იძლევა, რომ წინასწარი გამოძიება იმ საქმეებზე, რომლებიც ამჟამად მოკვლევას ექვემდებარება,

მიენდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს. მას შემდეგ რაც იურიდიულმა საზოგადოებრიობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მოსაზრებას ერთიანი საგამომძიებლო აპარატის შექმნის შესახებ, ძნელია დაეთანხმო ამ წინადადებას. ჩვენი აზრით, უფრო სწორია, რომ წინასწარი გამოძიება ყველა საქმეზე პროკურატურამ აწარმოოს.

ასეთ შემთხვევაში მოკვლევა ყველა კატეგორიის საქმეზე იქნება წინასწარი გამოძიების მოსამზადებელი სტადია. იგი გამოიხატება გადაუდებელ მოქმედებაში დანაშაულის კვალისა და სხვა დამამტკიცებელი საბუთების გამარტებასა, დამნაშავის მოძებნასა და დაკავებაში. საკითხის ასეთი გადაწყვეტა კი არ დაასუსტებს მილიციის ორგანოებს, არამედ, პირიქით, საშუალებას მისცემს მათ მოახდინონ მთელი ძალების კონცენტრაცია იმ ამოცანების გადასაჭრელად, რისთვისაც ისინი პირდაპირ არიან მოწოდებულნი.

თუ მართებულად იქნება მიჩნეული შეხედულება იმის შესახებ, რომ წინასწარი გამოძიება უნდა ჩატარდეს თითქმის ყველა სისხლის სამართლის საქმეზე, მაშინ რამდენჯერმე უნდა შემცირდეს მოკვლევის ვადა (ერთი თვე), რასაც მოქმედი კანონი ითვალისწინებს.

„წინასწარი გამოძიებას წარმოების დროებითი წესების“ მეორე მუხლი შეიცავს მოთხოვნას, რომ როცა წინასწარი გამოძიების ქვემდებარე საქმეზე მოკვლევა იწყება, მოკვლევით ორგანო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ პროკურორს (კანონში აღნიშნულია — გამომძიებელს). მსგავს მოთხოვნას ვხვდებით სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლ. სამართ. საპროც. კოდექსებშიც. მართალია, კანონის ეს მიზნობა

¹ მ. ს. სტროგოვიჩი, სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 1948 წ., გვ. 291.

² იხ. журнал „Советское государство и право“, 1958, г. № 8, стр. 87.

პრაქტიკაში არ ხორციელდება, მაგრამ, ჩვენის აზრით, იგი შენარჩუნებული უნდა იქნას მომავალშიც. შეიტყობს რა, რომ ჩადენილია დანაშული, რომელზეც უნდა ჩატარდეს წინასწარი გამოძიება, პროკურატურას საშუალება ექნება პირველი შესაძლებლობისთანავე ჩაერიოს საქმეში.

პროექტის ოცდამეგრე მუხლი აწესებს, რომ „პროკურორის მითითებები სავალდებულოა გამოძიებლისა და იმ პირისათვის, რომელიც მოკვლევას აწარმოებს“. ეს სიტყვები თავისთავად არ იწვევენ დავას, მაგრამ ისინი არ იძლევიან პასუხს კითხვაზე — შეუძლია თუ არა გამოძიებელს გაასაჩივროს პროკურორის მითითება, ხოლო თუ შეუძლია როგორი წესით უნდა მოხდეს ეს?

ლიტერატურაში მრავალი თვალსაზრისი გამოითქვა გამოძიებლის მიერ პროკურორის მითითებათა გასაჩივრების წესის შესახებ. ზოგიერთი ავტორი წინადადებას იძლევა, რომ როცა პროკურორსა და გამოძიებელს შორის უთანხმოებაა საქმის სასამართლოში წარმართვასა ან მოსაზრებაზე, საკითხი გადასაწყვეტად სასამართლოს გადაეცეს. ავტორთა სხვა ჯგუფს მიაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში პროკურორმა საქმე უნდა გადასცეს სხვა გამოძიებელს, ან თვითონ მიიღოს წარმოებაში¹.

ჩვენი აზრით უმჯობესია ძირითადად შენარჩუნებულ იქნას ის წესი, რომელიც ამჟამად მოქმედებს. „წინასწარი გამოძიების წარმოების დროებითი წესების“ მეორე მუხლი (და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლ. სამართ. საპროც. კოდექსის შესაბამისი მუხლები) ითვალისწინებს, რომ იმ შემთხვევაში, როცა გამოძიებელი არ ეთანხმება პროკურორს, მას უფლება

აქვს გაასაჩივროს ამ უკანასკნელის მითითება ზემდგომ პროკურორთან ისე, რომ არ შეაჩეროს მითითების შესრულება. კანონის ამ ნორმაში ორგანულად არის შეხამებული ორი სწორი დებულება: 1. პროკურორის მითითება სავალდებულოა გამოძიებლისათვის; 2. გამოძიებელს უფლება აქვს გაასაჩივროს ეს მითითება.

პრაქტიკაში საკითხი ცოტა სხვაგვარად წყდება. როცა პროკურორსა და გამოძიებელს შორის აზრთა სხვადასხვაობაა, პროკურორი, ჩვეულებრივ, არ მოითხოვს ამ უკანასკნელისაგან თავისი მითითების დაუყოვნებლივ შესრულებას. პროკურორის თანხმობით გამოძიებელი საქმეს მოახსენებს ზემდგომ პროკურორს, რომელიც საკითხს საბოლოოდ წყვეტს. ასეთი პრაქტიკა შედეგია პასუხისმგებლობის ღრმა შეგნებისა საბჭოთა პროკურორების მიერ.

გამომდინარე აქედან, უმჯობესი იქნებოდა გამოძიებლის მიერ პროკურორის მითითებათა გასაჩივრების წესის შემდეგი ფორმულირება: „როცა გამოძიებელი არ ეთანხმება ზედამხედველი პროკურორის მითითებას, მას უფლება აქვს გაასაჩივროს ეს მითითება ზემდგომ ორგანოებში. ზედამხედველ პროკურორს შეუძლია მოითხოვოს გამოძიებლისაგან გასაჩივრებული მითითების დაუყოვნებლივი შესრულება“.

პროექტის ოცდამეერთე მუხლის თანახმად ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ გამოძიებლის ან მომკვლევით ორგანოს მოტივირებული დადგენილების საფუძველზე, რომელიც სკინერ¹ ციონირებულია პროკურორის მიერ. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრეკა ჩატარდება პროკურორის სანქციის გარეშე, რის შესახებაც უნდა ეცნობოს მას არა უგვიანეს ოცდაოთხი საათისა.

¹ იხ. журнал „Советская юстиция“, 1958, г. № 7, стр. 14.



ეს წესი გამომდინარეობს პიროვნებისა და მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის პრინციპიდან, რომელიც აღნიშნულია საბჭოთა კონსტიტუციით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროექტი სათანადოდ არ უზრუნველყოფს ამ წესის დაცვას. მოთხოვნა იმისა, რომ პროკურორს ეცნობოს მისი სანქციის გარეშე ჩატარებული ჩხრეკის შესახებ, არ წარმოადგენს ისეთ ღონისძიებას, რომელიც აღკვეთს უსაფუძვლოდ ჩხრეკის წარმოების შესაძლებლობას. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, როცა ადგილი ექნება ჩხრეკას პროკურორის სანქციის გარეშე, პროკურორმა უნდა შეამოწმოს თუ რამდენად სწორად მოიქცა გამომძიებელი ან მომკვლევო ორგანო ეს ღონისძიება რომ გაატარა. ასეთი კონტროლი განსაკუთრებით აუცილებელია ე. წ. პირადი ჩხრეკის წარმოებაზე, რომელიც ხშირად თან ახლავს დაკავებას. წინააღმდეგ შემთხვევაში პროკურორის სანქციის გარეშე ჩხრეკის ჩატარება გამონაკლისიდან წესად იქცევა და ეს საპროცესო ნორმა დაკარგავს თავის ძალასა და მნიშვნელობას.

პროექტის ოცდამეერთე მუხლიდან უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ როცა პირადად პროკურორი აწარმოებს ჩხრეკას, იგი ვალდებულია შეადგინოს ამის შესახებ მოტივირებული დადგენილება.

სპეციალურ ლიტერატურაში და პრაქტიკოს — იურისტთა შორის ყოველთვის კამათის საგანი იყო საკითხი

იმის შესახებ, თუ რა აქტით უნდა დაიწყოს სისხლის სამართლის საქმე. ზოგი ამ აქტს სისხლის სამართლის საქმის აღძვრას უწოდებს, ზოგი სისხლის სამართლის დევნის აღძვრას, ზოგი კი სისხლის სამართლის საქმის და დევნის აღძვრას წინასწარი გამოძიების სხვადასხვა სტადიად თვლის.

ჩვენი აზრით ეს საკითხი პროექტში სწორად არის გადაწყვეტილი. პროექტის მეოთხე და მეხუთე მუხლებში ლაპარაკია სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე. მამასადამე დამოუკიდებლად იმისა, ცნობილია თუ არა დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი, როცა სახეზეა დანაშაული — აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე. ამასთან თუ დადგენილია მხოლოდ დანაშაულის ფაქტი, საქმე აღიძვრება ამ ფაქტის გამო, ხოლო თუ ეჭვმიტანილი პირი ცნობილი იქნა დანაშაულში — საქმე აღიძვრება ამ პირის მიმართ.

პროფ. მ. სტროგოვიჩის ცდა სადაოდ გახადოს პროექტის თვალსაზრისი იმ მოტივით, რომ სისხლის სამართლის დევნის აღძვრა არ შეიძლება შეიცვალოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრით, რადგან „საქმის აღძვრა — ეს ნიშნავს მხოლოდ დადგენილებას გამოტანას სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე და მეტს არაფერს“¹ — მოკლებულია საფუძველს. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ამათუიმ პირის მიმართ იგივეა, რაც სისხლის სამართლის დევნის აღძვრა.

ი. კიკოზაშვილი,

კასპის რაიპროკურატურის გამომძიებელი

მ. კიკოზაშვილი.

¹ იხ. журнал „Советское государство и право“, 1958, № 7, стр. 87.

ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გამო

პარტიის XX ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უმაგალითო წარმატებები მიიპოვა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს. ამის დადასტურებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილება, რომლითაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება მხარდაჭერა და დახმარება გაეწიოს მშრომელებს საბინაო მშენებლობის ფართოდ გაშლის საქმეში. ამ მიზნით გამოყოფილი იქნა დამატებითი სახსრები.

სსრკ მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1957 წლის 31 ივლისის დადგენილებით „საბჭოთა კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“ მიიღეს გადაწყვეტილება უახლოეს ხანში მიღწეულ იქნას საბინაო ფონდის ისეთი ზრდა, რომ 10—12 წლის განმავლობაში აღმოიფხვრას საცხოვრებელი ბინების ნაკლებობა.

ყოველწლიურად 100 ათასობით კვადრატული მეტრი ბინის ფართობი ვადაცემათ სარგებლობაში მშრომელებს. გარდა ამისა, ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის მუშა-მოსამსახურეებს მილიონობით თანხები გამოეყოთ გრძელვადიანი სესხის სახით.

კომუნალური ბანკები აწარმოებენ ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის მოქალაქეებზე სესხის გაცემასა და დროულად ამოღებას. მსესხებელ პირთა უმრავლესობას შეგნებული აქვს მიღებული სესხის დანიშნულებისამებრ გამოყენებისა და მისი ბანკისათვის ვადაზე დაბრუნების მნიშვნელობა. ამიტომ ისინი სისტემატურად ასრულებენ ბანკის მოთხოვნებს და არ უშვებენ სესხის დაფარვის ვადის გადაცილებას.

სამწუხაროდ არიან ისეთი მსესხებლებიც, რომლებიც მიღებულ კრედიტს იყენებენ არადანიშნულებისამებრ და არიდებენ თავს სესხის გადახდას, მიუხედავად იმისა, რომ მათ ვალის გადახდის საშუალება აქვთ.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 318 მუხლის დანართში ჩამოთვლილია მოვალის ქონებათა ისეთი სახეობანი, რომელთა მიმართ სასამართლო ორგანოების სააღმსრულებლო ფურცლით და მისი თანაბარი დოკუმენტით არ შეიძლება მიქცეულ იქნას გადახდევინება.

აღნიშნული მუხლის „თ“ პუნქტში მითითებულია, რომ სოციალური უზრუნველყოფის ხაზით მიღებული სახსრები და დახმარება მრავალშვილიანობის გამო არ შეიძლება გახდეს იძულებითი წესით გადახდევინების ობიექტი. იგივე აზრია გატარებული სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ 1956 წლის 4 აგვისტოს დამტკიცებულ საპენსიო დებულების 178-ე მუხლში, სადაც სწერია, რომ არავითარი დაკავება პენსიიდან არ დაიშვება, გარდა და-

კავებისა ალიმენტების გადასახდელად. და პენსიის იმ თანხის გადასახდელად, რაც ზედმეტად მიეცა პენსიონერს მისი უკანონო მოქმედების შედეგად.

ზოგიერთი პენსიონერი სარგებლობს რა აღნიშნული დებულებით ურჩობს სესხის გადახდაზე.

ასე, მაგალითად, მოქ. ცერცვაძემ ჭიათურის რაიონში ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის მიიღო სესხი 20000 მანეთის რაოდენობით, მას არავითარი მშენებლობა არ უწარმოებია. დღეისათვის მასზე ირიცხება დავალიანების სახით 16000 მანეთი. იგი ურჩობს და არ იხდის სესხს, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვიურად დებულობს პენსიას 1136 მანეთის რაოდენობით.

ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლომ უკან დააბრუნა აღმასრულებელი ფურცელი შეუსრულებელი სახით იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი პენსიონერია, არსად არ მუშაობს და არც სხვა რამ ისეთი ქონება გააჩნია, რაზედაც შეიძლებოდა გადახდევინების მიქცევა. შეგვიძლია სხვა ხასიათის მაგალითიც მოვიყვანოთ: მსესხებელი ნადია კობრეიძე მუშაობს აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში და ხელფასს დებულობს 300 მანეთს თვეში ე. ი. თითქმის 4-ჯერ ნაკლებს, ვიდრე მოქალაქე ცერცვაძე. კომუნალური ბანკის ვალის გადასახდელად ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ ნ. კობრეიძის ხელფასს ყადაღა დაადო და ბანკს ურიცხავს განსაზღვრულ თანხას. ისმის კითხვა, თუ ხსენებულ თანხაზე კანონით შეიძლება გადახდევინების მიქცევა, რატომ არ უნდა იქნას მიქცეული გადახდევინება ასეთ შემთხვევაში პენსიაზე? ჩვენის აზრით ცხოვრების პრაქტიკამ დაგვანახა, რომ საპენსიო დებულების ზემოაღნიშნულ პუნქტში და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ უნდა იქნას ცვლილება იმ მიმართებით, რომ დადგინდეს გადახდევინების მიქცევის წესი პენსიებზე, როდესაც პენსიონერები თავს არიდებენ ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის კომუნალურ ბანკებიდან აღებული სესხის გადახდას. ეს ხელს შეუწყობს სახელმწიფოს თანხების დროულად და უდანაკარგოდ ამოღების საქმეს და ამავე დროს ამით შელავათი მიეცემათ იმ კატეგორიის პენსიონერებსაც, რომელთაც სურვილი აქვთ ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის მიიღონ სესხი, მაგრამ საამისო უფლება არ გააჩნიათ იმის გამო, რომ საკრედიტო წესებით სესხის გაცემა სწარმოებს მხოლოდ მუშა-მოსამსახურეებზე.

მ. როკეტლიშვილი,

კომბანკის იურისკონსულტი



აჭარის ასსრ პროკურატურის ორგანიზაციული მუშაობის გამოხდელიაზიდან

ს. ბელიავესკაია

საქ. სსრ პროკურორის მოადგილე

საბჭოთა პროკურატურის ორგანოებზე დაკისრებული ამოცანების წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მუშაობის უნარიან ორგანიზაციას, ქვემდგომი პროკურატურებისადმი კვალიფიციურ ხელმძღვანელობას, პროკურატურის ორგანოების მუშაკთა აქტივობისა და პრინციპულობის ამალებას სოციალისტური კანონიერების დარღვევებსა და დანაშაულობასთან ბრძოლაში.

აჭარის ასსრ პროკურატურაში ჩატარებული შემოწმებით რესპუბლიკაში კანონიერების დაცვაზე საპროკურორო ზედამხედველობის ორგანიზაციისა და პროკურატურისა და საგამომძიებლო კადრების აღზრდის საქმეში ჩატარებული მუშაობის შესახებ გამოვლინდა, რომ აჭარის ასსრ პროკურატურაში დიდი ყურადღება ექცევა დაგეგმვისა და დასახულ ღონისძიებებზე მტკიცე კონტროლის განხორციელების საკითხებს. კვარტალური გეგმების შედგენას წინ უძღვის მოსამზადებელი მუშაობა, რომლის დროსაც მოწმდება დანაშაულობის მდგომარეობა, როგორც რესპუბლიკის მასშტაბით, ისე ცალკეულ რაიონებსა და ქ. ბათუმში, ასევე მოწმდება მუშაობა სსრკ გენერალური პროკურორის უმნიშვნელოვანესი ბრძანებების შესრულების დარგში.

ამის შედეგად სამუშაო გეგმებში შეიტანება აქტუალური საკითხები, მიმართული პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების გადაჭრისაკენ სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების, დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების, მოქალაქეთა უფლებების დაცვისა და სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის დარგში.

უკანასკნელი წლების განმავლობაში აჭარის ასსრ პროკურატურის მიერ მიღებულია ზომები საერთო საზედამხედველო მუშაობის გაუმჯობესებისა და მისი სწორი ორგანიზაციისათვის, 1955 წლის მაისში დამტკიცებული „სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ დებულების“ შესაბამისად.

დებულებით განსაზღვრულია, რომ საერთო საზედამხედველო მუშაობის საფუძველს წარმოადგენს ზედამხედველობა სამინისტროების, ხელისუფლებისა და მართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების კანონთან ზუსტ შესაბამისობაზე. დებულებით დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანები აქვთ დაკისრებული პროკურატურის ორგანოებს ორგანიზაციების, დაწესებულებების, თანამდებობის პირებისა და სსრ კავშირის მოქალაქეების მიერ კანონების დაცვაზე ზედამხედველობის დარგში.

საერთო საზედამხედველო მუშაობაში არსებული ფორმებისა და დებების გამოყენებით აჭარის ასსრ პროკურატურამ კანონიერების განმტკიცებაში გარკვეულ შედეგებს მიაღწია.

აჭარის ასსრ პროკურორისა და რაიონის პროკურორების პროტესტების საფუძველზე გაუქმდა მართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოცემული მრავალი სამართლებრივი აქტი, რომელიც არ შეესაბამებოდა კანონს და ამით დარღვეული კანონიერება აღდგენილი იქნა.

კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის ქმედით ფორმას პროტესტებთან ერთად წარმოადგენს ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში წარდგინებების შეტანა კანონის დარღვევებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის შესახებ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის პროკურორის ამხ. ტაკიძის წარდგინებების საფუძველზე უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში მიღებულია 5 დადგენილება, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მნიშვნელოვან საკითხზე.

აჭარის ასსრ პროკურორი ამხ. ტაკიძე და მისი თანაშემწე ამხ. ფიფია ადგენენ წარდგინებებს კანონის შესრულების შემოწმებისა და მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების, სისხლის და სამოქალაქო სამართლის კონკრეტული საქმეების ღრმა ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე.

განსაკუთრებით საყურადღებოა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში შეტანილი წარდგინებები რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებში, სამრეწველო საწარმოებსა და კოლმეურნეობებში სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ კანონების დარღვევის თაობაზე.

სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ კანონების შესრულება აჭარის ასსრ პროკურატურამ შეამოწმა სამომხმარებლო კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში, კვების მრეწველობის საწარმოებში, ადგილობრივი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებში, კოლმეურნეობებში.

შეიქმნებოდა დადგინდა სამომხმარებლო კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში სოციალისტური საკუთრების დაცვის კანონების დარღვევის უხეში ფაქტები, რის შედეგად სავაჭრო სისტემაში გაფლანგვა-დატაცებამ მნიშვნელოვან თანხებს მიაღწია. გაფლანგვა-დატაცებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მატერიალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ თანამდებობებზე ინიშნებოდნენ არასაიმედო პირები; სარევიზიო მუშაობა სავაჭრო ორგანიზაციებში ხორციელდებოდა სუსტად; მასალები გაფლანგვა-დატაცების შესახებ რიგ შემთხვევებში დროულად არ ეგზავნებოდათ საგამომჩიებლო ორგანოებს; გაფლანგვა-დატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ადგილი ქონდა დამნაშავეთა მიმართ ლიბერალობისა და მათი დაფარვის ცალკეულ ფაქტებს ზოგიერთი წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და საკონტროლო-სარევიზიო აპარატის მიერ.

ასე, მაგალითად, სოფელ დაგვაში ქობულეთის რაიკოოპერატივის № 1 მაღაზიის გამგე აბუსერიძეს 1957 წლის ივლისში აღმოაჩნდა 1488 მანეთის



თანხის დანაკლისი. რაიკოპერატივის გამგეობამ აბუსერიძეს მხოლოდ საყვე-
დური გამოუცხადა. ორი თვის შემდეგ აბუსერიძეს კვლავ აღმოაჩნდა 1400
მანეთის დანაკლისი, მაგრამ იგი ამის შემდეგაც განაგრძობდა მუშაობას,
ვინაიდან გამგეობის მიერ ნოემბერში გამოტანილი გადაწყვეტილება მისი
სამუშაოდან მოხსნის შესახებ შეუსრულებელი რჩებოდა. 1957 წლის დეკემ-
ბერში აბუსერიძეს აღმოაჩნდა დანაკლისი 14000 მანეთზე მეტი ოდენობით
და მხოლოდ ამის შემდეგ იქნა იგი მოხსნილი სამუშაოდან და მასალები გა-
დაეცა საგამომძიებლო ორგანოებს.

დატაცებაში მხილებულ პირთა დაფარვის ფაქტები გამოვლინდა ბათუმის
თამბაქოს ფაბრიკაში. ფაბრიკის დირექციამ არ გადასცა საგამომძიებლო
ორგანოებს მასალები ექსპედიტორ კუტუბიძის მიმართ, რომელმაც სცადა
ფაბრიკიდან გაეტანა 2 ყუთი პაპიროსი და აგრეთვე მასალები წუნმდებელ
კაკაბაძეზე, რომელიც მხილებული იქნა ფაბრიკიდან 800 ცალი პაპიროსის
გატანის მცდელობაში.


საოლქო კომიტეტის ბიურომ მიმდინარე წლის თებერვალში პროკურო-
რის წარდგინების საფუძველზე, რომელიც საერთო ზედამხედველობის წე-
სით ჩატარებული შემოწმების მასალების გარდა შეიცავდა საგამომძიებლო
საქმეებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალებს, მიიღო დადგენილება გა-
ფლანგვა-დატაცებასთან ბრძოლის გაძლიერებისა და ამ დარგში სამინისტროე-
ბის, უწყებების, წარმოება-დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვა-
ნელების პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. ბიურომ აგრეთვე დაავა-
ლა პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოებს გააუმჯობე-
სონ მუშაობა გაფლანგვა-დატაცებასთან ბრძოლისა და სოციალისტურ საკუ-
თრებაზე დანაშაულებრივი ხელყოფისაგან გამაფრთხილებელი ღონისძიებე-
ბის გატარების ხაზით.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ რესპუბლიკის პროკურო-
რის წარდგინების საფუძველზე მიიღო დადგენილება კოლმეურნეობებში
გაფლანგვა-დატაცების და სხვა ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის
გაძლიერების შესახებ.

პროკურატურის მიერ შეტანილი წარდგინების საფუძველზე აჭარის ასსრ
მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულია დადგენილება ხელისუფლების ადგი-
ლობრივი ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას კანონის დარ-
ღვევების აღმოფხვრის შესახებ. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა
ადგილებზე დაგზავნა პროკურატურის წარდგინება მახინჯაურისა და ურეკის
სასოფლო საბჭოს აღმასკომების მიერ დაშვებულ დარღვევების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის
ბრძანებულების „კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ნათესების
გათელისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ ადგილებზე ჩატარებულ შე-
სრულების შემოწმების შედეგების განზოგადების საფუძველზე პროკურატუ-
რამ შეიტანა წარდგინება აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, რომლის
დადგენილებით წარდგინება დაეგზავნა ყველა რაიონული საბჭოების აღმას-
კომებს დარღვევის წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მისაღებად.

დადებითად უნდა შეფასდეს აგრეთვე პროკურატურის მიერ შეტანილი
წარდგინებები სოფლის მეურნეობაში კანონიერების დარღვევის, მოქალაქეთა
განცხადებებისა და საჩივრების გადაწყვეტის დროს კანონის დარღვევის,



შრომის კანონმდებლობისა და აგრეთვე მილიციის ორგანოებისა და მინისტრაციულ საქმიანობაში კანონიერების დარღვევის შესახებ.

პროკურატურის მუშაკები ამჟამად ხშირად იყენებენ სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ დებულების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით მინიჭებულ უფლებას მოსთხოვონ სათანადო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მათდამი დაქვემდებარებული წარმოება-დაწესებულებებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის შემოწმება და რევიზია.

ქ. ბათუმის პროკურორის თანამემწის ამხ. ცინცაძის ინიციატივით ჩატარებულ რევიზიის შედეგად ბათუმის სამკერვალო ფაბრიკაში დადგინდა სახელმწიფო სახსრების მნიშვნელოვანი დატაცება.

აჭარის ასსრ პროკურატურამ მიიღო მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებებისა, მიმართული საგამომძიებლო მუშაობის ხარისხის ამაღლების და დანაშაულის გამომწვევ პირობების აღკვეთისაკენ, რათა უზრუნველყოფილი იქნას ყველა დანაშაულის გახსნა, ადვილი არ ექნეს ბოროტმოქმედის მიერ პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებას.

დიდი ყურადღება ექცევა ბრძოლას განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთან, როგორცაა სოციალისტური საკუთრების დატაცება, მკვლელობა, ხულიგნობა. საბჭოთა მოქალაქეების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ღირსებისა და პატიოსნების წინააღმდეგ დანაშაულებრივი მცდელობა.

დანაშაულთან ბრძოლის სწორი ორგანიზაციის მიზნით აჭარის ასსრ პროკურატურაში სისტემატურად წარმოებს დანაშაულობათა მდგომარეობისა და დინამიკის შესწავლა პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მონაცემების საფუძველზე.

ამ მსაღების ანალიზი ოპერატიული მონაცემებისა და ცალკეული კატეგორიის საგამომძიებლო საქმეების შესწავლასთან ერთად საშუალებას იძლევა დაისახოს ღონისძიებანი საგამომძიებლო მუშაობის გაუმჯობესებისათვის და კოორდინირებულ იქნას პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების მოქმედებანი, აგრეთვე შეტანილი იქნას პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში წარდგინებები დანაშაულის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისათვის ზომების მისაღებად.

1958 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, აჭარის ასსრ პროკურატურის მიერ შეტანილი იქნა რამოდენიმე წარდგინება, რომელიც შეიცავდა დანაშაულის გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზების სერიოზულ ანალიზს. კერძოდ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პროკურატურის წარდგინება მცირეწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელშიც დიდი კატეორიული მასალის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ მცირეწლოვანთა შორის დანაშაულის ლიკვიდაციისათვის საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა ბავშვთა უმეტესწილად და უპატრონობასთან, გაუმჯობესდეს მილიციის ბავშვთა ოთახების, რაიადმასკომებთან არსებული ბავშვთა მოწყობის კომისიების მუშობა და ა. შ.

გაუმჯობესდა საგამომძიებლო მუშაობის მაჩვენებლები აჭარის ასსრ პროკურატურის ორგანოებში. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში პროკურატურის მიერ გამოძიების ვადის დარღვევით გამოძიებულა საქმეთა 3,3 პროცენტი, მილიციის მიერ — 3,1 პროცენტი. ამავე პერიოდში პროკურატურას დამატებით გამოძიებისათვის დაუბრუნდა საქმეთა 0,6 პროცენტი.



აჭარის ასსრ პროკურატურა დიდ ყურადღებას აქცევს სასამართლოში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვაზე ზედამხედველობის სწორ ორგანიზაციას.

პროკურატურა სისტემატურად სწავლობს სასამართლოების მიერ უმდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელის ზომების გამოყენების პრაქტიკას, განზოგადებული შედეგები კი იხილებოდა ოპერატიულ თათბირებზე და შექპონდათ წარდგინებები აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრთან.

შესწავლილი იქნა საკასაციო წესით განაჩენების გაუქმებისა და შესწორების მიზეზები და ამ საკითხზე შეტანილ იქნა წარდგინებები აჭარის იუსტიციის მინისტრთან.

უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში განზოგადებულია პრაქტიკა სასამართლოს ზედამხედველობის სხვა აქტუალურ საკითხებზეც, როგორც მაგალითად: გამამართლებელი განაჩენების გამოტანის საფუძვლიანობა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 1 ნოემბრის ამინისტიის შესახებ ბრძანებულების გამოყენების სისწორე, წვრილმანი დატაცებისა და წვრილმანი სპეკულაციის საქმეებზე, ავტოტრანსპორტზე შრომის დისციპლინის დარღვევის პრაქტიკა და სხვა.

მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდება სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების სასამართლო პრაქტიკის განზოგადებაზე. 1957 წლის მეორე ნახევარში და 1958 წლის პირველ ნახევარში შესწავლილია პრაქტიკა მოქალაქეთა ბინიდან გასახლების, სამუშაოზე აღდგენის, აღწერიდან ქონების ამორიცხვისა და საკოლმეურნეო საქმეების შესახებ.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუშაობა საჩივართა გადაწყვეტაზე. საჩივართა სწორი გადაწყვეტისათვის ზომების მიღებასთან ერთად ტარდება ღონისძიებანი საჩივართა ანალიზისათვის, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და კანონიერების ყველაზე მეტად გავრცელებული დარღვევების გამოვლინების მიზნით.

აჭარის ასსრ პროკურატურა იყენებს ქვემდგომი ორგანოებისადმი ხელმძღვანელობის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს: კომპლექსურ და დარგობრივ შემოწმებებს, პროკურორებისა და გამომძიებლების ანგარიშგებას თავისი მუშაობის შესახებ, მიმოხილვებისა და მითითებების დაგზავნას აღვლებზე; ატარებს ღონისძიებებს პროკურორებისა და გამომძიებლების იურიდიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ატარებს სასწავლო-მეთოდურ სემინარებსა და კონფერენციებს, პროკურორების და გამომძიებლების თათბირებს და სხვა.

რევიზიებისა და დარგობრივი შემოწმების ჩატარებისას რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკები ამხ. ფიფია, კვანტალიანი, კვაჭაძე და მეგრელიძე ამოწმებენ რაიონის ძირითად წარმომება-დაწესებულებებში კანონიერების მდგომარეობას, ეხმარებიან რაიონის პროკურორებს პროტესტების და წარდგინებების შედგენაში, სწავლობენ სავამომძიებლო საქმეებს და ამის საფუძველზე აძლევენ მითითებებს, ადგენენ დასკვნებს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების ზედამხედველობის წესით შემოწმების შესახებ და ა. შ.

ასე მაგალითად, ამხ. ფიფიამ ქობულეთის რაიონში რაიონის პროკურორთან ერთად შეამოწმა დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში სხვადასხვა



კანონების შესრულება. შემოწმებული იქნა აგრეთვე რაიონმასკომის გადაწყვეტილებების კანონიერება. შემოწმების შედეგად რაიონის პროკურორმა ამხ. ფიფიას დახმარებით შეადგინა და წარადგინა 6 პროტესტი და ერთი წარდგინება, რომლებმაც დადებითი როლი ითამაშეს რაიონში კანონიერების განმტკიცების საქმეში. ასეთივე დახმარება გაუწია ამხ. ფიფიამ ხულოსა და ბათუმის რაიონის პროკურორებს.

ერთობლივი შემოწმებების გარდა ამხ. ფიფიამ ხულოს რაიონის პროკურორ ამხ. თამაზაშვილთან ერთად მოაწყო განმცხადებელთა მიღება და იურიდიულ თემებზე კითხვა-პასუხების საღამოები ხულოს და შუახევის რაიონის კოლმეურნეობებში.

საპროკურორო-საგამომძიებლო მუშაობის ხარისხისა და კადრების საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გასულ და მიმდინარე წლებში აჭარის პროკურატურამ ჩატარა 5 სასწავლო-მეთოდური სემინარი: რაიონების პროკურორთა თანაშემწეების სემინარი საერთო ზედამხედველობის საკითხებზე; რაიონების პროკურორთა და მათი თანაშემწეების სემინარი სასამართლოებში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვაზე ზედამხედველობის შესახებ და ორი სემინარი გამომძიებლებისათვის გამოძიების მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებების დანერგვის საკითხებზე.

გამომძიებლებისათვის სასწავლო-მეთოდური სემინარები ტარდებოდა პროკურორის — საქ. სსრ პროკურატურის კრიმინალისტის, თბილისის სამეცნიერო-საკვლევო კრიმინალისტური ლაბორატორიის უფროსი ექსპერტის ამხ. მგელაძისა და საქ. სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტის ამხ. აბაშიძის მონაწილეობით.

სემინარზე შეისწავლებოდა საგამომძიებლო პრაქტიკაში დანაშაულთა გამოძიების მეცნიერული მეთოდების აქტიური დანერგვის, კრიმინალისტის მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებების ფართოდ გამოყენების ისეთი საკითხები, როგორცაა: შემთხვევის ადგილის დათვალიერება, სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფიის გამოყენება, კრიმინალისტური ექსპერტიზის შესაძლებლობანი, კვალზე მუშაობა და სხვა.

გამომძიებელთა საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების სერიოზულ საშუალებას წარმოადგენს რესპუბლიკის პროკურორთან მოწვეულ ოპერატიულ დათბირებზე გამომძიებლების მოხსენებების განხილვა ჩატარებული მუშაობისა და გამოძიების პროცესში სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებების გამოყენების შესახებ.

უკვე მოსმენილია ქ. ბათუმის პროკურატურის გამომძიებლების ამხ. ამხ. კვერნაძის, თათარაშვილის, ბათუმის რაიონის პროკურატურის გამომძიებლების ამხ. ამხ. ბალანჩივაძისა და დალაქიშვილის; ქობულეთის რაიონის პროკურატურის გამომძიებლის ამხ. ბოლქვაძისა და ხულოს რაიონის პროკურატურის გამომძიებელ ამხ. კვიციანიძის მოხსენებები.

აჭარის ასრ პროკურატურაში სერიოზული ყურადღება ეთმობა პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის მუშაკების მუდმივმოქმედ სემინარების მუშაობის სწორი ორგანიზაციის საკითხებს. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება კონტროლი ამ სემინარების მუშაობაზე. გასულ

სასწავლო წელს მუდმივმოქმედი სემინარების მუშაობის საკითხზე ორჯერ იქნა განხილული აჭარის ასსრ პროკურორთან მოწვეულ ოპერატიულ თანაბირზე. სემინარების მუშაობის შემოწმების შედეგებისა და წაკითხულ მოხსენებათა შესწავლის საფუძველზე ადგილებზე დაიგზავნა სამი შემაჯამებელი წერილი მუდმივმოქმედი სემინარების მუშაობის შესახებ.

კარგად მუშაობს მუდმივმოქმედი სემინარი ხულოს რაიონში. აქ მეცადინეობები ტარდება პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის პრაქტიკულ მუშაობასთან მჭიდრო კავშირში, რაც საშუალებას იძლევა აღიკვეთოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და ამაღლდეს საპროკურორო-საგამომძიებლო მუშაობის ხარისხი. რაიონის პროკურატურამ დადებითი მუშაობა ჩაატარა კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის დარგში, კერძოდ სოციალისტური საკუთრების დაცვის, საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებების და მშრომელთა საჩივრების განხილვის შესახებ კანონების შესრულების ხაზით.

სერიოზული ყურადღება ექცევა სამართლებრივ პროპაგანდას. 1957 წელს ხულოს რაიონის პროკურორი ამხ. თამაზაშვილი ხულოს რაიონის მშრომელთა დებუტატების საბჭოს აღმასკომის სესიაზე გამოვიდა მოხსენებით სოციალისტური კანონიერების მდგომარეობის საკითხზე; ხულოსა და შუახევის რაიონების მსხვილ კოლმეურნეობებში ჩატარებულია კითხვა-პასუხების საღამოები, ამხ. თამაზაშვილმა და მისმა თანაშემწემ ამხ. ალაძემ მოთავსეს გაზეთში რამოდენიმე სტატია იურიდიულ თემაზე.

ხულოს რაიონის პროკურატურაში ამაღლდა გამოძიების ხარისხი, შემცირდა საქმეთა გამოძიების ვადები. 1957 წელს და 1958 წლის პირველ ნახევარში საქმეები დამატებით გამოძიებისათვის არ დაბრუნებულა. აღნიშნულია დანაშაულთა და, კერძოდ, სოციალისტური საკუთრების დატაცების შემცირება.

აჭარის ასსრ პროკურატურაში პროკურატურისა და საგამომძიებლო მუშაუბის აღზრდის საქმეში სერიოზული როლი ითამაშა კარგად ორგანიზებული ატესტაციამ. ატესტაციის პროცესში ღრმად განიხილებოდა როგორც მუშაობის დადებითი მხარეები, ასევე ნაკლოვანებებიც.

აჭარის ასსრ პროკურატურის მიერ ჩატარებულმა მუშაობამ პროკურორებისა და საგამომძიებლების საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, დაკისრებული საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობისა, ორგანიზებულობის სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის თავისი ნაყოფი გამოიღო. აჭარის ასსრ პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა პროკურატურის მუშაუბის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის სახელოვნად შესრულების მრავალ მაგალითს იძლევა.

დანაშაულობისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული წარმატებებისათვის მიმდინარე წელს საქართველოს სსრ პროკურორის ბრძანებებით მაღლობა გამოეცხადათ და პრემიები მიენიჭათ აჭარის ასსრ პროკურორს ამხ. ტაკიძეს და მის თანაშემწესაერთო ზედამხედველობის დარგში ამხ. ფიფიას, ბათუმის პროკურატურის საგამომძიებელს ამხ. ცინცაბაძეს, მაღლობა გამოეცხადა ქობულეთის რაიონის პროკურორს ამხ. თამაზაშვილს.

აჭარის ასსრ პროკურატურაში ჩატარებული შემოწმების შედეგები გან-

ხილული იქნა აჭარის ასსრ პროკურორთან მოწვეულ ოპერატიულ თათბირზე, რომელშიც მონაწილეობდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის აღმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე.

თათბირზე, მუშაობის დადებით მხარეებთან ერთად აღინიშნა ცალკეული ნაკლოვანებებიც, რომლებიც ამცირებენ დანაშაულთან და კანონიერების დარღვევებთან ბრძოლის ეფექტურობას.

დღემდე არ ექცევა სათანადო ყურადღება დანაშაულის თავიდან აცილების საკითხს, ჯერჯერობით არ არის აღმოფხვრილი სისხლის სამართლის საქმეთა არასწორი აღძვრისა და ზოგიერთ შემთხვევაში მათი არასწორად მოსპობის ფაქტები. კომპლექსური რევიზიების ჩატარებისას სათანადო ყურადღება არ ექცევა მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს, კერძოდ სარაიონთაშორისო პროკურატურებში. აქტებში არ ისახება, ან არასრულად ისახება კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩატარებული მუშაობა.

ზემოაღნიშნული და ზოგიერთი სხვა ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომელთაც ადგილი აქვთ აჭარის ასსრ პროკურატურის მუშაობაში, აგრეთვე აპროკურორო-სავაგომოძიებლო მუშაობის უფრო მაღალ დონეზე აყვანის მიზნით, ოპერატიულ თათბირზე დაისახა სათანადო ღონისძიებანი.

წვრილმანი ხულიგნობის საქმეების განხილვა

საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლა შეადგენს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი ჩვენი ხალხის მუდმივი ზრუნვის საგანს. სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 7 იანვრის ბრძანებულებამ „წვრილმანი ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობს შესახებ“ გარკვეული როლი ითამაშა ს.ზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში.

წვრილმანი ხულიგნობის საქმეების სწორად და დროულად განხილვა, კანონის ცხოვრებაში ზუსტად გატარება, სახალხო მოსამართლეების პირდაპირი მოვალეობაა. უკანასკნელ ხანებში გამოვლინდა, რომ როგორც საქართველოს, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოსამართლეების მიერ ამ კატეგორიის საქმეების განხილვაში არ არსებობს ერთიანი პრაქტიკა და ხშირად ადგილი აქვს კანონის დარღვევას.

წვრილმანი ხულიგნობის საქმეები საჯაროდ უნდა იქნას განხილული. ამაშია ამ კანონის უდიდესი საზოგადოებრივი, გამაფრთხილებელი და აღმზრდელი მნიშვნელობა. ამიტომ მოსამართლის დადგენილებაც უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ.

საქმის საჯაროდ წარმოება და დადგენილების საჯაროდ გამოცხადება სავალდებულოა აგრეთვე იმის გამოც, რომ კანონი გამოცემულია რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს მიერ და მოსამართლეც დადგენილებას წერს საქართველოს სს რესპუბლიკის სახელით. მაგრამ საქმის საჯაროდ განხილვა და დადგენილების საჯაროდ გამოცხადება არ გულისხმობს სასამართლოს სამსჯავრო სხდომას, არამედ ეს არის სახალხო მოსამართლის ერთპიროვნული მოქმედება საზოგადოების წინაშე წვრილმანი ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ცალკეულ შემთხვევაში მიზანშეწონილი და სასურველია საქმის განხილვა იმ წარმოება-დაწესებულებაში, სადაც დამნაშავე პირი მუშაობს.

მოსამართლის დადგენილება საბოლოოა, გასაჩივრებას არ ექვემდებარება და დაუყოვნებლივ მოიყვანება სისრულეში.

მომხდარი ფაქტის თავისებურების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში მოსამართლე ვალდებულია საქმის განხილვის დროს გამოიძახოს მოწმეები. მოწმის გამოძახების აუცილებელ საჭიროებად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევა, როდესაც დაკავებული პირი მილიციის ორგანოებში ახსნა-განმარტების დროს დანაშაულს უარყოფს.

ამ საკითხთან დაკავშირებით არასწორად მიგვაჩნია იმ ამხანაგების მოსაზრება, რომელნიც საერთოდ უარყოფენ მოწმეების დაკითხვას. მათი აზრით საქმის ერთპიროვნული განხილვა გამორიცხავს მოწმეების დაკითხვის აუცილებლობას.

საკითხის ამგვარად დაყენება ეწინააღმდეგება საბჭოთა სახელმწიფოში არსებულ მოქალაქეთა უფლებებს. ყოველ საბჭოთა მოქალაქეს აქვს უფლება ამტკიცოს თავის უდანაშაულობა, მიუხედავად იმისა, თუ რა სახის

ბრალდებას უყენებენ მას და რა ფორმებში ხდება საქმის გარჩევა. ერთპიროვნულად საქმის გარჩევა გულისხმობს არა იმას, რომ მოწმეები არ უნდა იქნან დაკითხულნი, არამედ იმას, რომ საქმის გარჩევაში არ მონაწილეობენ მხარეები, მდივანი და არ ფორმდება ოქმი.

მოწმეების დაკითხვა დავას არც უნდა იწვევდეს, ვინაიდან თვით ბრძანებულების მე-2 მუხლში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ წვრილმანი ხულიგნობის საქმეებს მოსამართლე განიხილავს ერთპიროვნულად „იმ პირის გამოწვევით, რომელმაც ჩაიდინა ხულიგნური საქციელი, და საჭირო შემთხვევებში აგრეთვე მოწმეების გამოწვევით“.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაკავებულმა პირმა არ იცის ის ენა, რომელზეც მიმდინარეობს საქმის წარმოება, მოწვეული უნდა იქნას თარჯიმანი, რაც თვითეული მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას წარმოადგენს. მოსამართლემ თარჯიმანს და მოწმეს უნდა განუმარტოს, რომ ისინი ვალდებულნი არიან იყვნენ ობიექტურნი და კეთილსინდისიერად მოიხადონ თავიანთი მოვალეობა. ჩვენი აზრით, მოწმის ან თარჯიმანის გაფრთხილება საქართველოს სს რესპუბლიკის სსკ 95 მუხლით ყოვლად დაუშვებელია, რასაც ზოგჯერ ადგილი აქვს სასამართლო პრაქტიკაში.

1957 წლის 7 იანვრის ბრძანებულება სასჯელის ზომად ითვალისწინებს პატიმრობას 3-დან 15 დღემდე. დადგენილების გამოტანის დროს მოსამართლემ აუცილებლად უნდა იმსჯელოს აღმკვეთი ღონისძიების შესახებ, რადგან პიროვნება, რომელიც დაკავებული იქნა წვრილმანი ხულიგნობისათვის მილიციის ორგანოების მიერ, ჯერ კიდევ არ წარმოადგენს პატიმარს. აღმკვეთი ღონისძიების საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით საყურადღებოა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ დაუშვა არასწორი მითითება. ამ მითითების თანახმად მოსამართლემ დადგენილების გამოტანის დროს არ უნდა იმსჯელოს აღმკვეთი ღონისძიების შესახებ, ვინაიდან მილიციის ორგანოს მიერ დაკავებული პიროვნება თითქოს უკვე დაპატიმრებულად ითვლება. აღმკვეთი ღონისძიების ამგვარი გაგება ეწინააღმდეგება საბჭოთა კანონმდებლობას. რომლის თანახმადაც არავინ არ შეიძლება დაპატიმრებული იქნას პროკურორის სანქციის, სასამართლოს დადგენილების ან განაჩენის გარეშე.

ჩვენი აზრით, მოსამართლემ უნდა იმსჯელოს აღმკვეთ ღონისძიებაზე და დაკავებულ პირს აღმკვეთ ზომად შეუფარდოს პატიმრობა დადგენილების გამოტანის საათიდან.

ასე მაგალითად: დაუშვათ, რომ პიროვნება მილიციის ორგანოების მიერ დაკავებული იქნა 10 ოქტომბერს საღამოს 10 საათზე, ხოლო სასამართლოს წარუდგინეს 11 ოქტომბერს დილის 10 საათზე და ამავე დროს სასამართლომ გამოიტანა დადგენილება და აღმკვეთ ზომად მიუსაჯა პატიმრობა 10 დღე-ღამის ვადით. სასამართლოს დადგენილებით პატიმარი უნდა განთავისუფლდეს არა 20 ოქტომბერს საღამოს 10 საათზე, არამედ 21 ოქტომბერს დილის 10 საათზე.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში პრაქტიკული მუშაკების მიერ გამოითქვა გარკვეული აზრი იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს წვრილმანი ხულიგნობის სუბიექტად. უმრავლესობის აზრით წვრილმანი

ხულიგნობის სუბიექტად ჩაითვლება ყველა შერაცხადი პირი, რომელმაც მიადწია 16 წლის ასაკს¹.

ვინც იცავს ამ მოსაზრებას, მხედველობაში აქვს, რომ წვრილმანი ხულიგნობისათვის დაპატიმრებულნი სავალდებულო წესით გამოყენებული უნდა იქნან ფიზიკურ სამუშაოზე, ხოლო ვინაიდან არასრულწლოვანები 16 წლამდე არ შეიძლება გამოვიყენოთ ფიზიკურ სამუშაოზე, ამიტომ წვრილმანი ხულიგნობისათვის მათი პასუხისგებაში მიცემა არ შეიძლებაო. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ამხანაგები შეცდომას უშვებენ. ბრძანებულების მე-3 მუხლი გულისხმობს დაპატიმრებულის წინასწარ საპატიმრო კამერაში მოთავსებას ან საპატიმროში ფიზიკურ სამუშაოებზე გამოყენებას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ კანონმდებელმა გაითვალისწინა სასჯელის ორი სახე, პირველი — დაპატიმრებულის წინასწარ საპატიმრო კამერაში მოთავსება, ხოლო მეორე — საპატიმროში ფიზიკურ სამუშაოზე გამოყენება. ჩვენი აზრით, მოსამართლემ სასჯელის პირველი სახე უნდა შეუფარდოს იმ პირებს, რომელთაც ჩაიდინეს წვრილმანი ხულიგნური მოქმედება, მაგრამ შრომისუნარმოკლებულნი არიან (I და II ჯგუფის ინვალიდები, არასრულწლოვანები 14 წლის ასაკიდან და და სხვ.), ხოლო სასჯელის მეორე სახე შეეფარდება შრომისუნარის მქონე პირებს. აქედან გამომდინარე, წვრილმანი ხულიგნობის სუბიექტად ჩაითვლება ყველა შერაცხადი პირი, რომელმაც მიადწია 14 წლის ასაკს.

ბრძანებულების მე-2 მუხლის თანახმად მოსამართლის დადგენილება სრულდება დაუყოვნებლივ და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. სასამართლო პრაქტიკაში იბადება კითხვა, როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლემ დაუშვა შეცდომა და დასაჯა შეურაცხადი პირი, ანდა უდანაშაულო პიროვნება. დადგენილება ხომ გასაჩივრებას არ ექვემდებარება; მაშ ვის შეუძლია ამ დადგენილების შეცვლა? ჩვენი აზრით, შეცდომის გამოსწორების მიზნით მოსამართლეს უნდა ქონდეს უფლება შესცვალოს ძველი დადგენილება ახალი დადგენილებით, ვინაიდან ეს საკითხი კანონმდებლობის მიერ მოთხოვნილი მინდობილი აქვს სახალხო მოსამართლეს. ჩვენ არ ვეთანხმებით ე. ვაისმანს, რომელსაც მიზანშეწონილად მიაჩნია დადგენილება ვაპროტესტებული იქნას პროკურორის მიერ².

წვრილმანი ხულიგნობის საქმეების განხილვისას წამოიჭრება, ხოლომე საკითხი ზარალის ანაზღაურების შესახებ. ე. ვაისმანის აზრით, უკეთეს ზარალი არ აღემატება 100 მანეთს, მოსამართლეს შეუძლია მასზე მსჯელობა ერთპიროვნულად, ხოლო თუ ზარალი აღემატება 100 მანეთს, მაშინ უკრაინის სს რესპუბლიკის სსკ 288³ მუხლის საფუძველზე ზარალი ანაზღაურებული უნდა იქნას საერთო სასარჩელო წესით³.

ჩვენი აზრით, ყოველგვარი ზარალი, მიუხედავად იმისა, თუ რა რაოდენობის იქნება იგი, მოსამართლემ უნდა დააკმაყოფილოს ერთპიროვნულად და ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებზე მითითება ყოველად დაუშვებელია.

სასამართლო პრაქტიკაში ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც მოსამართლე დამნაშავეს პატიმრობას უცვლის ჯარიმით, პირობითი სასჯელით,

¹ „Советская Юстиция“, 1957 г., № 1, стр. 58, № 6, стр. 58.

² Журнал „Социалистическая законность“, 1957 г., № 8, стр. 57.

³ იქვე.



გაკიცხვის გამოტანით ან გაფრთხილებით. ამგვარი პრაქტიკა ეწინააღმდეგება კანონს, რადგანაც კანონი ითვალისწინებს მხოლოდ პატიმრობას წინასწარ საპატიმრო კამერაში მოთავსებით ან საპატიმროში სამუშაოზე გამოყენებით.

წვრილმანი ხულიგნობის საქმეების განხილვისას ადგილი აქვს ისეთი ხასიათის შეცდომებსაც, როდესაც პიროვნებას სჯიან წვრილმანი ხულიგნობისათვის, სინამდვილეში კი მას ჩადენილი აქვს დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსკ 174 მუხლის დისპოზიციით. ასეთ შემთხვევებში სასამართლო ვალდებულია მოსპოს საქმე წარმოებით და განუმარტოს დაზარალებულს აღძრას კერძო ბრალდების საქმე.

რამოდენიმეჯერ ჩადენილი წვრილმანი ხულიგნობის კვალიფიკაციის საკითხთან დაკავშირებით საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ განმეორებით ჩადენილი წვრილმანი ხულიგნური ქმედობა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 75 მუხლის 1-ლი ნაწილით (რსფსრ სსკ 74 მ. I ნაწილით). ამ მოსაზრებას იცავს ვ. პილუგინი.¹ წვრილმანი ხულიგნობის კვალიფიკაციის ამგვარი გაგება აშკარად ეწინააღმდეგება კანონს. კანონი განმეორებით ჩადენილ წვრილმან ხულიგნობას არ თვლის დამამძიმებელ გარემოებად. კანონში არ არის ნათქვამი, რომ განმეორებით ჩადენილი წვრილმანი ხულიგნური ქმედობა დაკვალიფიცირებული იქნას რსფსრ სსკ 74 მუხლის I-ლი ნაწილით. (საქართველოს სსრ სსკ 75 მუხლის I-ლი ნაწილით), ამდენად მოსამართლეს უფლება არა აქვს ვაცდეს კანონის ფარგლებს.

წვრილმანი ხულიგნობის კვალიფიკაციის გადაწყვეტისათვის კანონმდებელმა ყურადღება მიაქცია არა წვრილმანი ხულიგნური ქმედობის ჩადენის რაოდენობას, არამედ დანაშაულებრივი ქმედობის თვისებას, მის საზოგადოებრივ საშიშ ხასიათს, ბრალის ხარისხს. ბრძანებულება წვრილმანი ხულიგნობის შესახებ გულისხმობს ისეთ ქმედობას, რომელიც ყველა შემთხვევაში გამოიწვევს რსფსრ-ის სსკ 74 მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს. პიროვნება უნდა დაისჯოს იმ დანაშაულისათვის, რაც მან ფაქტიურად ჩაიდინა.

ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ მოქალაქე ნ. სიმონოვი 1958 წლის განმავლობაში ოთხჯერ იქნა გასამართლებული წვრილმანი ხულიგნობისათვის. ოთხჯერვე მისი ქმედობა დაკვალიფიცირდა 1957 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით, ვინაიდან მისი ქმედობა არ შეიცავდა საქართველოს სსრ სსკ 75 მუხლის I-ლი ნაწილის დისპოზიციით გათვალისწინებულ ნიშნებს.

წვრილმანი ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლა არამარტო სასამართლო ორგანოების მოვალეობაა, არამედ საერთო-სახალხო საქმეა. გადაჭრით უნდა გაძლიერდეს აღმზრდელობითი მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში, საწარმო-დაწესებულებებში, შეეკმნათ ამ კატეგორიის დამნაშავე პირთა მიმართ საზოგადოებრივი გაკიცხვისა და დაგმობის ატმოსფერო, რაც უსათუოდ ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას.

ი. იოსავა,

ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.

¹ Журнал „Советская Юстиция“, 1957 г., № 6, стр. 56.

იურიდიული კალკულის სამკვლევო

წ. მანანდისძე

თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი... საკმარისია წარმოსთქვა ეს სიტყვა და თვალწინ წარმოვიდგება დიდი ილიას პროსპექტი, თეთრი და ნათელი შენობის ნაცნობი კონტურები. ორმოცი წელია მის ჰერკვეშ იზრდება და იწრთობა ჩვენი ქვეყნის იმედი და მომავალი — ჩვენი ახალგაზრდობა. ვინ იცის მეცნიერების ამ წმინდათა წმინდა ტაძარში რამდენ ათას ქალიშვილს და ჰაბუკს წიგნზე თეთრად გაუთენებია, რომ ცოდნა მიეღო.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის თანატოლია თითქმის თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იგი ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერული მაჯინცემის ცენტრია. საბჭოთა ხელისუფლების წლებში უნივერსიტეტი გადაიქცა ქართული კულტურის მძლავრ კერად. უნივერსიტეტმა ხელი შეუწყო საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების უმაღალითო განვითარებას. საგულისხმოა, რომ რესპუბლიკის მრავალი უმაღლესი სასწავლებელი უნივერსიტეტის ბაზაზე აღმოცენდა.

უნივერსიტეტმა თავისი არსებობის 40 წლის მანძილზე 22 ათასზე მეტი სპეციალისტი გამოუშვა, მათ შორის იურისტები, ფიზიკოსები, ისტორიკოსები, ბიოლოგები, ეკონომისტები და სხვა, რომლებიც ამჟამად ნაყოფიერად მუშაობენ ჩვენი ვრცელი სამშობლოს ყველა კუთხეში. მიეჩვენება ხუთწლედის დიად მშენებლობებზე. ინტერესს იწვევს ის საგულისხმო ფაქტი, რომ ჩვე-

ნი რესპუბლიკის 180 მცხოვრებზე მოდის ერთი კაცი, რომელსაც უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული.

უნივერსიტეტში ამჟამად დაუსწრებელი განყოფილების ჩათვლით 5500-ზე მეტი 22 ეროვნების წარმომადგენელი სწავლობს. ქართველების გარდა აქ სწავლობენ რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ესტონელები, ოსები, პოლონელები, ბერძნები, კორეელები, ჩეხები და სხვ.

სტუდენტთა განკარგულებაშია 138 კარგად მოწყობილი კაბინეტი და ლაბორატორია, 5 მუზეუმი, პლანეტარიუმი, კინო-კაბინეტი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდებში 1.360.000 წიგნია.

უნივერსიტეტში არსებული 11 ფაკულტეტიდან იურიდიული ფაკულტეტი ერთერთი წამყვანი ფაკულტეტია. იგი 40 წლის მანძილზე მრავალმა ასეულმა კაცმა დაამთავრა, რომლებიც ამჟამად წარმატებით უძღვებიან ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო აპარატში სხვადასხვა საპასუხისმგებლო უბანს.

უნივერსიტეტისადმი მხურვალე სიყვარული, მისი ტრადიციები, მის მიერ გაწეული მშობლიური ამავის გრძნობა ღრმად არის დანერგილი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა შორის და სწორედ ამიტომაც, რომ უნივერსიტეტის კედლებში აღზრდილი: საქართველოს კომუნისტური პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. ტაკიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდენტის იურიდიული განყოფილების უფროსი ვ. მაისურაძე, საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე გრ. ბიწაძე, საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები თ. ცაგურია და ს. ქაჯაია. ქ. თბილისის პროკურორი მ. ვეფხვაძე, ქ. ქუთაისის პროკურორი ა. ყლენტი, წყალტუბოს სახალხო მოსამართლე თ. ესაძე, ლენტეხის პროკურორი ვ. მეშველიანი, საქ. სსრ რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორი ვ. ცირამუა, ქ. თბილისის პროკურორის თანაშემწე ო. კოლუაშვილი, თბილისის კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლე ვ. ყვანია, აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე შ. ბარკალაია, საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტი ო. ჯიბლაძე, საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები: ლ. კობრეიძე, გ. დევედარიანი, დ. ბალათურია, თ. წერუაშვილი, ა. ფალავანდიშვილი, ი. გვათუა, შ. გოგუაძე, თბილისის კალინინის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი ე. გოგიძე, ა. ლულუნიშვილი, ადვოკატი გ. უგრეხელიძე და მრავალი სხვა მტკიცედ დგანან საბჭოთა კონიერების სადარაჯოზე და უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას ნაყოფიერად იყენებენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი განმტკიცებისათვის.

უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანატში ფაკულტეტის დეკანს დოცენტ გ. ინწკირველს ვესაუბრებოდით.

კარგი ახალგაზრდა ვაჟმა შემოადო:

— პატივცემულო დეკანო, ამ დღეებში სტუდენტთა კონფერენციის ჩატარება გვაქვს განზრახული და ეს საკითხი უნდა შეგითანხმობთ, — მიმართა დეკანს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა, სტუდენტთა სისხლის სამართლის სა-

მეცნიერო წრის მამასახლისმა რობერტ დიდიძემ. როდესაც დეკანმა სტუდენტთან საუბარი მოათავა, ჩვენ ვთხოვეთ მას მოეთხრო ჩვენთვის იურიდიული ფაკულტეტის შესახებ.


სისხლსავე, შინაარსიანი ცხოვრება მიმდინარეობს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. განსაკუთრებით ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობაა გაშლილი ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებაში. მასში შედის სამი წრე: სისხლის სამართლის, სამოქალაქო, სახელმწიფო და სამართლის თეორიისა და ისტორიის წრეები.

სამეცნიერო მუშაობაში სტუდენტებს დიდ დახმარებას უწევენ პროფესორები თ. წერეთელი, ივ. სურგულაძე, ი. დოლიძე, დოცენტები ბ. ფორცხანიძე, ს. ჯორბენაძე, ბ. ხარაზიშვილი, ნ. ლომსაძე, ე. ნეიძე, ლ. ალექსიძე, და სხვები.

სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებაში გაერთიანებული არიან ფაკულტეტის მოწინავე და აქტიური სტუდენტები. რომლებიც საზოგადოებრივ მუშაობას კარგად უხამებენ მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის დამოუკიდებელ ჩვევებს.

იშვიათი როდია შემთხვევა, როდესაც ფაკულტეტის სამეცნიერო საზოგადოებაში მოწონებული მოხსენებები იკითხება უნივერსიტეტის სტუდენტთა კონფერენციებზე, ანდა სტუდენტთა საქალაქო დათვალიერებაზე.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხულ მოხსენებებიდან თემის ორიგინალობით, მეცნიერული კვლევა-ძიებით, საკითხის ღრმა შესწავლით გამოირჩეოდა გ. ლილუაშვილის მოხსენება „საკუთრების ფორმები ევროპის სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში“, ზ. ახვლედიანის „აუცილებელი მოგერიება საბჭოთა სამართლის მიხედვით“, ი. ნაკაიძის „კაპი-



ტალური მშენებლობის დარგში პროექტების შედგენის სამართლებრივი ფორმები“, ა. შუშანიშვილის „ილია ჭავჭავაძის სისხლის სამართლებრივი შეხედულებანი“, ი. ფუტყარაძის „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ავტოტრანსპორტზე მოძრაობის წესების დარღვევისათვის“ და სხვ.

განსაკუთრებით დიდი მოწონება ხვდა ნ. ქავთარაძის მოხსენებას „ანალოგიის საკითხი საბჭოთა სისხლის სამართალში“, რომელიც მან წაიკითხა ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე. ასევე წარმატებით წაიკითხა სტუდენტმა მ. ჭოფოძემ კიევის უნივერსიტეტში გამართულ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე თავისი მოხსენება „ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობა საბჭოთა სისხლის სამართალში“.

ჩვენი რესპუბლიკის მომავალ იურისტებს ახლო, მეგობრული ურთიერთობა აქვთ მოსკოვის ლომონოსოვის სახელობისა და ლენინგრადის უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებთან.

თბილისელი სტუდენტები ამას წინადაც ექსკურსიაზე იყვნენ მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ერევანში, სადაც გაეცნენ ამ ქალაქების თანაკურსელ სტუდენტთა ცხოვრებასა და საქმიანობას.

ურთიერთობის ამ ფორმას — პირად შეხვედრებს და გაწეული შრომის შედეგების ურთიერთგაზიარებას გარდა წმინდა შემეცნებითი მნიშვნელობისა აქვს მეორე მნიშვნელობაც, იგი მტკიცე და სამარადისო მეგობრობის ჭეშმარიტი საწინდარია.

იურიდიულ ფაკულტეტზე ბევრი სწავლის ფრიადოსანია. მათი უმრავლესობა აქ წარმოებიდან და საკოლმეურნეო მინდვრებიდან მოვიდა. ამიტომაც ასე მძლავრია მათში შრომისა და

გარჯის ჩვევები. ასეთები არიან აფხაზი ქალიშვილი, IV კურსის სტუდენტი, სტალინური სტიპენდიანტი ლიდა ხვარცკია, ი. ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდიანტები ი. ფუტყარაძე და ნ. ქავთარაძე, სტუდენტები რ. დვლიშვილი, ლ. ხარაზიშვილი, ზ. გაბუნია და სხვები.

უნივერსიტეტის სხვა სტუდენტებთან ერთად, წელს ყამირ მიწებზე მოსავლის აღებისას თავი ისახელეს მომავალმა იურისტებმა გ. აბდულაშვილმა, ვ. კიკვაძემ, ს. კვასტიანმა და სხვებმა. მარტო III კურსის სტუდენტმა გ. ჯავახიშვილმა გამოიმუშავა 1150 შრომადღე.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს სწავლის შემდეგ დასვენებაც უყვართ. ფაკულტეტის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით ხშირად ეწყობა მასობრივი ღონისძიებანი, ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები მოწინავე ადამიანებთან, თვითშემოქმედებითი საღამოები, სპორტული შეჯიბრებანი. თუმცა სპორტზე ცალკე უნდა ითქვას...

არათუ მარტო თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, არამედ მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა იცნობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტს, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს ჭიდაობაში გივი კარტოზიას, ასევე საყოველთაოდ ცნობილია საბჭოთა კავშირის ჩემპიონობის პრიზიორი ჭიდაობაში მესამე კურსის სტუდენტი ოთარ კანდელაკი, პირველთაწარგოსანი ავთანდილ სიხარულიძე;

მთელ რესპუბლიკაში არიან ცნობილი საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატები ტანვარჯიშში, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები ოთარ ქორქია, რუსლან პერტენავა, ნოდარ მაკალათია და სხვები.

უნივერსიტეტში სტუდენტი ყალიბდება, როგორც ჩვენი ეპოქის სრულ-

ფასოვანი მოქალაქე, როგორც კომუნისტური საზოგადოების ღირსეული და აქტიური მშენებელი. 38 თაობამ გაიარა უნივერსიტეტის თლილი შენობის კერქვეშ და კიდევ ბევრი ეზიარება მეცნიერების ამ ღიდ და წმიდა-თაწმიდა ტაძარს.



მონობრაუია მიზეზობრიობის შესახებ საბჭოთა სისხლის სამართალში¹

მიზეზობრიობის პრობლემა სისხლის სამართლის მეცნიერებაში ერთ-ერთ ურთულეს პრობლემადაა აღიარებული. მიზეზობრივი კავშირისა და ბრალის დადგენის გარეშე შეუძლებელია ადამიანის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. მიზეზობრიობის ცნების სწორი მეცნიერული განსაზღვრა გარკვეულ შემოქმედებას ახდენს მთელი რიგი სამართლებრივი ცნებების — თანამონაწილეობის, მცდელობის, საზოგადოებრივი საშიშროების, ბრალის გაგებასა და შეფასებაზე.

ამით უნდა აიხსნას ის დიდი ინტერესი, რომელიც საბჭოთა კრიმინალისტთა შორის გამოიწვია პროფ. თ. ვ. წერეთლის შრომამ „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“. ამ ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ აღნიშნულ საკითხზე არ არსებობს სხვა მონოგრაფია, რომელიც მარქსისტული დიალექტიკის პრინციპებისა და კატეგორიების მომარჯვებით იძლეოდეს მის სისტემატურსა და მეცნიერულ გამოკვლევას.

შრომაში განხილულია: ადამიანის ქცევისა და შედეგის ცნებები საბჭოთა სისხლის სამართალში, მოძღვრება მიზეზობრივი კავშირის შესახებ ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში, მიზეზობრივი კავშირის ძირითადი ნიშნები დიალექტიკური მა-

ტერიალიზმის თვალსაზრისით, მიზეზობრივი კავშირის საკითხი საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში, მიზეზობრივი კავშირი საბჭოთა სისხლის სამართალში, მიზეზობრივი კავშირი უმოქმედობის დროს, მიზეზობრივი კავშირისა და ბრალის თანაფარდობა დანაშაულის ზოგად ცნებაში, მიზეზობრივი კავშირი და დაუმთავრებელი დანაშაული; მიზეზობრივი კავშირი და დანაშაულში თანამონაწილეობა.

ავტორის შეხედულებით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შეიძლება დაკავშირებულ იქნას ადამიანის მხოლოდ ნებისმიერ ქცევასთან და არა რეფლექტორულ და ინსტიქტიურ მოძრაობასთან, რომელიც ხორციელდება ავტომატურად, ადამიანის შეგნებული კონტროლის გარეშე. ასევე გამოირიცხულია ნებისმიერი ქცევა გადაულახავი ძალის არსებობის დროსაც, როდესაც ადამიანი წარმოადგენს მხოლოდ იარაღს გარეგანი ძალების ხელში (მაგ. ვინმე ამოძრავებინებს ხელს სხვა პირს და აიძულებს მას ხელი მოაწეროს ყალბ დოკუმენტზე). რაც შეეხება ფსიქიურ იძულებას (მაგ. მოლარე სიცოცხლის მოსპობის ამკარა და უშუალო დამუქრების გამო იძულებულია მისცეს თავდამსხმელს სალაროში შენახული თული), ასეთ შემთხვევაში ადამიანი შეიძლება განთავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან უკიდურესი აუცილებლობის წესების მიხედვით (თუ საჩვენა ამ უკანასკნელისათვის დამახა-

¹ Т. Церетели. Причинная связь в уголовном праве, из-во Тбилисского гос. университета им. Сталина, 1957 г.,

სიათბელი დანარჩენი გარემოებანი) და არა იმის გამო, რომ აქ არა გვაქვს ნებისმიერი ქცევა.

ნებელობის მომენტი მოცემულია არა მარტო მოქმედების დროს, არამედ უმოქმედობის დროსაც. განსაზღვრული მოქმედების ჩადენისაგან თავის შეკავება, ამბობს ავტორი, მოქმედებისადმი სტიმულის ჩაზომა, ისეთივე ხარისხით შეიძლება იყოს ნებელობითი იმპულსის გამოხატულება, როგორც დადებითი მოქმედება (იხ. გვ. 13).

დანაშაულის შედეგის საკითხზე საბჭოთა კრიმინალისტებს შორის არ არსებობს აზრთა ერთიანობა. ავტორი აღნიშნულ საკითხზე ანვითარებს მეტად ორიგინალურ და ამასთან მართებულ შეხედულებას. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ უშედეგო დანაშაული, რადგანაც ყოველი დანაშაული რაიმე ობიექტზე ხელყოფას გულისხმობს. ასეთ ობიექტად ყველა დანაშაულისათვის საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით მიჩნეული უნდა იქნას სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობანი. „სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის ვნების მიყენება წარმოადგენს შედეგს ფართო მნიშვნელობით“ (გვ. 22). ვიწრო მნიშვნელობით შედეგად მიჩნეული უნდა იქნას პირის ქმედობით გარემოებაში გამოწვეული განსაზღვრული ცვლილება, რაც ცალკეა გათვალისწინებული დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობაში. შედეგი ფართო მნიშვნელობით ყველა დანაშაულებრივი ქმედობისათვის არის დამახასიათებელი, ვიწრო მნიშვნელობით კი მხოლოდ „მატერიალური დანაშაულის“ შემადგენლობით არის გარემოცული. „ფორმალური“ დანაშაული ხასიათდება იმით, რომ კანონი დასჯადად თვლის თვით ქმედობას, ვინაიდან თავისთავად ამ ქმედობას იგი განიხი-

ლავს როგორც სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დარღვევას. ამ ნიშნის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება „მატერიალური“ და „ფორმალური“ დანაშაული. თუ შედეგი ფართო მნიშვნელობით დამახასიათებელია ყველა დანაშაულისათვის, აქედან გამომდინარეობს, რომ „მიზეზობრივი კავშირი წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აუცილებელ წინამძღვარს ყველა დანაშაულებრივი ქმედობის დროს“ (გვ. 28).

სარეცენზიო შრომაში ავტორი საფუძვლიანად აკრიტიკებს მიზეზობრიობის საკითხზე ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებულ ინგლისურ-ამერიკულ თეორიებს ექვივალენტური (პირობათა თანასწორფასოვნების), ადექვატური (პირობათა არათანასწორფასოვნებისა) და „უახლოესი მიზეზის“ შესახებ.

პროფ. თ. წერეთელი აყალიბებს მიზეზობრივი კავშირის ცნების ძირითად ნიშნებს დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით და აღნიშნავს, რომ მიზეზობრივი კავშირის არსი მდგომარეობს ორ თანმიმდევრულ მოვლენის ისეთ კავშირში, რომლის დროსაც პირველი მოვლენა აუცილებლობით განაპირობებს მეორე მოვლენის წარმოშობას.

რაიმე მოვლენის წარმოშობის აუცილებელ პირობად მიჩნეული უნდა იქნას ის პირობა, რომლის გარეშეც შედეგი არ განხორციელდებოდა. შედეგის წარმოშობაში მრავალი ფაქტორი მონაწილეობს, მაგრამ დიალექტიკური მატერიალიზმი, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს მიზეზის აქტიურ ხასიათს შედეგისადმი, აღიარებს, რომ მოვლენის წარმოშობაში მონაწილე ფაქტორები არათანასწორფასოვანია. თვითეული ფაქტორის როლი განისაზღვრება აქტიურობის იმ ხარისხით, რო-

მელიც მან შედეგის წარმოშობაში ითამაშა. აქედან დასკვნა: შეუძლებელია ერთი ფაქტორის როლი აბსოლუტურად მეორის თანაბარი იყოს, მისი როლი ყოველთვის ინდივიდუალურია. ავტორის შეხედულებით „ადამიანის ქცევა მაშინ იმყოფება მიზეზობრივ კავშირში საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან, როდესაც იგი მისი წარმოშობის ერთერთი აუცილებელი პირობა იყო“. (გვ. 165).

ამის დადგენა შეიძლება მოვლენათა საერთო მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვიდან პირის ქმედობის აზრობრივი გამოთიშვის მეთოდის გამოყენებით. „თუ ასეთი გამოთიშვის დროს აღმოჩნდება, რომ შედეგი ან საერთოდ არ დადგებოდა ან სხვაგვარად, ვიდრე იგი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდა, ეს წარმოადგენს იმის დამამტკიცებელს, რომ პირის ქცევა მიზეზობრივ კავშირში იმყოფება შედეგთან“ (გვ. 165).

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ამოიწურება მხოლოდ ქმედობასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენით. გარდა ამისა, დადგენილი უნდა იქნას ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და პირის ბრალი. ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას განსაზღვრავს საზოგადოებრივად საშიში შედეგის ხელისშეწყობის ხარისხი, აგრეთვე ხელყოფის ობიექტის საზოგადოებრივი მნიშვნელობა და მოქმედების მიზანი. ყველა ეს გარემოება მიიღება მხედველობაში არა იზოლირებულად, არამედ ნათ ერთობლიობაში. თუ მაღალია ხელყოფის ობიექტის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მაშინ შედეგის ხელისშეწყობის მცირე ხარისხმა შეიძლება დაასაბუთოს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და პირიქით. შესაძლოა ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს თვით ობიექტს და აგრეთვე

მეტად ანტისოციალურია ხასიათის იყოს პირის მიზანი, მაგრამ თუ შედეგის ხელისშეწყობის ხარისხი იმდენად უმნიშვნელოა, რომ პირს მოქმედების ჩადენისას არა აქვს რეალური შესაძლებლობა, რათა ზემოქმედება იქონიოს მავნე შედეგის ვაშლმწვევ ქალებზე, მაშინ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება გამოირიცხება.

შრომაში გაკრიტიკებულია პროფ. ა. ა. პიონტკოვსკის მიერ წამოყენებული მიზეზობრივი კავშირის თეორია. პროფ. პიონტკოვსკი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ობიექტურ საფუძვლად სთვლის მხოლოდ „აუცილებელ მიზეზობრივ კავშირს“ და არ ანიჭებს ასეთ მნიშვნელობას „შემთხვევით მიზეზობრივ კავშირს“. პროფ. თ. წერეთელი ასეთ დაყოფას ნედარად თვლის და აღნიშნავს, რომ აუცილებლობა თვითონვე წარმოადგენს მიზეზობრიობის არსებით და განუყოფელ ელემენტს. დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით აუცილებლობა გამოვლინდება შემთხვევითობაში და პირიქით, შემთხვევითობა აუცილებლობის გამოვლინებაა. „აქედან ცხადია, რომ ტერმინი „აუცილებელი მიზეზობრივი კავშირი“ შეიცავს ტავტოლოგიას, რამდენადაც მიზეზობრივი კავშირის ცნებაში აუცილებლობის მომენტი უკვე იჯულისხმება, ხოლო ტერმინი „შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირი“ წარმოადგენს contradiction in adjecto რამდენადაც მიზეზი არ შეიძლება იყოს შემთხვევითი თავისი საკუთარი შედეგის მიმართ, ხოლო შედეგი არ შეიძლება შემთხვევითი იყოს საკუთარი მიზეზის მიმართ“ (გვ. 93—94).

სარეცენზიო შრომაში ნაჩვენებია უმოქმედობის, როგორც მიზეზობრიობის საწყისი მომენტის ბუნება. ამ საკითხთან დაკავშირებით გაკრიტიკებულია პროფ. მ. დ. შარგოროდსკის,

პროფ. ბ. ს. ანტიმონოვის, პროფ. ე. ა. ფლეიშიციის შეხედულებანი. ეს მეცნიერები უმოქმედობაში ვერაფრითარ მიზეზობრიობას ვერ ხედავენ, ვინაიდან, მათი აზრით, უმოქმედობას, თუ კი იგი იზოლირებულად იქნება აღებული, არაფრის გამოწვევა არ შეუძლია. სინამდვილეში მოვლენათა იზოლირება არ ნიშნავს იმას, რომ მიზეზმა იმოქმედოს დროისა და ადგილის პირობების გარეშე. სწორედ მოვლენათა ურთიერთკავშირისა და ურთიერთმოქმედებაში უნდა იქნას განხილული უმოქმედობა. პროფ. თ. წერეთლის აზრით, უმოქმედობა ყოველთვის არ წარმოადგენს არარობას, სიცარიელეს, არამედ იგი ზოგჯერ განსაზღვრული შინაარსის მატარებელია, რაც გვაძლევს ანგარიში გაუწიოთ მას და მხედველობაში მივიღოთ.

შრომაში ორიგინალურადაა გადაჭრილი მიზეზობრივი კავშირისა და ბრალის ურთიერთობის საკითხები. ბრალის, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტურ წინამძღვრად აღიარება ავტორს მიაჩნია სოციალისტური ჰუმანიზმისა და სამართლიანობის პრინციპის გამოვლინებად საბჭოთა სისხლის სამართალში, ხოლო მიზეზობრივი კავშირის აღიარებას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ობიექტურ წინამძღვრად იგი სთვლის სოციალისტურ დემოკრატიზმის პრინციპის გამოხატულებად პასუხისმგებლობის დასაბუთების დროს.

მონოგრაფიაში განხილულია მრავალი საკითხი, რომელიც მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს. ამასთან ერთად საჭიროდ მიგვაჩნია გავაკეთოთ ზოგიერთი შენიშვნა.

ავტორი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების განმსაზღვრელ ერთერთ ძირითად მომენტად სთვლის მიზანს (იხ. გვ. 135). ეს აზრი ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია. ცნობილია,

რომ მიზანი თავისი ფორმით სუბიექტურია, ხოლო საზოგადოებრივი საშიშროება ქმედობის ობიექტური დახასიათებაა (ავტორიც ამ აზრისაა). ამის გამო ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება სუბიექტის მიზნის გარეშე არსებობს და ამდენად მიზანი შეუძლებელია ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების განმსაზღვრელ მომენტს წარმოადგენდეს.

ავტორი შენიშნავს, რომ კრიმინალისტი, სისხლის სამართლის ამოცანების შესაბამისად, არ იტრება მიზეზობრივ დამოკიდებულებათა უსასრულო ჯაჭვში, არამედ წყვეტს თავის გამოკვლევას იქ, სადაც საზოგადოებრივად საშიში და ბრალეული საქციელი უკვე აღარ შეიძლება იგულისხმებოდეს (იხ. გვ. 165). ეს დებულება მკითხველში ერთგვარ ბუნდოვანებას იწვევს. გამოდის, რომ ობიექტური პროცესის, პასუხისმგებლობის ობიექტური საფუძვლის შემოფარგვლა შეუძლებელია ბრალის, ე. ი. სუბიექტური მომენტის გარეშე. მიზეზობრიობა ავტორს სამართლიანად მიაჩნია საზოგადოებრივი საშიშროების განმსაზღვრელ ერთერთ მომენტად. მაშასადამე, ჯერ უნდა გვეკონდეს მიზეზობრივი კავშირი, რათა შემდეგ დადგინოთ იქნას ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და ბრალი. უკანასკნელთა საშუალებით მიზეზობრივი კავშირის ფარგლების შემოსაზღვრა შეუძლებელია.

იმის ნათელსაყოფად, რომ მიზეზობრივი კავშირისა და მართლწინააღმდეგობის ცნებები უმოქმედობის დროს ერთმანეთისაგან უნდა იქნან განსხვავებული, ავტორს მოყავს დანაშაულის მომზადების განუცხადებლობისა და სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ პირათთვის დახმარების აღმოუჩენლობის მაგალიტები. ორთავე შემთხვევაში, ავტორის აზრით, გვაქვს

სამართლებრივი მოვალეობის დარღვევა. სათანადო მოქმედების შესრულებით შესაძლებელი იქნებოდა საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის თავიდან აცილება, მაგრამ არცერთი აღნიშნული დელიქტი არ ითვლება ამ შედეგის მიყენებად. მართლაც, ორთავე ზემოაღნიშნული დანაშაული ფორმალური დელიქტებია, მათთვის შედეგის დადგომა ვიწრო მნიშვნელობით საჭირო არაა, მაგრამ როგორც დანაშაულის მომზადების განუცხადებლობა, ისე სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ პირისათვის დახმარების აღმოუჩენლობა შემცველია შედეგისა ფართო მნიშვნელობით. ორთავე შემთხვევაში მიზეზობრივ კავშირს ადგილი აქვს სწორედ ამ ფართო შედეგის მიმართ. ამ დანაშაულთა მაგალითებზე შეუძლებელია დავასაბუთოთ მიზეზობრიობისა და მართლწინააღმდეგობების ცნებების ერთმანეთისაგან განსხვავება უმოქმედობის დროს. მაშასადამე, აქ ერთდროულად სახეზეა როგორც მიზეზობრიობა, ისე მართლწინააღმდეგობა. ჩვენს ამ მოსაზრებას ვამყარებთ თვით ავტორის

შემდეგ დებულებას: „მიზეზობრივი კავშირი წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აუცილებელ წინამძღვარს ყველა დანაშაულებრივი ქმედობის (როგორც მატერიალურის, ისე ფორმალურის — გ. ტ.) დროს“ (გვ. 28).

რა თქმა უნდა, ეს შენიშვნები, რომლებიც თავისთავად სადაო არიან, სრულიადაც არ ამცირებენ სარეცენზიო წიგნის ღირებულებას.

პროფ. თ. ვ. წერეთლის მონოგრაფია საბჭოთა სამართლის მეცნიერების საუკეთესო შენაძენია. იგი ხანგრძლივი, ნამდვილად თავდადებული შრომის ნაყოფია. ეს შრომა ნიადაგსა ხმარი წიგნი იქნება ყველასათვის, ვინც კი სამართლის მეცნიერების ამ კარდინალური პრობლემით დაინტერესდება.

უნდა შევნიშნოთ, რომ შრომა მეტად მცირე ტირაჟით (2000 ცალი) არის გამოცემული. სასურველი და მიზანშეწონილია მისი ხელმეორედ გამოცემა, ვინაიდან მას ბევრი მკითხველი ჰყავს როგორც ჩვენში, ისე სხვა რესპუბლიკაში.

გ. ტყეშელაძე





საუბარი მესამე

**საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი
დეპულებანი.**

ბაკუმოხანი, რომლებიც გამიკრისხავენ პასუხისმგებლობას

სასამართლო პრაქტიკა ხშირად ხვდება ისეთ მოქმედებებს, რომლებიც გარეგნულად გამოიყურებიან როგორც დანაშაული, მაგრამ არ იწვევენ პასუხისმგებლობას, რადგანაც არა აქვთ დანაშაულის ძირითადი ნიშანი — საზოგადოებრივი საშიშროება. ასეთ მოქმედებას წარმოადგენს, მაგალითად, აუცილებელი მოგერიება, რომელშიც იგულისხმება დანაშაულისაგან თავდაცვა თავდამსხმელ დამნაშავისათვის ზიანის მიყენებით. (რსფსრ სისხ. სამ. კოდ. მე-13 მუხლი).

მაგალითად, კარელინმა, რომელიც მუშაობდა ღვინის ქარხანაში საწყობის ვამედ, დაინახა, რომ სამი მტვირთავი უსწორდება მის მცველს დედუშკინს იმისათვის, რომ მან დააკავა ერთი მათგანი ღვინის მოპარვის დროს. კარელინი მიეშველა მას, ხელი სტაცა რკინის ჯოხს და დაიწყო თავდამსხმელების მოგერიება. მირონოვი აღრჩობდა დედუშკინს, რომელსაც უკვე არ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა, კარელინმა დაარტყა რამოდენიმეჯერ თავში მირონოვს, რომელიც მალე გარდაიცვალა.

კარელინის მოქმედება არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას და არ განიხილება როგორც მკვლელობა, რადგანაც ის იცავდა დედუშ-

კინის სიცოცხლესა და საზოგადოებრივ საკუთრებას.

აუცილებელი მოგერიების დადგენისას სასამართლოს ესაჭიროება გამოარკვიოს როგორი დანაშაულებრივი მოქმედებების წინააღმდეგ იქნა გამოყენებული თავდაცვა. თავის დაცვაში შეიძლება მხოლოდ ისეთი მოქმედებებისაგან, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიიყენონ საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს, თვით თავდამცველის ან სხვა პირების ინტერესებს, ე. ი. რომელიც საზოგადოებრივად საშიშია. გარდა ამისა, თავის დაცვა შეიძლება მხოლოდ აუცილებელი თავდასხმისაგან, ე. ი. უკვე დაწყებული ან გარდუვალი თავდასხმისაგან. ამასთან დანაშაულებრივი თავდასხმა უნდა იყოს ნამდვილი, რეალური და არა მოჩვენებითი, არსებული მხოლოდ პირის წარმოდგენაში.

ნავარაუდევია და აგრეთვე უკვე დამთავრებული თავდასხმის წინააღმდეგ თავდაცვა დაუშვებელია და ასეთი მოქმედებები განიხილება როგორც დანაშაული. მაგალითად, არ შეიძლება ჩაითვალოს აუცილებელ მოგერიებად სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების მუშაკის უუკოვის მოქმედება. დაინახა რა გზაზე ორი მთვრალი, რომლებმაც მას მოსთხოვეს პაპიროსი და გალანძღეს უცენ-

ზურო სიტყვებით, ყუკოვმა იმის შიშით, რომ მათ შეეძლოთ დასხმოდნ თავს, ოთხჯერ გაისროლა პისტოლეთიდან და სასიკვდილოდ დაჭრა უცნობი, როცა ამ უკანასკნელმა მისკენ გადადგა რამოდენიმე ნაბიჯი.

თავდაცვითი მოქმედების პროცესში ზიანი შეიძლება მიყენებულ ექნეს მხოლოდ თვით თავდამსხმელს და არა სხვა პირებს, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ თავდასხმასთან. თავდაცვა უნდა შეესაბამებოდეს თავდასხმას. ზიანის მიყენება არ უნდა გასცდეს აუცილებლობის ფარგლებს. დაუშვებელია უმნიშვნელო მცირე ინტერესების დაცვა ისეთი ზიანის მიყენებით, რომელიც აშკარად არ შეესაბამება თავდაცვითი ინტერესების მნიშვნელობას.

მაგალითად, არ შეიძლება მართებულად იქნას ცნობილი სიდორკინის მოქმედება, რომელმაც სანადირო თოფის გასროლით მოკლა 15 წლის ვიქტორ მ., რომელმაც მოკრიფა სიდორკინის ბაღში რამოდენიმე ცალი მსხალი და გარგარი. სიდორკინის მოქმედება დაკვალიფიცირებულ იქნა როგორც მკვლელობა აუცილებელი მოგერიების საზღვრების აშკარა გადაშეტებით.

გარდა ამისა, თავდაცვითი მოქმედება დასაშვებია მხოლოდ თვით თავდასხმის პროცესში და არა მის დაწყებამდე ან მისი დამთავრების შემდეგ.

ნავსადგურის კარების მცველმა ბონდიაშოვმა არ გაუშვა მამედოვი ნავსადგურის ტერიტორიაზე. მამედოვმა დაუწყაო ვინება ბონდიაშოვს და რამდენიმეჯერ დაარტყა, რის გამოც ბონდიაშოვი წაიქცა. მამედოვი განაგრძობდა მის ცემას და ცდილობდა მისთვის თოფის წართმევას. როცა ბონდიაშოვმა დაიწყო ყვირილი და დახმარებისათვის ძახილი, მამედოვი გაიქცა. ბონდიაშოვმა ისროლა პაერში,

მაგრამ რადგანაც მამედოვი არ გაჩერდა, მეორე გასროლით მოკლა ის.


მამედოვის თავდასხმის დროს ბონდიაშოვს ჰქონდა თავდაცვის უფლება, მაგრამ რამდენადაც თავდაცვის საშუალებები გამოყენებული იქნა ბონდიაშოვის მიერ უკვე თავდასხმის დამთავრების შემდეგ, მის მიერ ჩადენილი მოქმედებები არ შეიძლება ჩაითვალოს მართებულად.

სასამართლო ორგანოებს ზოგჯერ არასწორად ესმით რა კანონი თვლიან, რომ პირს, რომელსაც თავს დაესხნენ არა აქვს აქტიური თავდაცვის უფლება, თუ შეუძლია გადაიჩინოს თავი გაქცევით, ან მიმართოს დახმარებისათვის მთავრობის წარმომადგენელს ან სხვა პირებს.

მაგალითად, დანილინმა, გამოექცა რა მთვრალეებს, რომლებიც სცემდნენ მას, ესროლა მათ გზაზე აღებული ქვა, რითაც მიაყენა ერთ თავდამსხმელს სასიკვდილო დაზიანება. სასამართლომ დაადანაშაულა დანილინი, რადგანაც მისი აზრით დანილინს არ ჰქონდა საფუძველი ესროლა ქვა თავდამსხმელებისათვის, იმ მოტივით, რომ მან მიიღბინა საერთო საცხოვრებლამდე, სადაც მისთვის სხვა პირებს შეეძლოთ გაეწიათ დახმარება.

ასეთი შეხედულება ეწინააღმდეგება საბჭოთა მორალის პრინციპებს, საბჭოთა მოქალაქეების შეგნებას და ვერ იქნება აღიარებული სწორ შეხედულებად. სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა განაჩენი დანილინის საქმეზე, როგორც არასწორი და აღიარა დანილინის მოქმედება მართებულად.

ქმედობის საზოგადო საშიშროებისა და, მაშასადამე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამარცხვა შეუძლია აგრეთვე უკიდურეს აუცილებლობას (რსფსრ სისხ. სამ. კოდ. მე-13



მუხლის II ნაწილი), აუცილებელი ბრძანების შესრულებას და ა. შ.

უკიდურესი აუცილებლობის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი შემთხვევა. მძლოლმა დოლიძემ, რომელსაც მოჰყავდა დამსვენებლები სოხუმიდან გაგრამდე, სხვა მანქანასთან შეხვედრისას მკვეთრად მოაბრუნა მანქანა მარცხნივ. მანქანა გადაბრუნდა და 6 მგზავრი სერიოზულად დაზიანდა. ამ ქმედობისათვის დოლიძე მსჯავრდადებული იქნა. სსრკ უმაღლესმა სასამართლომ, გაეცნო რა ამ საქმეს ყურადღებით, გაამართლა დოლიძე. ავარია მოხდა იმის გამო, რომ შემხვედრი მანქანა უეცრად გამოჩნდა მოსახვევიდან გზის მარცხენა მხარეს, საყვირის გარეშე, თავისი ფარებით მან დააბრმავა დოლიძე. გზის მარჯვენა მხარეს იყო კლდე და დოლიძემ იმისათვის, რომ თავი დაეღწია მანქანასთან შეჯახებისაგან და კლდეზე დატაკებისაგან, მოუხვია მარცხნივ. ამ შემთხვევაში მარცხნივ მოხვევა გამოწვეული იყო უკიდურესი აუცილებლობით, რადგანაც მხოლოდ ამ გზით დააღწია თავი დოლიძემ უფრო მძიმე შედეგს.

ამგვარად, უკიდურესი აუცილებლობა იმაში მდგომარეობს, რომ მნიშვნელოვანი სახელმწიფო ან პირადი ინტერესების დაცვისათვის მსხვერპლად მოაქვთ სხვა ინტერესები, მაგრამ აუცილებლად ნაკლები მნიშვნელობისა და იმ პირობით, თუ მათ დასაცავად სხვა გამოსავალი არ არსებობს.

დანაშაულის ჩადენის სტადიები.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონი ადგენს პასუხისმგებლობას არა მარტო დამთავრებული დანაშაულისათვის, ე. ი. ისეთი ქმედობისათვის, რომელშიც არის დანაშაულის ყველა ნიშანი, გათვალისწინებული კანონით, არამედ ისეთი მოქმედებისთვისაც, რო-

მელიც მიმართულია დანაშაულის ჩადენისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული არ დამთავრდა. ზოგჯერ დანაშავე, იმისათვის, რომ ჩაიდინოს დანაშაული, წინასწარ ასრულებს მთელ რიგ მოსამზადებელ მოქმედებებს: ეძებს იარაღს დანაშაულის ჩადენისათვის, მოლაპარაკებას აწარმოებს თანამონაწილეებთან, ეცნობა განზრახული დანაშაულის ჩადენის ადგილს, მოკლედ, ქმნის პირობებს დანაშაულის ჩადენისათვის, მაგრამ თვით იმ ქმედობას, რომლითაც სისრულეში მოდის დანაშაული, დამნაშავე არ იღენს. ასეთ ქმედობას უწოდებენ დანაშაულისათვის მომზადებას.

მაგალითად, ორმა ქურდმა, რეციდივისტმა ბელობროდოვმა და სოროკინმა მოილაპარაკეს მეზობელ სოფელში მალაზია გაეჭურდათ. ამ მიზნით მათ მოიმარაგეს გასაღებები, ძალაყინი, გამოარკვიეს, როგორ იცავენ მალაზიას და სად იმყოფება დარაჯი. ისინი დაიჭირეს მალაზიასთან მაშინ, როცა მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაწყებული უშუალოდ საკეტის გატეხვა. მათი ქმედობა იყო მომზადება დანაშაულისათვის: მათ მოამზადეს იარაღები, აწარმოეს „დაზვერვა“ და სხვა. ე. ი. ყველა პირობა შექმნეს დანაშაულის ჩადენისათვის, ხოლო ვერ ჩაიდინეს მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

მკვლევლობის მცდელობის დროს დამნაშავე უკვე იწყებს იმ მოქმედებების ჩადენას, რომლებიც ქმნიან ამ დანაშაულის შემადგენლობას, მაგრამ ვერ მიყავს ის ბოლომდე მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით. მაგალითად, თუ დამნაშავემ ესროლა ადამიანს მოკვლის მიზნით, მაგრამ აცდინა ან იარაღმა უმტყუნა, ასეთი ქმედობა დაკვალიფიცირებულია, როგორც მკვლევლობის მცდელობა. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონი ადგენს

დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისათვის ისეთსავე პასუხისმგებლობას, როგორსაც დამთავრებული დანაშაულისათვის (რსფსრ სისხლ. სამ. კოდ. მე-19 მუხლი), ამასთან საჭიროდ თვლის ხელმძღვანელობას იმით, თუ რამდენად საშიშია პირი, რომელმაც მოამზადა დანაშაული და ჩაიდინა მისი მცდელობა, ასევე დანაშაულის მომზადების ხარისხით; მხედველობაში უნდა იქნან მიღებული მიზეზები, რომელთა გამოც დანაშაული არ იყო მიყვანილი ბოლომდე.

ზოგჯერ მიზეზი, რის გამოც დანაშაული არ იქნა მიყვანილი ბოლომდე, არის დანაშაულის ჩადენის ნებაყოფლობითი უარყოფა. აქვს რა ყველა შესაძლებლობა მიიყვანოს დაწყებული დანაშაული ბოლომდე, პირი თვითონვე უარს ამბობს მის დამთავრებაზე. უარყოფა შეიძლება იყოს გამოწვეული სხვადასხვა მიზეზით: აუცილებელი დასჯის შიშით, დანაშაულის მსხვერპლის შეცოდებით და ა. შ. იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული არ იქნა ბოლომდე მიყვანილი პირის ნებით, პირი არ არის პასუხისმგებელი ჩატარებული / მოსამზადებელი მუშაობისათვის, ან მკვლელობის მცდელობისათვის.

პროსვირკინმა, რომელიც პატიმრობაში იყო, გადაწყვიტა გაქცევა და გაქცევაზე დაიყოლია ვორობიოვსკი და ლიკოვი. მათ მისცეს თავისი თანხმობა გაქცევაზე, მაგრამ მერე უარი სთქვეს მის სისრულეში მოყვანაზე. პროსვირკინი გაიქცა მარტო, მაგრამ დააკავეს.

ვორობიოვსკი და ლიკოვი გასამართლებული იყვნენ დანაშაულის ჩადენის მომზადებისათვის, მაგრამ სსრკ უმაღლესმა სასამართლომ სცნა, რომ ჰქონდათ რა ყველა შესაძლებლობა გაქცევის სისრულეში მოყვანისათვის, მათ თვითონ თქვეს უარი მის ჩადენაზე, რაც მოქმედი კანონმდებლობის

მიხედვით (რსფსრ სისხლ. სამ. კოდ. მე-19 მუხლის II ნაწ.) გამორიცხავს მათ პასუხისმგებლობას.

იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის მიერ დანაშაულის უარყოფამდე ჩადენილი მოქმედებები უკვე წარმოადგენენ დამოუკიდებელ დამთავრებულ დანაშაულს, პასუხისმგებლობის დადგენა ხდება საერთო საფუძველზე.

მაგალითად, თუ ადამიანი შეიძინა პისტოლეტი მკვლელობის მოსახდენათ, მაგრამ თვითონ უარი სთქვა მის შესრულებაზე, ის ისჯება ცეცხლმსროლელი იარაღის ტარებისათვის.


თანამონაწილეობა.

ხშირად სასამართლო პრაქტიკა ხვდება ისეთ დანაშაულს, რომელიც ჩადენილია არა ერთი, არამედ რამოდენიმე კაცის მიერ. თანამონაწილეების მიერ ჩადენილი დანაშაულის საფრთხე უფრო დიდია, ვიდრე ერთი ადამიანის მიერ ჩადენილისა. თანამონაწილეების როლი დანაშაულის ჩადენაში სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. შეიძლება ყველა მონაწილე უშუალოდ ლებულობდეს მონაწილეობას დანაშაულის ჩადენის ფაქტში, მაგრამ აგრეთვე შესაძლებელია განაწილებული ჰქონდეთ ქმედობანი.

რსფსრ სისხლ. სამ. კოდ. მე-17 მუხლი ყოფს მონაწილეებს: შემსრულებლებზე, წამქეზებლებსა და დამხმარებლებზე. შემსრულებელი არის ის პირი, რომელიც თავისი მოქმედებით უშუალოდ იდენს დანაშაულს.

წამქეზებელი არის მონაწილე, რომელმაც დაიყოლია შემსრულებელი დანაშაულის ჩადენაზე.

დამხმარე არის ის პირი, რომელიც დახმარებას უწევს შემსრულებელს დანაშაულის ჩადენაში. ამორებს მას წინააღმდეგობებს, აძლევს რჩევა-დარიგებებს, ფარავს დამნაშავეს და აგრეთვე მის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალს.



მაგალითად, სანიტარმა ფომინამ თავის ბინაში მოაწყო არალეგალური სააბორტო. უკანონო აბორტებს ატარებდა ქირურგი კრევერი, რომელიც დანაშაულის ჩადენაზე დაიყოლია კოროვინამ, მომუშავემ კრევერის პოლიკლინიკაში. გარდა ამისა, კოროვინა და კოსმეტიკის კაბინეტის მოსამსახურე პუსტოროსლევა ექებდნენ კლიენტებს. დანაშაულის შემსრულებელი ამ შემთხვევაში არის ექიმი კრევერი, სხვები კი თანამონაწილენი.

ფომინა ხელს უწყობდა დანაშაულის ჩადენას ბინით და აგრეთვე ოპერაციების დროს ეხმარებოდა კრევერს. კოროვინა ერთსადიმავე დროს აოის წამქეზებელი და დამხმარე, რადგან მან დაიყოლია კრევერი დანაშაულის ჩადენაზე და პუსტოროსლევასთან ერთად ხელს უწყობდა მას.

თანამონაწილეების მოქმედება დაკვალიფიცირდება როგორც წესი, სისხლ. სამ. კოდექსის იმავე მუხლით, როგორც შემსრულებლების დანაშაული, მაგრამ რსფსრ სისხლ. სამ. კოდ. მე-17 მუხლზე მითითებით. მაგალითად, ზემოდმოყვანილ შემთხვევაში შემსრულებლის მოქმედება კვალიფიცირდება რსფსრ სისხლ. სამ. კოდ. 140 მუხლით (არაკანონიერი აბორტები), თანამონაწილეების — წამქეზებლებისა და დამხმარეების — რსფსრ სისხლ. სამ. კოდ. 17 — 140 მუხლით.

კანონი ზოგიერთ შემთხვევაში ითვალისწინებს პასუხისმგებლობას თანამონაწილეთა მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. მაგალითად, რსფსრ სისხლ. სამ. კოდექსის 593 მუხლი ადგენს პა-

სუხისმგებლობას ბანდიტიზმისათვის, ე. ი. დანაშაულისათვის ჩადენილ ბანდის მიერ. კანონმდებლობის ზოგიერთი აქტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ბანდის, ანუ წინასწარ ურთიერთშორის მოლაპარაკებულ და ორგანიზებულ დანაშაულთა ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულებისა და ავიაზაკური თავდასხმებისათვის.

თანამონაწილისათვის სასჯელის შერჩევასა სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს მისი დანაშაულში მონაწილეობის დონე, აგრეთვე მის მიერ ჩადენილი დანაშაულისა და ამ დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირის საშიშროება (რსფსრ სისხლ. სამ. კოდექსის მე-18 მუხლი). ამასთან თანამონაწილეების სასჯელი შეიძლება იყოს ისეთივე, როგორც შემსრულებლისა, ზოგჯერ კი უფრო მეტიც.

ჩადენილი დანაშაულის გახსნასა და დაძნელებათა სათანადოდ დასჯის საქმეში სასამართლო ორგანოებს დახმარებას უწევენ საბჭოთა მოქალაქეები, აცნობენ რა მათთვის ცნობილი დანაშაულის შემთხვევებს. ამ ფაქტების დამალვა აძნელებს გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების მუშაობას და ამიტომ საბჭოთა კანონი ადგენს პასუხისმგებლობას ზოგიერთი სახიფათო დანაშაულის შესახებ ცნობების დამალვის გამო. მაგალითად, ისჯება კონტრრევოლუციური და ზოგიერთი სხვა სახელმწიფო დანაშაულის, სახელმწიფო და საზოგადო ქონების დანაშაულის, ძარცვის შესახებ ცნობების განუცხადებლობა.



**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება
სსრ კავშირის კანონთა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებათა,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და დადგენი-
ლებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ**

სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა გამოქვეყნების საქმის მოწესრიგებისა და მათი ძალაში შესვლის ვადების დაზუსტების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დადგინდეს, რომ სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებანი და სხვა აქტები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი უნდა გამოქვეყნდეს „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ მოკავშირე რესპუბლიკათა ენებზე არა უგვიანეს შეიდი დღისა მათი მიღების შემდეგ.

2. 1 მუხლი ადინიშნულთაგან უმნიშვნელოვანესი აქტები, რომლებიც ფართოდ და დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნდეს, იბეჭდება სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების გაზეთ „იზვესტიაში“.

საჭირო შემთხვევებში ეს აქტები შეიძლება გამოქვეყნდეს აგრეთვე რადიოთი ან გადაიცეს ტელეგრაფით.

3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი, რომელთაც საერთო მნიშვნელობა არა აქვთ ან ნორმატიულ ხასიათს არ ატარებენ, ეგზავნებათ შესაბამის უწყებებსა და დაწესებულებებს და ისინი გააცნობენ იმ პირობით, ვისზედაც ვრცელდება ამ აქტების მოქმედება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ეს აქტები შეიძლება არ გამოქვეყნდეს.

4. ხელშეკრულებანი, შეთანხმებანი და კონვენციები, რომლებიც სსრ კავშირის მიერ დადებულია უცხო ქვეყნებთან და რატიფიცირებულია დადგენილი წესით, და შესაბამისი ბრძანებულებანი რატიფიკაციის შესახებ ქვეყნდება „უწყებებში“ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი.

5. სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებანი და სხვა აქტები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი საერთო ნორმატიული ხასიათისა ძალაში შედიან სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე ერთსა და იმავე დროს მას შემდეგ, რაც ათი დღე გავა მათი გამოქვეყნებიდან „იზვესტიაში“ ან „უწყებებში“, თუ თვითონ აქტებში არ არის აღნიშნული მათი ძალაში შესვლის სხვა ვადა; იგივე აქტები, რომლებიც ამ ბრძანებულების მე-2 მუხლის შესაბამისად გამოქვეყნებულია „იზვესტიაში“, იმაზე ადრე, ვიდრე გამოქვეყნდებოდეს „უწყებებში“, ძალაში შედის გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებიდან ათი დღის გასვლის შემდეგ.



ყველა სხვა აქტი, რომელთაც საერთო ნორმატიული ხასიათი არ აქვთ, ძალაში შედის მათი მიღების მომენტიდან, თუ თვითონ აქტებში არ არის აღნიშნული მათი ძალაში შესვლის სხვა ვადა.

6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი, რომლებიც ამ ბრძანებულების მე-3 მუხლის თანახმად არ ქვეყნდება, ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა მათ მიიღებენ შესაბამისი უწყებები და დაწესებულებანი, თუ თვითონ აქტებში არ არის აღნიშნული მათი ძალაში შესვლის სხვა ვადა.

7. ამ ბრძანებულების გამოსვლასთან დაკავშირებით:

ა) ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1924 წლის 22 აგვისტოს დადგენილება „სსრ კავშირის მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრ., 1924 წ., № 7, მუხ. 71) 1925 წლის 14 აგვისტოსა (სსრკ კან. კრ., 1925 წ., № 53, მუხ. 401) და 1926 წლის 10 სექტემბრის (სსრკ კან. კრ., 1926 წ., მუხ. 454) ცვლილებებით;

სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1923 წლის 7 დეკემბრის დადგენილება „სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებათა გამოქვეყნებისა და მისი გადაწყვეტილებებისა და მუშაობის თაობაზე ინფორმაციის წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრ., 1934 წ., № 45, მუხ. 351);

სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1925 წლის 6 თებერვლის დადგენილება „სსრ კავშირის მთავრობის კანონების და განკარგულებების, აგრეთვე სსრ კავშირის უწყებათა განკარგულებების ძალაში შესვლის დროის შესახებ“ (სსრკ კან. კრ., 1925 წ., № 8, მუხ. 75) 1927 წლის 1 ივნისისა (სსრკ კან. კრ., 1927 წ., № 32, მუხ. 326) და 1929 წლის 6 მარტის (სსრკ კან. კრ., 1929 წ., № 20, მუხ. 171) დამატებებით;

ბ) დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაადგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესი.

8. ეს ბრძანებულება შეტანილ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

კ. ვოროშილოვი


სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1958 წლის 19 ივნისი.

მეცნიერ მუშაკებისა და მათი ოჯახების წევრებისათვის პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შეცვლის შესახებ.

„მეცნიერ მუშაკებისათვის პენსიების დანიშვნის საკითხების მოკავშირე რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების გამგებლობიდან საქალაქო (რაიონულ) აღმასკომებთან არსებული პენსიების დანიშვნელი კომისიებისათვის გადაცემის შესახებ“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს



პრეზიდიუმის მიმდინარე საქმეთა კომისიის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაწესდეს, რომ იმ პენსიებს, რომელნიც გათვალისწინებულია მეცნიერ-მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფის დებულებით, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 28 სექტემბრის № 4140 დადგენილებით, ნიშნავენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებთან შექმნილი პენსიების დამნიშვნელი კომისიები, შესაბამისად დებულებისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 4 აგვისტოს № 1044 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
მ. კუჭავა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე
დ. ქიტიაშვილი.

**ანრი ალევისა და ალჟირის კომუნისტური პარტიის სამი
ხელმძღვანელის დაპატიმრება და მათი ყოფნა
განმარტოებულ პატიმრობაში**

„ალჟარ რესპუბლიკენის“ ყოფილი მთავარი რედაქტორი ანრი ალევი და ალჟირის კომუნისტური პარტიის სამი ხელმძღვანელი ახმად აკაში, პოლ კაბალერო და ანდრე მუანი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე 1958 წლის 9 ივლისს აყვანილი იქნენ განმარტოებულ პატიმრობაში, რითაც მათ მოუხსნეს საშუალება კავშირი იქონიონ სხვა პატიმრებთან.

ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის გენერალურმა სამდივნომ პრალიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა საფრანგეთის ჟურნალისტთა კავშირს და ანრი ალევის მეუღლეს: „ჩვენში შესწავლეთ იწვევს უკანასკნელი ამბები ანრი ალევისა და სხვა ჟურნალისტების ბედის შესახებ, რომლებიც ციხის კედლებში იტანჯებიან მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი იბრძოდნენ თავისი ხალხისა და ბეჭდვითი სი-

ტყვის თავისუფლებისათვის, მხოლოდ იმისათვის, რომ მათ უნდოდათ მეგობრობისა და ურთიერთგაგების დამყარება ფრანგ და ალჟირელ ხალხთა შორის და ამავე დროს იბრძოდნენ რასიული სიძულვილისა და ომის წინააღმდეგ.

ანრი ალევის წიგნი მთელი მსოფლიოს წინაშე ააშკარავებს ალჟირის პატრიოტთა მიმართ უღმობელოებასა და ცინიზმს. ამ წიგნმა უფრო განამტკიცა ჩვენი გადაწყვეტილება ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რათა არ განმეორდეს მსგავსი მხეცური მოქმედება.

საფრანგეთის მთავრობისაგან ჩვენ მოვითხოვთ ციხეში დამწყვდეული ანრი ალევისა და სხვა ჟურნალისტების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას“.

(„დრაპო რუჟ“ 1958 წლის 13 ივნისი)



სისხლის სამართლის საქმეები

განზრახ მკვლელობა, ჩადენილი უეცარი და ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, უკეთუ იგი გამოწვეულია დაზარალებულის ძალადობით, არ შეიძლება დაკვალიფიცირებულ იქნას საქ. სსკ 144 მუხლით.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1958 წლის 21 აპრილის № 144 დადგენილება კ. ა. ამბაროვის საქმეზე.

კ. ა. ამბაროვა 1956 წლის 13 მაისს, გორის რკინიგზის სადგურის ბაქანზე, მთვრალმა ჩხუბის დროს, ფინური დანით გულმკერდის არეში დარტყმით მოჰკლა ა. ბენიძე.

გორის ქალაქის სახალხო სასამართლომ ამბაროვი დამნაშავედ სცნო საქ. სსკ 144 მუხლის 1 ნაწილით და 202 მუხლით და დანაშაულთა ერთობლიობის საფუძველზე მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, თანაც დააკისრა 6000 მანეთის გადახდა გარდაცვლილის მეუღლის სასარგებლოდ.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ამბაროვის მიმართ აღნიშნული განაჩენი დატოვა ძალაში.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა, საქ. სსრ რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე განიხილა რა ეს საქმე, ამბაროვის დანაშაულებრივი ქმედობის დაკვალიფიცირება სსკ 144 მუხლის 1 ნაწილით არასწორად სცნო.

საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ, მთელი რიგი მოწმეთა ჩვენებებით დადასტურებულია, რომ 1956 წლის 13 მაისს ღღისით, ამბაროვი და ბენიძე რკინიგზის გორის სადგურის ბუფეტში საუბრობდნენ.

ღვინის დალევის შემდეგ ბენიძემ ამბაროვს მკლავში ჩასჭიდა ხელი და სადგურის ბაქანზე გაიყვანა, რამდენჯერმე თავი დაარტყა სახის არეში, ყელში ხელი წაუჭირა და აღრჩობდა. ამბაროვი და ამ შემთხვევის მოწმე მსხილამე ბენიძეს სთხოვდნენ, რომ მას ცემა შეეწყვიტა, მაგრამ იგი ამბაროვს არ ეშვებოდა.

ბოლოს ამბაროვს ბენიძემ დედა შეაგინა და თავი მიანება, ამბაროვმა ვინებითვე უპასუხა, ამიტომ ბენიძე ისევ მიუბრუნდა ამბაროვს და ცემა დაუწყო.

ამბაროვმა ცემის შედეგად სახის არეში და სხეულის სხვადასხვა ადგილას მრავალი დაზიანება მიიღო, ბოლოს ვედარ მოითმინა ცემა, ჯიბიდან ფინური დანა ამოიღო, რომელსაც უნებართვოდ ატარებდა და იგი ბენიძეს გულის არეში ჩაარტყა. ბენიძე მძიმედ დაიჭრა და გარდაიცვალა.

საქმის მასალებით, ამბაროვის ხულიგნური მოქმედება დადასტურებული არ არის, პირიქით, დადგენილია, რომ დაზარალებულის ძალადობამ და უკანონო მოქმედებამ იგი ძლიერ სულიერ აღელვებამდე მიიყვანა, რასაც შედეგად ბენიძის მოკლა მოჰყვა.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ამბაროვის დანაშაულებრივი ქმედობა, სსკ 144 მუხლის 1—ნაწილის ნაცვლად იმავე კოდექსის 146 მუხლით დააკვალიფიცირა.

უაჩაღობა, რომელსაც თან სდევდა იარაღის გამოყენება და დაზარალებული-სათვის სიკვდილის ან მძიმე ფიზიკური დაზიანების მუქარა, არასწორად იქნა დაკვალიფიცირებული „მოკალაქეთა პირადი ქონების დაცვის გაძლიერების შესახებ“ 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების II მუხლის პირველი ნაწილით და ამასთანავე უსაფუძვლოდ იქნა გამოყენებული საქ. სსრ სსკ 48 მუხლი.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1958 წლის 4 ივნისის დადგენილება № 251 გ. მ. ქაფიანიძის საქმეზე.

1957 წლის 17 ივლისს, 23 საათზე ქ. ფოთში, გ. მ. ქაფიანიძე ფინური დანით თავს დაესხა ქუჩაში მიმავალ მ. ი. კოზლოვსკის და მავის საათი წაართვა.

ქ. ფოთის სახალხო სასამართლომ 1957 წლის 28 სექტემბრის განაჩენით, გ. ქაფიანიძეს, „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების II მუხლის პირველი ნაწილით და საქ. სსრ სსკ 204 მუხლით ერთობლივად შრომა-გასწორების კოლონიაში 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა, ხოლო გამოიყენა რა სსკ 48 მუხლი, სასამართლომ ეს სასჯელი შეუმცირა მას 4 წლამდე.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ პროტესტით ითხოვა ქაფიანიძის მიმართ განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება წინასწარ გამოძიებაში.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ პროტესტი საფუძვლიანად სცნო.

დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულმა ქაფიანიძემ დაზარალებულ კოზლოვსკიზე თავდასხმის დროს ფინური დანა გამოიყენა და კოზლოვსკი სიკვდილის ან სხეულის მძიმე ფიზიკური დაზიანების მუქარის ქვეშ დააყენა. ასეთი დანაშაულის ნიშნები კი გათვალისწინებულია „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების II მუხლის მე-2 ნაწილში და არა იმავე ბრძანებულების, იმავე მუხლის პირველ ნაწილში. მაშასადამე სახალხო სასამართლომ ქაფიანიძის დანაშაულებრივი ქმედობა არასწორად დააკვალიფიცირა ხსენებული ბრძანებულების II მუხლის პირველი ნაწილით.

ამასთანავე სახალხო სასამართლომ უსაფუძვლოდ გამოიყენა საქ. სსრ სსკ 48 მუხლი და ქაფიანიძეს ლმობიერი სასჯელი გამოუტანა.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, ქ. ფოთის სახალხო სასამართლოს 1957 წლის 28 სექტემბრის განაჩენი გ. მ. ქაფიანიძის მიმართ გააუქმა და საქმე წინასწარ გამოძიებას დაუბრუნა.

სამოქალაქო საქმეები

დამქირავებლის ბინიდან გამოსახლება შეიძლება, უკეთუ იგი ან მისი ოჯახის წევრები თავიანთი ყოფაქცევით სხვა მობინადრეებისათვის შეუძლებელს ხდიან ერთად ცხოვრებას იმავე ბინაში ან ოთახში.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1958 წლის 31 მაისის დადგენილება № 2391 ა. მეგრელიძის სასარჩელო საქმეზე.

ე. ბარაბაძე ორი მცირეწლოვანი ბავშვით მდგმურის უფლებით ცხოვრობდა ა. მეგრელიძის პირად საკუთრებაში კუთვნილი სახლის ერთ ოთახში.

მეგრელიძემ სახალხო სასამართლოს სთხოვა ბარაბაძის ბინიდან გამოსახლება იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი თავისი ყოფაქცევით არ აძლევდა მას ნორმალური ცხოვრების საშუალებას.

სახალხო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ეს გადაწყვეტილება არასწორად სცნო.

სსრ კავშირის ცაკისა და საჯანმრთელო 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილების 30-ე მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად მდგმურის გამოსახლება შეიძლება, უკეთუ დამქირავებელი ან მისი ოჯახის წევრები თავიანთი ყოფაქცევით შეუძლებელს ხდიან სხვა მობინადრეთათვის ერთად ცხოვრებას იმავე ბინაში ან ოთახში და არა იმავე სახლში.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხე ბარაბაძე ცხოვრობს მეგრელიძის კუთვნილი სახლის ერთ ოთახში, მისგან სრულიად დამოუკიდებლად.

აქვე ვითარებაში მდგმურის ბინიდან გამოსახლებას ზემოხსენებული კანონი არ ითვალისწინებს.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, ქ. ფოთის სახალხო სასამართლოს 1958 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება გააუქმა და მეგრელიძის სარჩელზე ბარაბაძის ბინიდან გამოსახლების შესახებ უარი უთხრა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წ. 7 მაისის დადგენილების III მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად სასამართლოებმა იურიდიული ფაქტის დადგენის საკითხი უნდა განიხილონ მხოლოდ კანონით მემკვიდრეთა წრეში შემავალ პირთა მიმართ.

ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლომ 1958 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებით გ-ძის სარჩელი იურიდიული ფაქტის დადასტურების შესახებ დააკმაყოფილა და იგი აღიარა გარდაცვალებულ ს-ძის ერთადერთ მემკვიდრედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განიხილა რა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტი. მოთხოვნა საფუძვლიანად სცნო, გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე წარმოეზოტ მოსპო.

მოსარჩელე გ-ძე განმარტავდა, რომ იგი მოვლ-პატრონობას უწევდა მის დეიდას გარდაცვალებულ მ. ს-ძეს, და ამ მოტივით მოითხოვდა ცნობილი ყოფილიყო მ. ს-ძის ერთადერთ მემკვიდრედ.

სასამართლოს აღნიშნული საკითხი არ უნდა განეხილა, რამდენადაც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 7 მაისის დადგენილების III მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად სასამართლოები იურიდიული ფაქტის დადგენის წესით იხილავენ საქმეებს მხოლოდ კანონით მემკვიდრეთა წრეში შემავალ პირთა ნათესაურ ურთიერთობის დადგენაზე, მოცემულ შემთხვევაში კი ნ. გ-ძე არ ითვლება გარდაცვალებულ ს-ძის კანონიერ მემკვიდრედ და სამოქ. სამ. კოდ. 418 მუხლში გათვალისწინებული კანონით არ შეიძლება მემკვიდრეთა წრეში.



სარედაქციო კოლეგია

მ. ლომიძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, მ. თოფურაძე, გ. ინჭკირველი,
მ. ლეკვეიშვილი (რედ. მოადგილე), ს. როსტიაშვილი, თ. წერეთელი.



6 79
3560 5 856.

103
საქართველოს
სამართლებრივი

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 4

(на грузинском языке)

Орган Министерства юстиции, Прокуратуры и Верховного Суда
Грузинской ССР

